იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემაიოსის კოორდინატთა სისტემის მიხედვით

დოქტორანტი-მადონა მშვილდაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისციპლინური პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ყიფიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს

ბატონ გიორგი გვალიას

ამავე ფაკულტეტის დოქტორანტის მადონა მშვილდაძის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ეფუძნება მრავალჯერად სამეცნიერო მივლინებებს საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა პუნქტში - დუშეთის მუნიციპალიტეტი, შატილის თემი, სოფ. ლებაისკარი; თიანეთის მუნიციპალიტეტი, არტნის თემი, სოფ. არტანი; თელავის მუნიციპალიტეტი, სანიორეს თემი, სოფ. ართანა; ქარელის მუნიციპალიტეტი, ბრეთის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ. არადეთი. ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მადონა მშვილდაძე, 2015.

აბსტრაქტი

კვლევა ,,იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემაიოსის კოორდინატთა სისტემის მიხედვით“ გულისხმობს კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ.წ. 90-168 წწ., ცნობილია როგორც მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფოსი, ასტროლოგი, სამეცნიერო კარტოგრაფიის ფუძემდებელი) მონაცემების მიხედვით იბერიის ქალაქთა (პტოლემაიოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელოს VIII თავი) ლოკალიზაციის დადგენას. ბერძენ და რომაელ მწერლებს ცნობები მეტნაკლები სიზუსტით აქვთ მოცემული, ამიტომ მათი შედარებითი ანალიზი და კვლევით გათვალისწინებული სამუშაოები შესაძლებელს ხდის შესწავლილი იქნას ურბანიზაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი ისეთი პრობლემური საკითხებისა, როგორიცაა: ქალაქთა წარმოშობის აუცილებლობა საზოგადოების განვითარებისათვის და მისი ფუნდამენტური როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით საქალაქო სივრცის, პოლისის მმართველობისა და მშენებლობის განვითარებადობა და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში კლავდიოს პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიული სახელმძღვანელო”-სადმი გამოთქმული უნდობლობის მიუხედავად, ნაშრომში მოცემული პუნქტთა ჩამონათვალი მათთვის მინიჭებული კოორდინატებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველწყაროა ანტიკურ ქალაქთა ლოკალიზაციისათვის. გეოგრაფოსის მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებული რუკები, რომელთა რეკონსტრუქციაც XVII-XVIII საუკუნემდე აქტიურად გრძელდებოდა, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ როგორც ტოპონიმთა ცვალებადობას (დროის გარკვეულ მონაკვეთში ახალ ტოპონიმთა გაჩენა, მათი გაქრობა ან არსებული ტოპონიმის ახლით ჩანაცვლება), ასევე თანამედროვე

რუკებთან მათ შედარებით ანალიზსაც, თუ რამდენად თანხვდება ადრეული პერიოდის ტოპონიმები თანამედროვე მოცემულობას.

კონკრეტულ შემთხვევაში განხილულია კლავდიოს პტოლემაიოსის იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში მოცემული დასახლებული პუნქტი ლუბიონი („Λούβιον κώμη"), არტანისა ('Αρτάουσσα) და სურა („Σορύα"). ერთი შეხედვით, რუკათა შედარებითი ანალიზით ცხადი ხდება, რომ მათი რეკონსტრუქციის დროს XVII-XVIII საუკუნემდე, იბერიის საზღვრებში მოქცეული გარკვეული პუნქტები კვლავ აგრძელებენ არსებობას. გარდა ამისა, თუ ჩვენ ვაღიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში, ისტორიული მონაცემებითა და არქეოლოგიური მონაპოვრებით განმტკიცებულ მოსაზრებას „ჰარმაკტიკასა" და „მესტლეტას" თანამედროვე მცხეთასთან და არმაზციხესთან გაიგივებასთან დაკავშირებით მაშინ გამოდის, რომ ლოგიკურად ჩვენი საკვლევი პუნქტებიც თანამედროვე მოცემულობით დაახლოებით არადეთის, სოფ. არტანისა და სოფ. ლებაისკარის არეალებს თანხვდება.

ცხადია, გამოთქმული მოსაზრებები კვლევის მხოლოდ გარკვეული ეტაპია და მეტი კონკრეტიზებისათვის საჭიროებს დამატებითი სამუშაოების ჩატარებას. განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო პუნქტებში მოხდეს არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება, რაც თავის მხრივ დაადასტურებს ან უარყოფს ანტიკურ ქალაქთა ამ პუნქტებში არსებობას. ამასთანავე დაგვეხმარება იმაშიც, თუ რა დონით უნდა მოვახდინოთ კონკრეტულად იბერიაში თანამედროვე რუკის კორელაცია პტოლემაიოსის მონაცემებთან მიმართებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კლავდიოს პტოლემაიოსი, კავკასიის იბერია, კოორდინატები, ურბანისტიკა.

Abstract

Research - ,,Localization of Iberian (Caucasian) Towns according to Claudius Ptolemy's coordinate system", implies localization of Iberian towns (Chapter VIII, Geography by Ptolemy) according to the data provided by Claudius Ptolemy (AD 90 - AD 168 known as a mathematician, astronomer, geographer, astrologer and the founder of scientific cartography). Though, the documents created by Greek and Roman scholars give us more or less clear data. Consequently their comparative analysis and further research works will allow us to examine the problematic issues of urbanization: necessity of city creation for the purpose of societal development and its fundamental role in the civil society creation, policy management, construction development and town space development according to some archaeological data.

Despite the existing doubts in scientific literature towards Claudius Ptolemy's "Geography", the list of the geographical points and their coordinates, given in the mentioned work, play one of the significant roles as original sources for localization the certain ancient towns. The reconstruction of those maps, which were created on the basis of that data, collected by the geographer, continued for a long period of time until the 17th-18th centuries. The reconstructed maps enables us to examine changes of toponyms (emergence of new toponyms during a certain period of time, disappearance or replacing the old toponyms with new ones) and also make a comparative analysis of modern maps and how earlier toponyms coincide with the contemporary ones.

The specific case discusses towns like: Lubioni ("Λούβιον κώμη"), Artanisa ("Αρτάουσσα") and Sura ("Σούα"), which are given in Claudius Ptolemy's list of Iberian cities. At first glance, on the basis of map comparative analysis it turns out that, during the 17th-18th centuries, at the time of map reconstruction, some of the geographical points existing within the borders of Iberia still continued to subsist. Besides, if we admit the conventional attitude of scientific literature,

reinforced by the historical data and certain archeological findings regarding the identification of „Μεστλήτα“ and „‘Αρμάκτικα“ with modern Mtkheta and Armaztsikhe, it turns out that plausibly, the geographical points which we are going to research must coincide with the areas of modern Aradeti, Village Artani and Village Lebaiskari.

Clearly, the views expressed in the research are initial and for more accuracy and concretization some additional works should be done. It is necessary that archeological works to be carried out on those sites which are in the area of our interest, which will confirm or invalidate the existence of ancient cities on those points. It will also enable us to understand at what extant should we correlate modern map with the data given by Ptolemy.

Key Words: Claudius Ptolemy, Caucasian Iberia, Coordinates, Urbanistic.

მადლობა

კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო თემის ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს ბატონ გურამ ყიფიანს, კონსულტაციებისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ კორესპოდენტს ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს, კოლეგასა და მეგობარს - მათე ახალაიას. მათთან ურთიერთობისა და რჩევების გარეშე ვერ მოხერხდებოდა ამ ნაშრომის დასრულება. ასევე მადლობას ვუხდი საველე სამუშაოების წარმართვის დროს გაწეული დახმარებისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს; დუშეთის მუნიციპალიტეტის, შატილის თემის რწმუნებულს ბატონ ამირან გოგოჭურს; თიანეთის მუნიციპალიტეტის, არტნის თემის რწმუნებულს ბატონ ზაზა ბაინდურაშვილს; ქარელის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს ბრეთის ადმინისტრაციულ თემში ბატონ დათო ძმორაშვილს; თვითმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს სოფ. ართანას ადმინისტრაციულ ერთეულში ბატონ ბესიკ გაიპარაშვილს; თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ბატონ ნუკრი ფაშურიშვილს; სოფ. ქუშხევისა და სოფ. ზემო არტნის ადგილობრივებს: დათო შუშანაშვილსა და გიორგი ხუმარაშვილს. სოფ. ართანაში - ართანას საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ თინათინ ბოჭორაშვილს და ბატონ ნოდარ გაიპარაშვილს; ოჯახის წევრებსა და ჩემს მეგობრებს. მათი თანადგომისა და მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევით გათვალისწინებული სამუშაოების წარმართვა.

სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,2013-2014წწ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები“ (საგრანტო ხელშეკრულება N40/20) ფარგლებში.

სარჩევი

განაცხადი I

აბსტრაქტი II

Abstract IV

მადლობა VI

შესავალი 1

თავი 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 5

თავი 2. მეთოდოლოგია 24

თავი 3. მცხეთა და არმაზციხე - ,,Μεστλήτα“ და ,,‘Αρμάκτικα“ 25

თავი 4. დასახლებული პუნქტი ლუბიონი - ,,Λούβιον κώμη” 47

თავი 5. არტანისა - ,, 'Αρτάουσσα” 62

თავი 6. სურა - ,,Σούρα“ 79

შედეგები 88

დასკვნა 90

რეკომენდაციები 91

ბიბლიოგრაფია 93

დანართი 1 111

ტოპონიმთა განმარტება: 111

დანართი 2 126

ჰიდრონიმთა განმარტება: 126

სურათების ჩამონათვალი 129

შესავალი

ანტიკური პერიოდის საქალაქო ცხოვრების საკითხების შესწავლა დიდი ხანია ინტერესის საგანს წარმოადგენს. დღემდე აქტიურია ურბანიზაციასთან დაკავშირებული ისეთი სახის პრობლემური საკითხების კვლევა, როგორიცაა: ქალაქთა წარმოშობის აუცილებლობა საზოგადოების განვითარებისთვის და მისი ფუნდამენტური როლი სამოქალაქო საზოგადოების პროცესის ფორმირებაში (Herzog 1997, 7-13); პოლისური მმართველობის სისტემების შემოღება და ასევე მის სივრცეში სამშენებლო ეტაპების განვითარებადობა (რომელიც თავის მხრივ მოიცავს რამდენიმე კომპონენტის ერთობლიობას - ფორთიფიკაცია, საკომუნიკაციო სისტემები და ა. შ.).

სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით იბერია კვლევის ერთ-ერთ აქტუალურ და სადავო ობიექტს წარმოადგენდა. ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობებისა და არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, იბერიის ქალაქები (ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდან) სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყოველ სფეროში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. ნუმიზმატიკური და სხვა არქეოლოგიური მასალებითაც აშკარად დასტურდება იბერიის ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან მიმართებით (ხარაძე 1993, 20-21). ისტორიული თვალსაზრისით, არსებითი ზეგავლენა იქონია ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში იბერიის სტრატეგიულმა მდებარეობამ და კავკასიონის გადასალახავი უმთავრესი უღელტეხილის - ,,კავკასიის კარი“-ს, იგივე დარიალის არსებობამაც. ეს ფაქტორი მუდმივად ზრდიდა გარე სამყაროს დაინტერესებას აქ მიმდინარე მოვლენებისადმი. ამას თან ერთვოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ზედამხედველობა, რომლის დროსაც იბერიის დედაქალაქი მცხეთა, სწორედ ამ გზების გადაკვეთის პუნქტში ექცეოდა (*სურ. 1*). საკვლევი საკითხისადმი ინტერესს ზრდის ის ფაქტიც, რომ ისტორიულად ახ.წ. IIს-ე ის პერიოდია, როდესაც იბერია ერთდროულად განიცდის რომისა და ირანის პოლიტიკურ ზეგავლენას, რასაც თავის მხრივ გარკვეული კვალი

უნდა დაეტოვებინა საზოგადოებრივი განვითარების (სავსებით დასაშვებია მომხდარიყო განსხვავებული წარმომავლობისა და კულტურული თავისებურებების მქონე მოსახლეობის თავმოყრა შედარებით შეზღუდულ ტერიტორიაზე), ქალაქგეგმარების, სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პროცესებსა და მსგავს პოლიტიკურ გარემოში განსხვავებული რელიგიური კულტებისა და სისტემების თანაარსებობაში.

იბერია, ელინისტური ხანიდან მუდამ ერთ, გარკვეულ სახელმწიფოებრივ ერთეულს აღნიშნავდა, რომელიც უმეტესად აღმოსავლურ-ქართული ტომებით (ქართები-იბერები) დასახლებულ, სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. წერილობითი წყაროების მიხედვით (სტრაბონი), ელინისტური ხანის იბერია წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულ, ქალაქებითა და დაბებით დაყურსულ ქვეყანას, სადაც იყო კრამიტით გადახურული სახლები, ბაზრები (აგორა) და სხვა საზოგადო შენობები. სოციალური განვითარებისა და სამშენებლო საქმის დაწინაურებაზე მიუთითებდა თუნდაც ის ფაქტი, რომ მტკვრის ხეობაში მცხეთამდე შეიქმნა იბერიის ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრები, როგორიცაა - სარკინე, კასპი, ოძრახე, წუნდა, და ა.შ. დაარსდა ქართლის მეფეთა რეზიდენცია - არმაზციხე.

ანტიკური ხანის იბერიის კულტურის შესწავლაში, მეცნიერთა მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებას მეტი დამაჯერებლობა მიანიჭა იმ უნიკალურმა მასალამაც, რომელიც მცხეთაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით იქნა მოპოვებული. აღმოჩნდა ოქრომჭედლობის და მხატვრული ხელოსნობის დამადასტურებელი ნიმუშები, კერამიკის და ლითონის ინვენტარი, ნაპოვნი იქნა ბერძნული და არამეული წარწერები, დადასტურდა არქიტექტურული ძეგლები - სასახლეებისა და ტაძრების, აბანოებისა და საწარმოო კერების ნაშთები, ნუმიზმატიკური მასალა და სხვა.

მართალია ხანგძლივი დროის მანძილზე წარმოებული კვლევითი სამუშაოებით შესაძლებელი გახდა გარკვეულწილად განსაზღვრულიყო იბერიაში მიმდინარე მოვლენები და ზოგადად მისი მნიშვნელობა გარემომცველ სამყაროში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე სადავოდ რჩება იმ ქალაქთა ლოკალიზაციასთან

დაკავშირებული საკითხები, რომლებიც სავარაუდოდ მის სივრცეში საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებდნენ. ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი წყარო, რომელიც ამ ერთგვარად პრობლემატური საკითხის ამოხსნაში ეხმარება მეცნიერებას, კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ შემუშავებული კოორდინატთა სისტემაა (რომელიც ავტორმა გადმოგვცა თავის ,,გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“). გეოგრაფოსის მიერ კონკრეტულად იბერიაში დასახელებული პუნქტების კვლევა, ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაციის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, საშუალებას იძლევა სავარაუდოდ თუ რა საზღვრებში უნდა მოხდეს იბერიის ქალაქთა ლოკალიზება და მათ შორის ვექტორის განსაზღვრა.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია:

1. ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე მოხდეს კლავდიოს პტოლემაიოსის მონაცემების რეალობის განსაზღვრა
2. ადრეული და თანამედროვე პერიოდის ისტორიული რუკების მოძიება, შესწავლა და წყაროებში დაცულ ინფორმაციასთან დაკავშირება
3. საველე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, რომელიც თავის მხროვ გულისხმობს: ურბანული თვალსაზრისით ტერიტორიის შეფასებას, GPS-კოორდინატების აღებას, საველე ფოტოფიქსაციას, ტოპონიმების იდენტიფიკაციას (ადრეული და თანამედროვე ტოპონიმების შედარება, მათ შორის თანხვდომის განსაზღვრა და მათი თეოფორიული წარმომავლობის ალბათობის დადგენა) და სხვ.

საკითხის აქტუალობის განმაპირობებელი მიზეზები

სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც ითვალისწინებს იბერიის ქალაქთა ლოკალიზებას, მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ვინაიდან აღნიშნული საკითხის ღრმა შესწავლა-გაანალიზება თავის მხრივ გულისხმობს კულტურის კვლევებში შემავალი ინტერდისციპლინალური სამეცნიერო დარგების (ისტორია, არქეოლოგია, საისტორიო

გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ტოპონიმიკა) დახმარებისა და თანამედროვე ტექნოლოგიური აპარატურის გამოყენების საფუძველზე დავაზუსტოთ და მოვახდინოთ:

ა) კლავდიოს პტოლემაიოსის მონაცემების რეალობა

ბ) ადრეული და თანამედროვე პერიოდის ისტორიული რუკების მოძიება და შესწავლა

გ) კოორდინატთა ბადეზე პუნქტების დატანა, როგორც პტოლემაიოსის მონაცემების მიხედვით, ასევე თანამედროვე ასახულობით

დ) განვსაზღვროთ ამ ქალაქების როლი და ფუნქცია გარემომცველ სამყაროსთან მიმართებაში

ე) გამოვკვეთოთ მოცემულ პუნქტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი

ვ) შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური საკითხები და მათი თავისებურებები

ზ) შევქმნათ კვლევის პროცესში დადასტურებულ ჰიდრონიმთა და ტოპონიმთა კატალოგი

თავი 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ისტორიკოსთა მიერ, წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი სამუშაოებით, შესაძლებელი გახდა გარკვეულწილად განსაზღვრულიყო იბერიაში მიმდინარე მოვლენები და ზოგადად, მისი მნიშვნელობა გარემომცველ სამყაროში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე სადავოდ რჩება იმ ქალაქთა ლოკალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც სავარაუდოდ მის სივრცეში საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებდნენ. ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი წყარო, რომელიც ამ, ერთგვარად პრობლემატური საკითხის ამოხსნაში ეხმარება მეცნიერებას, კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ შემუშავებული კოორდინატთა სისტემაა.

კლავდიოს პტოლემაიოსი მოღვაწეობდა დაახლოებით ახ.წ. 90-170წწ. ალექსანდრიაში (ეგვიპტეში)[1]. ცნობილია როგორც მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფოსი, ასტროლოგი და ბერძნული ანთოლოგიის ფუძემდებელი. მასვე

[1] ალექსანდრია იყო აღმოსავლური ფილოსოფიისა და ხელოვნების, ვაჭრობის, განუწყვეტელი შრომისა და უძველესი ტრადიციების ქალაქი. სწორედ ალექსანდრიელ წარმომადგენლებს მიუძღვით დიდი დამსახურება მათემატიკური გეოგრაფიის დარგში. ზოგიერთი მწერალი ალექსანდრიას ,,ხმელეთისა და ზღვის გასაღებს“ უწოდებდა. ამ ქალაქში წარმოიშვა დაწესებულება, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი მნიშვნველობა ჰქონდა ელინისტური ფილოსოფიის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში - ესაა მუზათა სასახლე - ,,მუზეუმი“, რომელიც თავისი მხატვრული კოლექციებით აღემატებოდა რომსა და ათენას. ალექსანდრიას ჰქონდა უდიდესი ბიბლიოთეკა გადამწერლების დიდი შტატით - 900 კაცით. იხ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ. 56; J. L. Berggren, A. Jone's, Ptolemy's GEOGRAPHY, An annotation of the Theoritical Chapters, Princeton University Press 2000, გვ. 17-20. J. Lennart. Berggren, A. Jone's, Translation of Ptolemy's Geography, Princeton University Press, (press. Princeton.edu/sample_chapter/Ptolemy/), 2000, გვ. 17-22; A. Brychtová, A. Tsorlini, Differences of Ptolemy Based cartography of Central Europe with respect to Czech Republic representations. e-Perimetron, Vol.6, No. 2, 2011 [96-113] (www.e-perimetron.org/ISSN 1790-3769); A. Tsorlini, Higher order systematic effect in Ptolemy's Geographia coordinate description of Iberia. e-Perimetron, Vol.4, No. 2, 2009 [117-130] (www.e-perimetron.org/ISSN 1790-3769); A. Tsorlini, Spatial distribution of Ptolemy's Geographia coordinate differences in north Meditterranean eliminating systematic effects. e-Perimetron, Vol.4, No. 4, 2009 [247-266] (www.e-perimetron.org/ISSN 1790-3769); G. Nagarjuna, An Invitation to History of Science, Homi Bhabha Centre for Science Education, Tata Institute of Fundamental Research, Mumbai-400 088. გვ. 25; D. Sullivan, Mapmaking and its History, Rutgers University 2002, web. 24 Mar., 2011 (http://www.math.rutgers.edu/cherlin/History/Papers2000/sullivan.html).

უკავშირდება გეოგრაფიაში სივრცული აზროვნების ჩამოყალიბება. პტოლემაიოსი არის ავტორი იმ მეცნიერული ტრაქტატებისა, რომლებმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა იქონია ისლამური და ევროპული მეცნიერების მრავალმხრივ განვითარებაში (Atchison 2011, 9). საუკუნეების განმავლობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა გეოგრაფოსის მათემატიკურ-ასტრონომიული ტრაქტატი - ,,დიდი კრებული" (13 წიგნად, მასზე დართული ცხრილებით) (Feke 2009, 1-3). ნაშრომი არაბულ ენაზე ითარგმნა IX საუკუნეში (ხალიფა ალ-მამუნის ბრძანებით) სახელწოდებით - ,,ტაბრირ-ალ-მაჯისტი" (ანუ ,,ალ-მაჯისტი"), ხოლო შუა საუკუნეებში ცნობილი გახდა ,,ალმაგესტი"-ს სახელით. მასში ნათლადაა გამოხატული პტოლემაიოსის გეოცენტრისტული ხედვა. როგორც ნაშრომიდან ირკვევა, გეოგრაფოსმა დედამიწა დღის სიდიდისა და პარალელებზე მზის შუადღის ჩრდილების მიხედვით დაჰყო სარტყლებად, ხოლო დედამიწის წრეწირი - 360 ნაწილად (გრადუსად), გრადუსები - 60 ნაწილად (წუთად) და წუთები - 60 ნაწილად (წამებად) და წლის ხანგრძლივობა წუთის სიზუსტით განსაზღვრა (გეხტმანი 1955, 80-81).

გეოგრაფოსის და ასტრონომის ნაშრომებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ,,გეოგრაფიული სახელმძღვანელო", რომელშიც გვაწვდის ცნობებს ძველი საქართველოს შესახებ. ,,Geographica" რვა თავისაგან შემდგარი წიგნია (James 1981, 38; Lechthaler 2009, 157-158; Koetzli 2010, 584-586; Isaksen 2011, 254-260). სახელმძღვანელომ, შეიძლება ითქვას რადიკალური ზეგავლენა იქონია და ძირითადი მიმართულება მისცა ტოპოგრაფთა მიერ კონკრეტული კონცეფციის ჩამოყალიბებას (Harley 1987, 7). ფაქტიურად ეს ნაშრომი წარმოადგენდა ისეთი ტიპის მოცემულობას (თანამედროვე გაგებით ატლასს), რომელზეც ასახულია ადამიანის მიერ ათვისებული სამყარო, იგივე ,,oikumene" (Woodward 2007, 3) (*სურ. 2*). მასზე დაყრდნობით შემუშავდა 26 რეგიონალური და 67 შედარებით მცირე არეალის რუკა, რომლებზეც ილუსტრირებული იყო, სიბრტყეზე მოცემული სფეროს (დედამიწის) გამოსახულება სამი განსხვავებული მეთოდის პროექტირებით[2], როგორიცაა მაგალითად: არეალის სიბრტყითი,

[2] პტოლემაიოსის გეოგრაფიულ რუკათა კრებულში, ათვისებული ხმელეთის ასახვისას არსებული (დედამიწის) სიმრუდისათვის აუცილებელი შეიქნა ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელიც სიბრტყეზე,

სტერეოგრაფიული (ანუ პერსპექტივში დანახული მოცემულობა) და კონიკური პროექცია (*სურ. 3*). დატანილი და აღნიშნული იქნა 400-მდე პუნქტი (რომელთა გეოგრაფიული განედი ხშირად არაზუსტად იყო განსაზღვრული) და 8000 გეოგრაფიული დასახელება მათთვის მინიჭებული კოორდინატების, გრძედებისა და განედების გეოგრაფიული განფენილობით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ პუნქტებს შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დიდ და მცირე ქალაქებს მინიჭებული ჰქონდა სპეციალური ინდიკატორი მკვეთრად გამოხატული სიმბოლოებით.

პტოლემაიოსი ,,გეოგრაფიული სახელმძღვანელო"-ს შედგენისას ფლობდა ანგარიშებს და ცნობებს იმ პირთაგან, რომლებიც უშუალოდ მოგზაურობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში და ეძლეოდათ საშუალება გაცნობოდნენ კონკრეტული პუნქტების კულტურასა და ტრადიციას.

პტოლემაიოსის ნაშრომი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ იგი შედგენილია სხვადასხვა დროის წყაროებზე დაყრდნობით, როგორიცაა მაგალითად ჰეროდოტეს[3], ერატოსთენეს[4]

სფერული ზედაპირის ნაწილის გამოსახვას შესაძლებელს გახდიდა. ეს პრობლემა პტოლემაიოსმა პროექციის მეთოდის წამოყენებით გადაწყვიტა, რომელიც საფუძვლად დაედო კარტოგრაფიის შემდგომ განვითარებას. კარლ რიტერის თქმით, სწორედ პტოლემაიოსის გეოგრაფიული რუკები წარმოადგენენ ყველა ახალი გეოგრაფიული რუკის საფუძველს. თუ ისინი არ იქნებოდნენ, საეჭვოა, რომ ჩვენ რუკებს მიეღწიათ სრულყოფილების თანამედროვე ხარისხამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიული სახელმძღვანელო"-ს ზეგავლენას ხედავენ კ. მილერი და კუბიჩეკი XIII ს-ში შექმნილ Tabula Peutingeriana-ზეც. მათი დაკვირვებით, რიგ შემთხვევებში, აშკარად შეიმჩნევა პტოლემაიოსისა და კასტორიუსის რუკათა იდენტურობა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პუნქტების დასახელება დამახინჯებული სახითაა გადმოცემული, ზოგადი სიტუაცია იმდენად მსგავსია, რომ გარკვევით შეიძლება შეინიშნოს ,,გეოგრაფიული სახელმძღვანელო"-ს გამოყენება. იხ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ. 83; ნ. ლომოური, ,,ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის", შრომები IV, ნაკვ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1958, გვ. 101.

[3] ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (ძვ. წ. 484-406წწ.). მან მოიარა ეგვიპტე, ლიბია, ფინიკია, სირია, პალესტინა, ბაბილონი, მაკედონია, თრაკია, კოლხეთი, სკვითების ქვეყანა (შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროები) და სავარაუდოდ აზიის სხვა შორეული ქვეყნები, რომელთა შესახებაც იგი იძლევა საინტერესო გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ცნობებს. პროფ. ფ. გ. მიშჩენკოს განმარტებით: ,,ჰეროდოტეს გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობები თავის დროისათვის მეტად ვრცელი იყო. საკმარისია შევნიშნოთ, რომ მისი ცოდნა ეგვიპტის შესახებ მოიცავდა თანამედროვე აბისინიას, რომ სახელი მეროეს პირველად მისგან გახდა ცნობილი, რომ მის მიერ პირველადაა განსაზღვრული კასპიის ზღვის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ურთიერთობა სხვა წყლებთან...". კასპიის ზღვა პტოლემაიოსთან გვხვდება ,,ირკანიის ზღვის" სახელწოდებით. იხ. გ. გეხტმანი, ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან,

(*სურ. 4₁; 4₂*), პოსიდონიოსის[5] (*სურ. 5*), მარინუს ტირენელის[6], პოლიბიოსის[7], ფსევდო-სკილაქს კარიანდელის, ან უფრო მოგვიანო ავტორების - სტრაბონის[8], პლინიუს - უფროსის[9], პომპონიუს მელას[10] (*სურ. 6₁, 6₂*) და თუნდაც მისი თანამედროვე - ფლავიუს

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1955. გვ. 82-83; მ. ანდრონიკაშვილი, ირანული სატომო და ადგილის სახელები ძველ ქართულ საისტორიო სახელებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1954, გვ. 20; T. G. Rylands, The Geography of Ptolemy, 1893. გვ. 2.

[4] ერატოსთენე (ძვ. წ. 276-194წწ.) მუშაობდა მათემატიკის, ასტრონომიის, გეოდეზიის, გეოგრაფიის, ქრონოლოგიის, სიტყვაკაზმული მწერლობისა და გრამატიკის დარგებში. ერატოსთენემ პირველმა მოახდინა დედამიწის სიდიდის განსაზღვრა. დაკვირვებათა საფუძველზე კი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუ ერთი და იმავე საშუადღეო ხაზზე მდებარე ორი ქალაქისათვის ჯერ გამოვიანგარიშებთ შუადღისას მზის სიმაღლის სხვაობას, ხოლო შემდეგ მანძილს ამ ქალაქებს შორის, მაშინ შესაძლებელი გახდება დედამიწის სფეროს სიდიდის გამოანგარიშებაც. ერატოსთენემ თავის ,,გეოგრაფია"-ს დაურთო რუკებიც, რომელთაც იარსებეს პირველი საუკუნის ბოლომდე. იხ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ. 54; T. G. Rylands, … გვ. 6-7.

[5] პოსიდონიოსი (ძვ. წ. 135-45წწ). ერატოსთენეს მსგავსად ემხრობოდა მოსაზრებას დედამიწის სფერობრიობის შესახებ. იხ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ. 60-61.

[6] მარინუს ტირენელს (IIს.) ეკუთვნის არა მარტო გეოგრაფიული შრომა, არამედ მსოფლიო რუკაც, რომელიც შეადგინა ფინიკიის ქალაქებში შეკრებილი მასალების საფუძველზე. ეს რუკა ინახებოდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში. მარინუსის მიერ, მერიდიანები და პარალელები გამოსახულია სწორი ხაზებით, რომლებიც სწორი კუთხით კვეთენ ერთმანეთს. მაშინდელ დროში, ცნობილი დედამიწის ნაწილისათვის (განედის 30-დან - 40 გრადუსამდე) პროექციის ეს, ,,ბრტყელად" წოდებული ხერხი იძლევა სწორკუთხედების ქსელს. ეკვატორისათვის, როგორც საშუალო განედისათვის, ქსელი უნდა შემდგარიყო კვადრატებიდან. იხ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ. 82-83; G. Rylands, … გვ. 10.

[7] პოლიბიოსი (ძვ. წ. 200-120წწ.) - იმოგზაურა ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. მან, თავის ,,საყოველთაო ისტორიაში" (40 წიგნად) 34 წიგნი დაუთმო გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ ცნობებს. იხ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ. 59.

[8] სტრაბონი (ძვ. წ. 69-20წწ.) - შეაჯამა ძველი ბერძნული და ძველი რომაული საზოგადოების გეოგრაფიული ცოდნა და აღწერა მის დროში ცნობილი თითქმის ყველა ქვეყანა და მხარე. ეკუთვნის ვრცელი ნაშრომი, სათაურით ,,გეოგრაფია" (17 წიგნად). იმ ქვეყნების შესახებ ცნობებს, რომლებიც სტრაბონს თვითონ არ უხილავს, კრებდა ერატოსთენეს, არტემიდორის, აპოლოდორის, ჰიპარხეს, პოლიბიოსის, ეფორის და პოსიდონის ნაშრომებიდან. იხ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ. 70-71; G. Rylands, … გვ. 9.

[9] პლინიუს უფროსი (ახ. წ. 23-79წწ.) რომაელი ბუნებისმეტყველი და მოგზაური. ეკუთვნის ნაშრომი ,,ბუნების ისტორია" (27 წიგნად). პირველი წიგნი ეძღვნება გეოგრაფიას, მეორე წიგნში იძლევა ცნობებს ასტრონომიის, ფიზიკური გეგრაფიისა და მეტეოროლოგიის შესახებ. მეშვიდე წიგნში კი უშუალოდ საუბრობს ინდოეთის, ჩინეთის, სპარსეთის, ეთიოპიისა და შავი ზღვის სანაპიროების ქვეყნების შესახებ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირველად სწორედ პლინიუსთან ვხვდებით საყოველთაოდ ცნობილ აზრს დედამიწის სფეროსებრი მოყვანილობის შესახებ. გერმანელი მეცნიერი, ალექსანდრე ჰუმბოლდტი, პლინიუსის ნაშრომს შემდეგნაირად ახასიათებს: ,,პლინიუსის დიდ ენციკლოპედიურ ნაშრომს შინაარსის სიმდიდრით არ შეიძლება შეედაროს ძველი დროის არც ერთი ნაწარმოები". იხ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ.

არიანეს[11] ნაშრომები (James, Martin 1981, 31-37). მათ მიერ აღწერილი ინფორმაციის შედარებითი ანალიზი შესაძლებელს ხდის თუ რა საზღვრებში უნდა მოხდეს იბერიის ქალაქთა ლოკალიზება და მათ შორის ვექტორთა დადგენა.

გარდა ამისა, გეოგრაფოსის ხელში ხვდებოდა სამხედრო ექსპედიციების მონაცემებიც. რომაელთა ლეგიონში მყოფი მენზორების (მიწის მზომელები) მიერ, ყოველი საომარი ოპერაციის დროს იქმნებოდა უნიკალური ინფორმაციის შემცველი ,,იტინერარიები" (რუკა - მეგზური), რომლებზეც დატანილი იყო განვლილი გზების სიგრძე და მანძილი, ეს ყველაფერი კი ბოლოს თავს იყრიდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში (რომლის ხელმძღვანელიც სწორედ პტოლემაიოსი გახლდათ). როგორც ინგლისელი მეცნიერი, ჯ. ბეიკერი შენიშნავდა: ,,ძველი კლასიკური დროის ეპოქაში ევროპული კონტინენტის გამოკვლევა ძირითადად წილად ხვდა რომის ლეგიონებს... წარმოდგენა რომ გვქონდეს გეოგრაფიული შემეცნების ნამდვილი განვითარების შესახებ, აუცილებელია რომის ლაშქრობათა ისტორიის შესწავლა (გეხტმანი 1955, 79).

მიუხედავად პტოლემაიოსის თეორიაში არსებული ცდომილებებისა, მისი ატლასი ერთ-ერთ ძირითად ნიმუშად ითვლებოდა წლების განმავლობაში, ხოლო დეტალური მონაცემების ჩამონათვალი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ისტორიითა და გეოგრაფიით დაინტერესებული მკვლევარებისათვის (Edney 2011, 49; Harley 1989, 1, 2, 12). ამასთან დაკავშირებით X საუკუნის ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ალ-მასუდმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: ,,ფილოსოფოსმა (კლავდიოს პტოლემაიოსმა) თავის წიგნში ,,გეოგრაფია", მოგვცა დედამიწის, მისი ქალაქების, მთების, მასზე

76-77; А. Ф. Гумбольдт, Космос, ч. Н, перев. с нем. Н. Флорова, М. 1851 г., стр. 19; K. Park, L. Daston, The Cambridge History of Science, Volume 3, Early Modern Science. Cambridge University Press 2008, გვ. 8.

[10] პომპონიუს მელა (ІІს.) - რომაელი გეოგრაფი. ეკუთვნის ,,კოსმოგრაფია" (იგივე ,,ხოროგრაფია", ანუ დედამიწის აღწერა). მას ეკუთვნის ასევე რუკა, რომელიც პტოლემაიოსის რუკამდე 100 წლით ადრეა შედგენილი. ამ რუკის მიხედვით ,,ოიკუმენა" (დასახლებული მიწა, ათვისებული სამყარო) წარმოადგენს მატერიკს, რომელსაც გარს არტყია სამხრეთით ეთიოპიის, წითელი და ინდოეთის ზღვები. იხ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ. 79.

[11] არიანეს ეკუთვნის ,,ევქსინის პონტის სანაპიროებზე მოგზაურობის აღწერა" ქალაქების ჩამოთვლისას ის იხსენიებს ტავრიდის ხერსონესს, პანტიკაპეას (ქერჩი), თეოდოსიას, პორტ სიმბოლოს (ბალაკლავა) და სხვ. გ. გეხტმანი, თბ., 1955. გვ. 79.

არსებული ზღვების, კუნძულების, მდინარეებისა და წყაროების აღწერა. მან აღწერა დასახლებული ქალაქები და ადგილმდებარეობანი, აღნიშნა, რომ მის დროს ქალაქების რიცხვი 5 530-ს შეადგენდა და დაასახელა თვითოეული ქალაქი კლიმატური სარტყლების მიხედვით. ამ წიგნში მან დედამიწის მთები წითელი, ყვითელი, მწვანე და სხვა ფერებით აღნიშნა, დაასახელა 200-მდე მთა. მოიხსენია მათი სიდიდე და მათში არსებული მადნები და ძვირფასი ქვები. ამ ფილოსოფოსმა აღნიშნა, რომ დედამიწას გარს ერტყმის ხუთი ზღვა. მან ჩამოთვალა ამ ზღვებში არსებული დასახლებული და დაუსახლებელი კუნძულები, ისინი, რომლებიც ცნობილია და ანდა არაა ცნობილი... ყველა ეს ზღვა წიგნში - ,,გეოგრაფია" გამოსახულია სხვადასხვანაირი ფერებით, ისინი სხვადასხვა სიდიდისა და ფორმისანია... (მაგრამ მათი სახელები წიგნში - ბერძნულია და ამიტომ ძნელია მათი გაგება)" (გეხტმანი 1955, 84). XVII საუკუნის თურქი მწერალი ჰაჯი ჰალიფიც თავის ბიბლიოგრაფიულ კრებულში, არაბული ტრადიციის მიხედვით იძლევა ჯერ გეოგრაფიის განსაზღვრას, ხოლო შემდეგ საუბრობს არაბული გეოგრაფიული მეცნიერებისათვის კლავდიოს პტოლემაიოსის შრომების მნიშვნელობაზე, დაწყებული VIII საუკუნიდან XVII საუკუნემდე (გეხტმანი 1955, 85; Lan 2013, 7-8; Manners 2008, 24-29; Murrey 2004, 105; Arkway 2012, 59-63). მართლაც, უდავოა გეოგრაფიული სახელმძღვანელოს მნიშვნელობა, რომლის ანალიზითაც შესაძლებელია წარმოდგენა შევიქმნათ რომის იმპერიის მიერ წარმოებული და გავლილი გზის შესახებ, რომელმაც თამამად შეიძლება ითქვას, წარმოუდგენლად დიდი როლი შეასრულა ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში.

პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიის" შესწავლა დასავლეთში XIII ს-დან დაიწყო, როდესაც სახელმძღვანელოს ასლი შემთხვევით შეისყიდა ბიზანტიელმა ბერმა Maximus Planudes-მა (ასლი ამჟამად ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება (Vat.Gr. 177), სამწუხაროდ არ შეიცავს რუკებს). იქ შემონახულია მხოლოდ აგათოდემონის (Agathodemon's) შენიშვნები და მის მიერ შემუშავებული რუკის რეკონსტრუქცია. მოგვიანებით თვით პლანუდესმა სცადა აღწერილობის მიხედვით შეექმნა რუკა (Gaudier Dalché 1987, 285-287, 348, 358, 361-364).

პტოლემაიოსის გეოგრაფიით ამავე პერიდში დაინტერესდა Nikephoras Gregoras-ი (1295-1359წწ.), რომელმაც ტექსტის კუთხეში ჩაამატა მინაწერები და კომენტარები რუკასთან დაკავშირებით.

1400 წელს ბერძნული ასლი (26 რუკა) მიიღო ფლორენციელმა Palla Strozzi-იმ, რომელმაც დაარწმუნა ბიზანტიელი მკვლევარი Emmanual Chrysoloras-ი ტექსტი ეთარგმნა ლათინურად. ამ პერიოდში საკმაოდ იშვიათად ხდებოდა ბერძნული ტექსტების თარგმნა, ამიტომ ეს შემთხვევა საკმაოდ დიდ პოპულარიზაციას გაუწევდა პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიას". Chrysoloras-ის მიერ წამოწყებული თარგმანი დაასრულა მისმა მოწაფემ Jacobus Angelus-მა 1406-1410 წლების ფარგლებში. აქ თავმოყრილი იყო იშვიათი გაფორმებით შესრულებული ხელნაწერთა ასლები. გამომცემლების მიერ ჩასწორებული ეს ნაშრომი XV საუკუნის გამოცემების საფუძვლად იქცა.

Angelus-ის მიერ ლათინურად ნათარგმნი ხელნაწერი შემორჩენილი არაა, მაგრამ 1427 წლით დათარიღებული ასლი, რომელიც კარდინალი ფილასტერის მეთვალყურეობით შეიქმნა ინახება საფრანგეთში, Nancy-ის ბიბლიოთეკაში და ცნობილია Nancy Codex-ის სახელით.

პტოლემაიოსის გეოგრაფიის მიხედვით რუკები დაამუშავა და განავითარეს: P. del Massajo (1448-1472წწ. ფლორენციელი კარტოგრაფი); Nicholaus Germanus [Nicolas Donis] (1464-1471წწ.). მან შექმნა შედარებით მცირე ზომის (უფრო მოსახერხებელი) რუკები. შეიმუშავა რუკის ტრაპეციული ფორმა (*სურ. 7*); Francesco Berlinghieri; Henricus Martellus (1480წ.) (Skelton 1965, 20-21).

შვიდი გამოცემა დაიბეჭდა XV ს-ში (*სურ. 8*), რომელთაგან ექვს გამოცემაში მოცემული იყო დიდი ზომის რუკები ფოლიოთი, ხოლო დანარჩენი (33) შემდეგ საუკუნეებში (Diller 1993, 228), (*სურ. 9₁; 9₂; 9₃*). თანამედროვე გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, რომელიც გეოგრაფიაში არსებული მონაცემების მიხედვით ივსებოდა და სწორდებოდა, უფრო გაზარდა მისი როლი და ფასეულობა. ამის შედეგი იყო თუნდაც ის, რომ 1730 წელს დამატებით კიდევ 50 გამოცება გამოვიდა (*სურ. 10*).

XX ს-ის დასაწყისში პტოლემაიოსის გეოგრაფიის კვლევას დიდი დრო დაუთმო Henry N. Stevens-მა. მან, სახელმძღვანელოში ,,Ptolemy's Geography. A Brief Account of All printed Editions (down to 1730)", წარმოადგინა მოკლე ანგარიში იმ ავტორთა შესახებ, რომელთაც დაამუშავეს და განავითარეს პტოლემაიოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელო და რუკები 1475-1730 წლების ჩათვლით (მათი რაოდენობა მოიცავს 62 გამოცემას) (Stevens 1908, 37-62; Harper 2010, 3).

პტოლემაიოსის ატლასზე დაყრდნობით, 1475 წლიდან 1624 წლის ჩათვლით განვითარებული რეგიონალური, საზღვაო რუკებისა და ატლასების ნუსხა აქვს დართული და განხილული Patrick Gautier Dalché-საც სახელმძღვანელოში ,,The Reception of Ptolemy's Geography (End of the Fourteenth to Beginning of the Sixteenth Century)", რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს და ხაზს უსვამს ,,გეოგრაფიის სახელმძღვანელოს" როლსა და ზეგავლენაზე (Gautier Dalché 1987, 358, 361-364).

პტოლემაიოსის მიერ აღქმული სამყაროს გაანალიზებასა და შესწავლაში, ასევე დიდი როლი შეასრულა А. Б. Дитмар-ის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა, რომლის ნარკვევში - ,,От Птолемея до Колумба" (Дитмар 1989, 38-50) ძალიან კარგად ჩანს თუ რა ზეგავლენა იქონია ,,გეოგრაფია"-ში მოცემულმა ინფორმაციამ შემდეგდროინდელ გეოგრაფიულ აღმოჩენებზე.

გეოგრაფიული სახელმძღვანელოს გააზრების თვალსაზრისით დიდი როლი შეასრულა A. Aaboe, და G. Toomer-ის მიერ ,,გეოგრაფიის" თეორიული ნაწილის ანოტირებულმა თარგმანმა (Aaboe, Toomer 2000, 17-20). ნაშრომი ამარტივებს ანტიკურ პერიოდში აღქმული სამყაროს ანალიზის საშუალებას.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კლავდიოს პტოლემაიოსის გეოცენტრისტული მეთოდებით შექმნილმა კოორდინატთა სისტემამ გრადუსის სიგრძის უზუსტობა გამოიწვია, საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევარებიც - პ. იოსელიანი, პროფ. ს. კაკაბაძე, ე. თაყაიშვილი, ს. ჯანაშია, აკად. ი. ჯავახიშვილი, ს. გორგაძე, პ. ინგოროყვა და სხვ. ამ მონაცემებს აქტიურად იყენებდნენ.

სარგის კაკაბაძე ნაშრომში ,,ქართულ სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“, განიხილავს ისტორიულ შიდა-ქართლში დამკვიდრების შემდეგ ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრების საფუძვლის ჩაყრისა და ამის შედეგად თანდათან განსაზღვრულ კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენათა განვითარების საკითხებს. მეცნიერულ დასაბუთებას ავტორი ახდენს სტრაბონის, პლინიუსის, კლავდიოს პტოლემაიოსის, ანონიმი სომეხი ავტორისა და სხვა მოგვიანო პერიოდის ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე.

ტექსტში მოყვანილი ცნობის მიხედვით, სტრაბონის პერიოდის იბერიის დასავლეთი საზღვარი დაახლოებით ლიხის მთაზე გადიოდა. აღმოსავლეთით იბერია საზღვრავდა კავკასიის ალბანეთს. პლინიუსის აღწერილობაში კი ყურადღება გამახვილებულია მთავარ ქალაქთა აღწერაზე, როლის მიხედვითაც იბერიის მთავარი ქალაქი ყოფილა მდინარეზე მდებარე ,,ჰარმასტ“-ი (=არმაზციხე) და ,,ნეორის“-ი, შემდეგ კი ოლქი თაზი (= ტაშირი) და თრიარი ,,პარიადრის მთებამდე” (კაკაბაძე 1924, 33-35).

II-III სს-ის იბერიის ტერიტორიული მოცულობის განვითარების გარკვევისათვის ს. კაკაბაძეს მნიშვნელოვან წყაროდ მოაქვს კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიული აღწერილობა მითითებული საზღვრებით. იქვე ჩამოთვლილია ცხრა პუნქტიც: ლუბიონ, აგინნა, უასაიდა, უარიკა, სურა, არტანისსა, მესტლეტა, ზალისსა, ჰარმაკტიკა. ამ მოცემულობიდან ავტორი ადვილად არჩევს სამ სახელს 1. არტანისსა - რომელსაც უკავშირებს ისტორიულ არტანს (ძველად ის ცნობილი იყო როგორც ოლქი, პტოლემაიოსთან კი აღნიშნულია პუნქტის მნიშვნელობით); 2. მესტლეტა - რომელიც მკვლევარის მოსაზრებით ბერძნული დამწერლობის ნიადაგზე უნდა აღნიშნავდეს მცხეთის ფორმაშეცვლილ სახელს (εστλήτα=Μεστχητα). 3. მესამე სახელს წარმოადგენს არმაზი. ავტორის მოსაზრებით ,,'Αρμοκτίκα” შესაძლოა ყოფილიყო პლინიუსის ზემოთ მოხსენებული Harmastus-ი. τίκα დაბოლოების გამო, ავტორი არ გამორიცხვას ვარაუდს, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა დაკავშირებული ყოფილიყო მეგრულ-ჭანურ კილოს საფუძველთან (კაკაბაძე 1928, 1, 21, 29; კაკაბაძე 1928, 1-9).

ს. კაკაბაძე, იბერიის გეოგრაფიული საზღვრების შესასწავლად, განიხილავს მოგვიანო პერიოდის უსახელო სომხურ გეოგრაფიაში დაცულ იბერიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების აღწერილობასაც. ცნობები საინტერესოა იმ მხრივ, რომ თავისი მოღწეული სახით წარმოადგენს სხვადასხვა დროის შესწორებათა, ან დანართების შემცველ ნაწარმოებს. აღსანიშნავია, რომ ანონიმი თვითონ ასახელებს თავის მთავარ წყაროს - ეს გახლავთ პაპპი ალექსანდრიელი, რომელიც ცხოვრობდა თეოდოსი დიდის დროს (IV ს. II ნახევარში) და რომელსაც დაუწერია (ჩვენამდე არაა მოღწეული) ,,Χωρογραφία οἰκυμενική". თავის მხრივ პაპპი დამოკიდებული ყოფილა პტოლემაიოსზე. ანონიმი პაპპს სამჯერ იხსენებს: ,,(პტოლემაიოსისაგან) აიღო ცნობები და შეამოკლა პაპპმა ალექსანდრიელმა, რომლისაგან ჩვენ ავიღეთ ცნობები". ანონიმის მიხედვით, მისი გეოგრაფიის მოკლე რედაქციის შესწორებათა შემდეგ ვღებულობთ შემდეგ სრულ სიას ქართლის (იბერიის) ოლქებისას: კლარჯეთი, შავშეთი, არტაანი, სამცხე აჭარა, გორათის ხევი, ტანის ხევი, მანგლისის-ფორი (ხევი), ქვეშის-ფორი (ხევი), ბოლნისის-ფორი (ხევი), პარუარი, თარი, დვანი, აჩაბეთის ხევი, გვერდიშირის ხევი, საცხუმეთი (საცხენეთი), ქსნის ხევი, ცხაზმა, წოფო-ფორი (ხევი), კოლბო-ფორი (ხევი), ძორო-ფორი (ხევი), ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, კანგარქი, კუხეთი, ხერკი, ერწო, თიანეთი, წობენორი. სახელების წარმოშობის გამო იბერიის აღწერილობა ანონიმს გადაღებული აქვს ბერძნული დედნისაგან, კერძოდ პაპპი ალექსანდრიელის ნაწარმოებიდან, ამიტომ როგორც იბერიის, ისე კოლხეთის აღწერილობა არსებითად შეიძლებოდა IV ს-ის დასასრულის ხანასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ეს რასაკვირველია არ ნიშნავს იმას, რომ ანონიმს, ბერძნულიდან ამ გეოგრაფიულ აღწერილობის გადმომღებს, თავის მხრივ თვით ტექსტში არ შეეტანა რაიმე ცვლილებები, შესწორებანი და დამატებები (კაკაბაძე 1924, 31-37, 54-55).

ნაშრომი გასათვალისწინებელია იმ მხრივაც, რომ აქ განხილულია იბერთა ეთნიკურ-კულტურული ერთეულის ჩამოყალიბების საკითხები და იბერიის ქალაქებსა და სოფლებში მოსახლეთა რაოდენობის განსაზღვრის მცდელობა, რაც ქმნის შესაძლებლობას წარმოვიდგინოთ გარკვეულ პერიოდში მიმდინარე სოციალური მდგომარეობის მიახლოებითი სურათი.

სტრაბონის მონაცემთა დეტალური ანალიზი, რომელიც თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული მნიშვნელობით პტოლემაიოსის აღწერილობის ანალიზის საშუალებას იძლევა, გადმოგვცა თ. ყაუხჩიშვილმა ,,სტრაბონის გეოგრაფია“-ში. მესამე თავში, მოცემულია იბერიის დეტალური აღწერილობა, რომელსაც პარალელურად ახლავს ტექსტის ბერძნული ვერსიაც. ამ მონაცემების მიხედვით, იბერია უმეტესად დასახლებული ყოფილა არქიტექტურულად მოწყობილი, კრამიტის სახურავებიანი ქალაქებითა და დაბებით, ბაზრებითა და სხვა საზოგადო დაწესებულებებით. ქვეყნის ნაწილი ისაზღვრებოდა კავკასიონის მთებით, რომელიც სამხრეთის მიმართულებით მოიცავდა მთლიანად იბერიას და აღწევდა არმენიასა და კოლხეთამდე. მისი დაბლობი უხვი ყოფილა მდინარეებითაც, რომელთა შორის სიდიდით გამოირჩეოდა არმენიიდან გამომავალი მდ. მტკვარი. აღწერილობის მიხედვით ეს მდინარე კავკასიონიდან წამოსულ არაგოსს და ,,სხვა წყლებსაც“ იერთებდა, რომლებიც შემდეგ ვიწრო ჭალებით ჩაედინებოდნენ ალბანიაში. სტრაბონის ცნობით, იბერები უმეტესად მიწათმოქმედნი, მშვიდობიანი და ,,არმენელთა და მიდიელთა“ მსგავსად ,,განწყობილნი“ ყოფილან. მათი დიდი ნაწილი, რომლებიც მთიან მხარეში, სკვითებისა და სარმატების მსგავსად ცხოვრობდნენ ბრძოლის უნარიანობით გამოირჩეოდნენ (ყაუხჩიშვილი 1957, 127-130; ლორთქიფანიძე 1968, 5-6; აპიანე 1959, 10, 11, 25, 26; ყაუხჩიშვილი 1964, 73-74). სტრაბონის დროს, იბერიის არეალში ექცეოდა სამხრეთ-დასავლეთის კუთხეებიც: ჯავახეთი, სამცხე, კოლა არტაანი, აჭარა და კლარჯეთი. ასეთივე საზღვრებია მითითებული X საუკუნის ისტორიკოსის, კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაშიც (ძიძიგური 1982, 10).

ტექსტში ასევე დეტალურადაა გადმოცემული იბერიაში შესასვლელი ოთხი კარიბჭე (შესასვლელი - კოლხეთიდან, ჩრდილოეთიდან, ალბანიიდან და არმენიიდან) და აქ მოსახლე ოთხი გვარის საკითხი.

არანაკლებ საყურადღებოა ს. გორგაძის ნაშრომი ,,წერილები საქართველოს ისტორიიდან“. იბერიაში მიმდინარე ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაციის აღწერისას, მკვლევარის მიერ ფარსმან მე-3-ისა და ამაზასპის მეფობის ხანაზეა გამახვილებული

ყურადღება. მისი აღნიშნვნით ,,... სწორეთ მათ დროს ცხოვრობდა ცნობილი მწერალი კლავდიოს პტოლომეი, რომელმაც, სტრაბონის მსგავსად, დაგვიტოვა ბერძნულს ენაზე კოლხიდისა, ივერიისა და ალბანიის მოკლე გეოგრაფიული აღწერა ქარტითურთ, ... ივერიას - დასავლეთით ედო კოლხიდა, ჩრდილოეთით - სარმატია კავკასიონის ქედის გასწვრივ, დიდი სომხეთი. აქ პტოლომეის აღნიშნული აქვს მხოლოდ შემდეგი სოფლები და ქალაქები: სოფ. ლუბიონი, აგინნა, უასედა, უარიკა, სურა (ავტორის მოსაზარებით, შემოკლებული Seusamora ანუ წიწამური), არტანისსა (რომელიც არმაზის ჩრდილოეთითაა მთებისკენ ნაჩვენები), მესტლეტა (Mestleta), ზალისსა და არმაკტიკა (=არმაზ-ქალაქი), რომელიც პტოლომეის ქარტით დიდი სომხეთის საზღვარზე ძევს, მტკვრის პირად" (გორგაძე 1911-1913, 23-25).

პტოლემაიოსის კვლევების შესწავლას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და დღემდე აქტიურად გრძელდება ამ კოორდინატთა სისტემის მიხედვით საქართველოს პუნქტების ლოკალიზაციის განსაზღვრა - ნ. ლომოურის, გ. ლორთქიფანიძისა და გ. ყიფიანის მიერ ჩატარებული კვლევებით. აღსანიშნავია ვილენა ჯოჯუას მიერ შედგენილი ანტიკურ ქალაქთა ჩამონათვალიც, რომელშიც პტოლემაიოსის მიერ აღნიშნული ყველა პუნქტია მოცემული (თუმცა მასში უმეტეს პუნქტთა ლოკალიზება ვერ ხერხდება) (ჯოჯუა 1976, 434, 439).

ნ. ლომოურმა, 1955წ. გამოქვეყნებულ სტატიაში ,,კლავდიოს პტოლემაიოსი ,,გეოგრაფიული სახელმძღვანელო" ცნობები საქართველოს შესახებ", კ. მიულერის, პ. მონტანოს, ფრ. ვილბერგის, ფრ. ნობეს, ედ. სტევენსონისა და ორი ხელნაწერის ფოტოტიპიურ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გადმოსცა კრიტიკული აპარატი და რაც მთავარია საქართველოსა და მისი მეზობელი მხარეების აღწერილობა. ეს საშუალებას იძლევა უფრო ნათლად იქნას გაანალიზებული პტოლემაიოსის მონაცემები.

კონკრეტულად იბერიის აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ: იბერია ისაზღვრება ჩრდილოეთიდან სარმატიის დასახლებული ნაწილით, დასვლეთიდან -კოლხეთით; სამხრეთიდან დიდი არმენიის ნაწილით, რომლის მდებარეობა არის 76°10′-44°40′, ხოლო

აღმოსავლეთიდან ალბანიით, რომელიც აერთებს ამ ზღვარს 77°-47° ქვეშ მდებარე წერტილთან.

ქალაქები და სოფლები (იბერიაში) შემდეგია: სოფელი ლუბიონნი (,,Λούβιον κώμη”) 75°40′-46°50′; აგინა (,,΄ΑΥιυυα“) 75°-46°30′; უასაიდა (,,Ούάσαίδα“) 76°-46°20′; უარიკა (,,Ούαρίκα“) 75°20′-46°; სურა (,,Σορύα“) 75°-45°20′; არტანისსა (,,'Αρτάουσσα“) 75°40′-46°; მესტლეტა (,,Μεστλήτα“) 75°40′-45°; ძალისა (,,Ζάλισσα“) 76°-44°40′; ჰარმაკტიკა (,,‘Αρμάκτικα“) 75°-44°50′ (ლომოური 1955, 32) (*სურ. 7; 8; 9₁; 9₂; 11*).

იბერიაში, ანტიკურ ქალაქთა წარმოშობის, განვითარებისა და იქ მიმდინარე პროცესების ანალიზს ახდენს ა. აფაქიძე ,,ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ (აფაქიძე 1965, 5). ნაშრომი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ისტორიულ მონაცემთა შეჯერების პარალეურად ავტორს განხილული აქვს არქეოლოგიური მონაპოვრების ანალიზი, რაც მეტ დამაჯერებლობას მატებს საუკუნეების განმავლობაში აქ მიმდინარე პროცესების განვითარებადობას.

გ. ლორთქიფანიძე და გ. ყიფიანი თავიანთ ნაშრომებში (გ. ლორთქიფანიძე ,,კოლხეთის ქალაქები პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში” (ლორთქიფანიძე 2000, 18-19), გ. ლორთქიფანიძე, გ. ყიფიანი ,,ქალაქ ,,Σαράη“-ს ლოკალიზაციისათვის“ (ლორთქიფანიძე, ყიფიანი 2009, 3-6), გ. ყიფიანი ,,ქალაქი სურიუმი“ (ყიფიანი 2014, 9) დეტალურად განიხილავენ კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ აღწერილ, დასახლებული პუნქტების დეტალურ ცნობებს. კოლხეთის ქალქებთან მიმართებაში მათ მოახდინეს ძველი და თანამედროვე მონაცემების შედარებითი ანალიზი და მათი კოორდინატთა ბადეზე გადატანა. შეიძლება ითქვას, რომ ქალაქთა ლოკალიზაციის, მათ შორის ვექტორთა ანალიზის (როგორც თანამედროვე გეოგრაფიულ მონაცემებთან, ასევე არქეოლოგიურ აღმოჩენებთან მიმართებაში), ტრიანგულაციის საფუძველზე კვლევის წარმართვისა (რაც გულისხმობს რუკის რეკონსტრუქციასაც) და საკვლევ ქალაქთა ტოპონიმების შესწავლის თვალსაზრისით მათ მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს.

კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიაში მოცემული პუნქტების ლოკალიზაციის (კავკასიის ალბანეთთან და მათ შორის იბერიასთან მიმართებაში) საკითხებს შეისწავლიდნენ С. Н. Муравиев (Муравиев 1983, 117, 127-128, 144-145), В. В. Латышев (Латышев 1948, 442-443) და Б. А. Арутюнян (Арутюнян 1991, 108). მათი კვლევები დიდ დახმარებას გვიწევენ ზოგადად ქალაქთა ლოკალიზაციის პრობლემური საკითხების გასაანალიზებლად.

იბერიის ქალაქთა ლოკალიზაციის დადგენის პროცესში კვლევას მნიშვნელოვნად ამარტივებს ისეთი სამეცნიერო დარგების დახმარება, როგორიცაა - ეთნოლოგია და ტოპონიმიკა.

იბერიაში მიმდინარე სოციალურ-კულტურული სურათის გასაანალიზებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება უძველესი ნივთიერი კულტურის შესწავლას. ამ მხრივ კი ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინება მნიშვნელოვანია. ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ წარმართობის დროინდელი ზნე-ჩვეულებანი, ღვთაებათა პანთეონი და მასთან დაკავშირებული წარმოდგენები. უნდა გავითვალისწინოთ ის მომენტიც, რომ ისტორიულად, ახ.წ. IIს-ე ის პერიოდია, როდესაც იბერია ერთდროულად განიცდის რომისა და ირანის პოლიტიკურ ზეგავლენას, რის საფუძველზეც სავსებით დასაშვებია ადგილობრივთა წარმართულ რელიგიურ შეხედულებებთან მომხდარიყო მათი რელიგიური კულტების სინკრეტიზაციაც (მშვილდაძე 2008, 113).

ამ მხრივ, მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ივ. ჯავახიშვილი ნაშრომში ,,ქართველი ერის ისტორია, წიგნი I“, სადაც განხილულია თუ რამდენად იყო შესაძლებელი სხვა ხალხთა რელიგიურ თუ კულტურულ შეხედულებათა ერთმანეთთან შეთავსება. ქართულ წარმართობასაც თავისი ისტორია უნდა ჰქონოდა, რომელიც დროთა განმავლობაში ახალი ელემენტების შეთვისებით განვითარდებოდა. ქართული წარმართობის თანდათანობითი ზრდისა და ძველის გარდა ახალი ღვთაებების გაჩენის შესახებ ცნობა უძველეს ქართულ მატიანესაც მოეპოვება (ჯავახიშვილი 1928, 35-36, 80, 91-93, 106-107; მშვილდაძე 2008, 11-12; მშვილდაძე 2010, 66-67).

კონკრეტულ პუნქტებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ვ. ბარდაველიძის ,,აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები ტომი II_1“. აქ წარმოდგენილი ხევსურეთის საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრების აღწერილობა, ძეგლების კონსტრუქციული თავისებურებები და მათი სოციალურ-იდეოლოგიური დანიშნულების განსაზღვრა, საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ უძველესი პერიოდის საზოგადოების კულტურულ-რელიგიური შეხედულებანი (ბარდაველიძე 1982, 123).

კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ ,,გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ მოცემულ პუნქტა ლოკალიზების მცდელობისას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იბერიაში შემავალი პუნქტების ტოპონიმების შესწავლასა და მათი თეოფორიული კუთხით განხილვას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია - G. Widengren ,,Die Religionen Irans“ (Widengren 1964, 28-51, 74-89), А. А. Тахо-Годи ,,Греческая мифолоия” (Тахо-Годи 1989, 141-142), Мифологический словарь (Брагинский 1990, 81) და ისეთი სახის ნაშრომები, როგორიცაა ,,ტოპონიმიკა 1“ (მაკალათია 1976, 26, 82, 103,124, 128-132, 147,159) და ,,ტოპონიმიკა 2“ (აფრიდონიძე, მაკალათია 1980, 9, 223), რომლებშიც მოცემულია საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა-ტოპონიმები სიებისა თუ ლექსიკონების სახით. მათ პარალელურად უდიდეს დახმარებას წევს ჩვენამდე მოღწეული ანტიკური რუკები და გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომები, რომელთა შესწავლითაც შესაძლებელი ხდება მოვახდინოთ შედარებითი ანალიზი უძველეს და თანამედროვე დასახელებათა შორის.

როგორც ცნობილია, საუკუნეების მანძილზე მიმდინარე მოვლენები უმეტესად გეოგრაფიული სახელების ცვლილებას ან გაქრობას იწვევდა. ასეთ სახელწოდებებს კი ხშირად წერილობითი ძეგლები ინახავდნენ - იქნებოდა ეს მატიანე, გეოგრაფიული აღწერილობა, რუკა, საბუთი თუ სხვა. იბერიის გეოგრაფიულ სახელწოდებათა შეცვლა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მრავალჯერ მომხდარა. ეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო უმთავრესად უცხო ეთნიკური ჯგუფების გავლენით, მათი პერიოდული ბატონობით, ან ჩასახლებით. სწორედ ამან გამოიწვია ძველი გეოგრაფიული

სახელწოდებების მნიშვნელოვანი სახეცვლა და ახალ გეოგრაფიულ სახელწოდებათა დამკვიდრება. ზოგ შემთხვევაში ტოპონიმის აზრიც დაკარგულია (რაც გამოწვეულია სახელწოდების თანდათანობითი ცვლილებებით, ან უცხო ენის გავლენით). ყოველივე ამის გამო გეოგრაფიული სახელწოდებების კვლევა ეტიმოლოგიური განმარტებებისა და ლოკალიზაციის თვალსაზრისით მეტად რთული და თავისებურია.

იბერიის უძველესი გეოგრაფიული სახელწოდებები ძირითადად უცხოელ ავტორთა ნაშრომებშია შემონახული. ძველი ქართლის ტოპონიმების მნიშვნელოვანი ფონდი აღბეჭდილია ადრინდელ ქართულ წყაროებში. ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია: ,,ქართლის ცხოვრება" და ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ". მრავალ ტოპონიმზე საუბარი აქვთ ანტიკური სამყაროს და მოგვიანო პერიოდის ავტორებს - ბერძენ, რომაელ, ირანელ, არაბ, თურქ, ფრანგ, რუს მოგზაურებს, ისტორიკოსებს, ლოგოგრაფოსებს, გეოგრაფებს, ბუნებისმეტყველებსა და მწერლებს. უცხოურ წყაროთა ძირითადი ნაწილი კარგადაა შესწავლილი, თარგმნილი და გამოცემულიც საჭირო სამეცნიერო აპარატით. მაგრამ, ბევრი რამ, ჯერ კიდევ დაუდგენელია, ხელმეორედაა შესაჯერებელი და გასათვალისწინებელი. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, თუ ანტიკური პერიოდის რუკების შესწავლამ ბევრი ტოპონიმის ადგილსამყოფელი, რომელიც თითქოს ეჭვს არ იწვევდა, გარკვეულწილად შეცვალა ადრე დამკვიდრებული და აღიარებული შეხედულებები.

გეოგრაფიული სახელწოდების კვლევისას მეტად მნიშვნელოვანია იმ სახის კომპლექსური კვლევა, რომლის ძირითად ნიშანს წარმოადგენს ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. თითოეულ გეოგრაფიულ სახელს შეიძლება შევხედოთ განსხვავებული პოზიციით: ა) გეოგრაფიული სახელწოდების ობიექტის განსაზღვრა (მთა, მდინარე, ქალაქი და სხვ.) ბ) ქრონოლოგიური ცვალებადობა; გ) ცვალებადობა ამა თუ იმ ენობრივი ნიშნების მიხედვით დ) შინაარსისა და ეტიმოლოგიის ე) მორფოლოგიის (სახელწოდება როგორც სიტყვა ისე უნდა ეფარდებოდეს ენის ნორმებს და ემორჩილებოდეს გრამატიკულ წესს).

ადგილმდებარეობის მიხედვით თუ განვიხილავთ ძველ და ახალ ტოპონიმებს, მათი ძირითადი ნაწილი უცვლელია. მიუხედავად ამისა გვხვდება ისეთებიც, როცა ძველი ადგილმდებარეობა შეცვლილია ან პირიქით, ძველ ადგილმდებარეობას შეცვლილი აქვს გეოგრაფიული სახელწოდება.

სხვადასხვა რეგიონებში გვხვდება პარალელური (ერთნაირი) გეოგრაფიული სახელწოდებებიც, რაც ძირითადად გამოწვეულია საერთო ამსახველი სიტყვებით ან ბუნებერივი და ისტორიული პროცესების მსგავსებით. ხშირად, გეოგრაფიული სახელების დეტალიზება ხდებოდა შინაგანი ფორმების, ფერის და ობიექტის სხვადასხვა ნიშნების მიხედვითაც (ხარაძე 1993, 28-32; ითონიშვილი 2006, 4).

ტოპონიმების საკმაოდ დიდი ნაწილის წარმოება ხდებოდა საკუთარი სახელებისაგან. თანამედროვე ტოპონიმებში ხშირია საკულტო სახელებიც, როგორც წარმართული რელიგიის ნაშთი (არმაზი, ზადენი, არტანისა, სურა).

ტოპონიმების ლოკალიზაციის დასადგენად ასევე მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომა. ამ საკითხში, დიდ დახმარებას სწევს ძველი საკულტო და სამხედრო (თავდაცვითი) დანიშნულების ნაგებობების, ნასოფლარების, საცხოვრებლად გამოსადეგი ადგილებისა და თანამედროვე დასახლებული პუნქტების განლაგებათა შედარება. საკულტო ნაგებობების თუნდაც უმნიშვნელო ნაშთები, უკვე უშუალო მითითებაა ამ ადგილას ოდესღაც დასახლებული პუნქტის არსებობისა. ნაგებობების სიძველის მიხედვით დგინდება დასახლებული პუნქტის ასაკი (გათვალისწინებული უნდა იყოს საკულტო ნაგებობის თავდაპირველი სახე), ხოლო მოცულობის მიხედვით დასახლების გავრცელება. განსხვავებული მდგომარეობაა თავდაცვითი ნაგებობების სახელწოდებების დადგენისას. საქმე ისაა, რომ ციკლოპური ციხეები ქალაქებთან მდებარეობდა და ამიტომ მათი ნარჩენები ძველ ნაქალაქარებთან არის შემორჩენილი. ადრეული პერიოდის, დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობა შეიძლება გარკვეული იქნას ნასოფლართა მიხედვით, ნასოფლარის სიდიდის, განლაგებისა და ბუნებრივი პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით. გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც გარეგნული ნიშნების მიხედვით საცხოვრისის არავითარი კვალი არ

შეიმჩნევა, მაგრამ არქეოლოგიური შესწავლა ავლენს დასახლებული პუნქტის არსებობას. გარდა ამისა, დამატებით უნდა გამოვლინდეს ლოკალიზაციის სხვა ნიშნები, როგორიცაა მაგ.: რელიეფი, ჰიდროლოგიური ქსელი, დასახლებულ პუნქტთა შორის მანძილი, მასშტაბი და სხვ.

ძველი გეოგრაფიული სახელწოდებების კვლევისას განსაკუთრებულ როლს ასრულებს კარტოგრაფიული მასალა (Skelton 1965, 15). საუკუნეებისა და წლების განმავლობაში შექმნილი რუკების შედარება, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ სახელწოდებათა ცვალებადობას (უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგჯერ რუკაზე დატანილი სახელწოდება დამახინჯებითაც არის მოცემული). ზუსტ ტოპოგრაფიულ საფუძველზე დამყარებული რუკა გეოგრაფიული ობიექტების ლოკალიზაციისათვის საიმედო დასაყრდენია. ტოპონიმთა შედარებითი ანალიზის დროს, ანტიკური რუკების გარდა, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა XVIII ს-ში შედგენილი ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ატლასი. რუკა გამორჩეული და საინტერესოა იმ მხრივ, რომ ახლანდელი რუკებისაგან განსხვავებით, გეოგრაფიულ ობიექტთა სახელების გარდა, მასზე დატანილია ეთნონიმები და ეთნოტოპონიმები (როგორიცაა: ქისტეთი, ძურძუკი, ჴევსური, ფშავი, ოვსეთი, სვანეთი, ჯიქეთი, სამცხე, ქართლი, კახეთი, ოდიში და სხვ.). იგი ძვირფასი წყაროა ტოპონიმის შესწავლის თვალსაზრისითაც (გარდა იმ დიდი მნიშვნელობისა, რაც მას აქვს ტოპონიმიის მომიჯნავე მეცნიერებისათვის: გეოგრაფიისა და ისტორიისათვის). ბევრი სახელწოდება მხოლოდ ამ რუკაზეა შემორჩენილი.

მართალია, ხშირ შემთხვევაში ტოპონიმთა შესწავლის თვალსაზრისით რუკა არ არის სანდო (ვინაიდან ბევრი სახელწოდება გამორჩენილია, ზოგი ტოპონიმი კი დამახინჯებული სახითაა გადმოცემული), თუმცა ამ ატლასის მნიშვნელობა უდავოდ დიდია (ხორნაული 2003, 121).

არანაკლებ საინტერესოა XVIII საუკუნის II ნახევარში (1772წ.) გიულდენშტედტის მიერ შედგენილი ხელნაწერი რუკა საქართველოს შესახებ, რომელზეც მოცემულია 500-ზე მეტი ტოპონიმი, მათი მიახლოებითი ლოკალიზაციით (სიზუსტისაგან განხრა

საერთოდ არ აღემატება ათეულ კილომეტრს, ხოლო ხშირად ერთეული კილომეტრებით გაიზომება). მართალია რუკა არაა თავისუფალი შეცდომებისაგან (ტოპონიმთა ფორმების და ლოკალიზაციის სიზუსტის მხრივ), მაგრამ მათი გამოცნობა და დადგენა მაინც შესაძლებელია. არსებითად რუკა - ,,Mappa fundamentalis partem Caucasi inter mare Caspium et Nigrum mediam cum promontoriis et septentrionali et australi, atque cum facie septentrionali promontorii septentrionalis Araratici sistens, sub felicissimis Augustissimae Russorum Catharinae Secundae anspicils in peregrinatione physica concinnata per Doctorem Antonium Johanem Güldenstaedt", პირველხარისხოვანი გეოგრაფიული წყაროა ამ პერიოდის საქართველო-კავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის (მის ფასეულობას ზრდის ის ფაქტიც, რომ რუკა შედგენილია XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველო-კავკასიის თანამედროვისა და თვითმხილველის მიერ) (გამრეკელი 1964, 71).

უეჭველია, გიულდენშტედტი რუკის შედგენისას დაიხმარებდა კავკასია-საქართველოს მანამდე შედგენილ რუკებსაც. უამისოდ წარმოუდგენელია მას შესძლებოდა მხოლოდ ერთი შემოვლით ასეთი, იმ დროისათვის სრულყოფილი რუკის შედგენა და მასზე ისეთი ადგილების ასახვა, რომლებიც მას მოვლილი არ ჰქონდა ან მხოლოდ გავლით იყო ნამყოფი (გამრეკელი 1964, 59, 63).

გარდა ამისა, XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის განმავლობაში, კავკასიის ტერიტორიაზე ჩატარდა არაერთი, მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული აგეგმვა, რითაც არსებობა შეუნარჩუნდა მრავალ ტოპონიმსა და ჰიდრონიმს (ხარაძე 1993, 39-40).

ძველ ტოპონიმთა ლოკალიზაციის ერთ-ერთ ხერხად უნდა ჩაითვალოს დასახლებულ პუნქტთა (ნასოფლართა) ისტორიული გეოგრაფიის საკითხების გათვალისწინებაც, კერძოდ: მათი დასახლების ისტორია, მიგრაცია და სხვ.

თავი 2. მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომისათვის კვლევა წარიმართა რამდენიმე მეთოდის ურთიერთშეჯერების საფუძველზე:

1. საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა-გაანალიზება.
2. ჩვენთვის საინტერესო პუნქტებთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის მოძიება და ფიქსაცია.
3. საველე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება (ურბანული თვალსაზრისით ტერიტორიის შეფასება, GPS-კოორდინატების აღება, საველე ფოტოფიქსაცია).
4. ადრეული და თანამედროვე პერიოდის ისტორიული რუკების მოძიება და შესწავლა.
5. კოორდინატთა ბადეზე მყარი წერტილის აღება და მათი თანამედროვე სიტუაციაში გადმოტანა.
6. ტოპონიმების იდენტიფიკაცია - ადრეული და თანამედროვე ტოპონიმების შედარება და მათ შორის თანხვდომის განსაზღვრა
7. ტოპონიმების თეოფორიული წარმომავლობის ალბათობის დადგენა.

თავი 3. მცხეთა და არმაზციხე - ,,Μεστλήτα“ და ,,‘Αρμάκτικα“

კავკასიის იბერიის ქალაქთა ლოკალიზაციის მცდელობისას, პირველ რიგში, ყურადღება გამახვილებული იქნა იბერიის საზღვრებში, პტოლემაიოსის მიერ ქალაქთა ჩამონათვალში დასახელებულ ორ ურბანულ პუნქტზე - ,,Μεστλήτα“-სა და ,,‘Αρμάκτικα“-ზე. ჩვენს მიერ, ამ ორი ქალაქის შერჩევას კვლევითი საწყისისათვის თავისი ახსნა აქვს. წერილობით წყაროებზე დაყრდნობით და წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევებით, რომლებიც შევსებული და განმტკიცებული იქნა არქეოლოგიური აღმოჩენებით (მათ არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი მიეძღვნა), ეს ორი ნიშნული საკმაოდ საფუძვლიანად იქნა გაიგივებული თანამედროვე მცხეთასთან და არმაზციხესთან. ამდენად, ჩვენ აღნიშნული პუნქტები მყარ წერტილებად მივიჩნიეთ პტოლემაიოსისეული სხვა ნიშნულების ლოკალიზაციისა და რეკონსტრუქციისათვის.

მართალია საქართველოს თითქმის ყველა კუთხე ინახავს ნივთიერი კულტურის უამრავ ძეგლს, მაგრამ თავიდანვე ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმო და შეიძლება ითქვას მნიშვნელოვანი შედეგებიც გამოიღო იმ სამეცნიერო კვლევებმა და არქეოლოგიურმა სამუშაოებმა, რომელიც საქართველოს ძველი დედაქალაქის - მცხეთის ტერიტორიაზე ჩატარდა. ამასთან დაკავშირებით აკად. ს. ჯანაშიამ 1941წ. აღნიშნა კიდეც: ,,მცხეთა შემთხვევით როდი აგვირჩევია არქეოლოგიური კვლევა-ძიების ობიექტად. ის წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების კერას ადრეულ, ისტორიული ცნობებით გაშუქებულ ხანაში. იმ უძველესი პერიოდიდან მოკიდებული, მცხეთას არასოდეს დაუკარგავს მნიშვნელობა, თუმცა ქვეყნის პოლიტიკური ცენტრები ამა თუ იმ მხარეს ინაცვლებდნენ ხოლმე ადგილს. ... მცხეთა გვაინტერესებდა აგრეთვე, როგორც ის ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო აღმოჩენა ძეგლებისა და მასალებისა, რომლებიც პასუხს გასცემდნენ ერთ-ერთ ყველაზე უფრო დახლართულს, ბუნდოვანსა და თან ჩვენი ისტორიკოსებისათვის მნიშვნელოვან საკითხს, თანამედროვე საქართველოს მიწა-წყალზე ტომთა ისტორიული ცხოვრების

შესახებ ...“ (აფაქიძე 1956, 29, 30; ჯანაშია 1941, იხ. სტენოგრამა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქივი).

,,მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ,,ქართლის ცხოვრება“ იცნობს ურბანული სივრცის ისეთ განსაზღვრებებსაც, როგორიცაა: ,,მცხეთაჲ“, ,,ძუელი მცხეთა“, ,,ძუელი ქალაქი“ და ,,არმაზი“, ,,მცხეთა“, ან ,,არმაზით კერძი ქალაქი“ და ,,მუხნარით კერძი ქალაქი“ (აფაქიძე 1956, 29, 30). აღნიშნული ცნობები საშუალებას იძლევა გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა აღმოცენების, მათი სიმრავლის, განსხვავებულობის, მათი უბნებად დაყოფის, გამაგრების, აღდგენა-მშენებლობის, ქალაქის მოსახელობის სოციალური შედგენილობისა და სხვ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული იბერიასა და მასში შემავალ (ან მის კუთვნილ) ქალაქთა შესახებ უცხოურ საისტორიო მწერლობაშიც. ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი იბერიის აღწერისას ყურადღებას ამახვილებს საქალაქო ცხოვრებისა და მათი მშენებლობის დახასიათებაზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ორი ქალაქის: არმაზციხისა და წიწამურის შესახებაც. არანაკლებ ინტერესს იწვევს პლინიუსის, დიონ კასიოსის მონაცემებიც, რომელთა ნაშრომებშიც დასტურდება ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა: ,,აკროპოლისი“, ,,ჰარმოზიკა“, ,,ჰერმასტუს“; რაც საშუალებას იძლევა მოხდეს შედარებითი ანალიზი პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიაში“, კერძოდ კი იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში მოცემულ ,,ჰარმაკტიკასა“ და ,,მესთლეტა“-სთან დაკავშირებით.

საკითხის კვლევისას მნიშვნელოვანი პარალელების მოძიება ხდება შესაძლებელი მოსე ხორენელისა და ფავსტოს ბუზანდის ნაშრომებშიც (,,სომხეთის ისტორია“) (იოსელიანი 2009, 17).

ასევე მრავალი ცნობაა დაცული ბიზანტიელ ავტორებთანაც. ამ ცნობების გამოვლინებისა და ვრცელი კომენტარების შედგენაში საფუძვლიანი კვლევა აქვს ჩატარებული პროფ. ს. ყაუხჩიშვილს, რომლის შენიშვნებიც ამომწურავად ახასიათებს წყაროების მითითებებს და შეიძლება ითქვას, რომ თავისებურ გამოკვლევას

წარმოადგენს ძველ ქალაქთა ისტორიის არა ერთ საკითხთან მიმართებაში (აფაქიძე 1959, 9).

გვიანფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ანტიკური ქართლის ქალაქთა შესახებ ცნობები მოცემული აქვს ვახუშტი ბატონიშვილსაც, რომლის თხზულებაშიც ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ მითითებებთან ერთად (როგორც შ. მესხიამ აღნიშნა), დამატებითი მასალებიცაა გამოყენებული.

მიულერის კონიექტურით ,,Μεστλήτα“ აღნიშნავს ქ. მცხეთას (აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სახელით ქ. მცხეთას პირველად, სწორედ პტოლემაიოსი მოიხსენიებს). ,,‘Αρμάκτικα“ - ში კი მკვლევართა უმრავლესობის მიხედვით, მოიაზრება მცხეთის მახლობლად, მთა ,,ქართლის“ წვერზე და მის ,,ცხვირზე“ მდებარე არმაზციხე.

XIXს-ის 40-იანი წლებიდან საქართველოს ქალაქების წარმოშობის საკითხების შესწავლა დაიწყო პლატონ იოსელიანმა მისი კვლევების საფუძველზე ქართული ქალაქების თავდაპირველი წარმოშობა სტარტეგიული აუცელობლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ავტორის დაკვირვებით ქალაქები საქართველოში მთავარ მდინარეთა და მათ უმთავრეს შენაკადთა ნაპირებზე წარმოიშობოდა. ამ მხრივ პირველი ადგილი მდ. მტკვარს ეკავა, რომლის აუზიც თავს უყრიდა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. მტკვარზე არსებულ ქალაქებს ავტორი 3 ჯგუფად ანაწილებს: ზემო, შიდა და ქვემო ქართლის ქალაქებად (იოსელიანი 2009, 77, 78). სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ იბერიის ძველ ქალაქებზე მსჯელობისას წერილობითი წყაროები მტკვრის ხეობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მტკვრის ხეობა, უძველესი დროიდან მოყოლებული, ძირითად სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენდა. გარდა იმისა, რომ მდინარის სანაპირო ზოლი საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა მიწათმოქმედებისათვის, თვით მდინარე შესანიშნავი ორიენტირი და გზა იქნებოდა სხვებთან დასაკავშირებლადაც (დამოუკიდებელი ქალაქების ჯგუფი იარსებებდა ალაზანსა და იორზეც) (ჭილაშვილი 1968, 15).

განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ავტორის მოსაზრება მცხეთის შესახებ. მაგალითად, მკვლევარის დაკვირვებით პტოლემაიოსის ,,Μεστλήτα“ და აგათიას

,,mechsisda“ უდავოდ მცხეთის არქაული ფორმაა. ტოპონიმის ახსნისას კი ძველი დედაქალაქის სახელი - ,,მცხეთა“ - უშუალოდ მესხთა სატომო სახელთან დააკავშირა.

ანტიკური ქალაქების შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული კვლევები. ავტორი თავის ნაშრომებში, პირველ რიგში თავიანთი მოცულობით, დანიშნულებითა და მნიშვნელობით განასხვავებს ქალაქებს ერთმანეთისაგან და აღნიშნავს, რომ: ,,ყველაზე უფრო დიდს, მთავარ ქალაქს, რომელშიც პოლიტიკური მმართველობის ცენტრი იყო, მაშინაც დედაქალაქი ეწოდებოდა“, ამის შესაბამისად გამოდის, რომ ,,მცხეთა სავაჭრო, ადმინისტრაციული და სასამართლო ცენტრი ყოფილა“ (ჭილაშვილი 1968, 15).

ანტიკური ხანის საქართველოს საქალაქო ცხოვრების საკითხების კვლევას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა აკად. ს. ჯანაშია. მის მიერ ჩატარებული კვლევებით ძვ. წ. VI -V საუკუნეებისათვის მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესაყართან, უკვე უნდა არსებულიყო იმ დროისათვის ვრცელი და საკმაოდ დაწინაურებული ქალაქი, რომელსაც პირობითად, სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენ ვიცნობთ ,,დიდი მცხეთა“-ს სახელით. მას სავარაუდოდ უნდა მოეცვა ახლანდელი მცხეთისა და კოდმანის მოსახლეობა (რომელსაც სამაროვანი სამთავროს ველზე უნდა ჰქონოდა). ს. ჯანაშიას დაკვირვებით (მცხეთის არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე) ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში მოსახლეობის ცხოვრებაში უნდა მომხდარიყო ისეთი სახის ცვლილება, როგორიცაა სამიწათმოქმედო ტიპის დასახელებული ადგილის თანდათანობით გადაქცევა ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად (ჯანაშია 1941, იხ. სტენოგრამა, საქართველოს აკადემიის არქივი) წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე, მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოს უძველესი ქალაქები ორი ძირითადი ელემენტისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი: ერთი - საკუთრივ ქალაქი ანუ ,,დაბანი“, ხოლო მეორე - ციხე. ანალოგიური სურათი წარმოედგინა მტკვრისა და არაგვის შესართავთან ლოკალიზებულ ქალაქ მცხეთაშიც. ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ,,... ფარნავაზმა დაიწყო მშენებლობა მთაზე, ახლანდელი მცხეთის

პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ააშენა ზღუდე და დადგა არმაზის კერპი მთის მწვერვალზე... შემდეგმა მეფეებმა კი გააფართოვეს მშენებლობა: სატახტო ქალაქის მთელ ტერიტორიას შემოავლეს ზღუდე, ააშენეს შიდაციხე არმაზში, დაასრულეს ქალაქი მცხეთა, გაამაგრეს მთა ზედაზენი... მცხეთა გახდა ,,დიდი ქალაქი, დიდთ მეფეთ საჯდომელი“, რომელიც ოთხივე მხრით დაცული იყო ოთხი ციხით; ამათგან არმაზის ,,შიდაციხე“, ,,თავადი“, მთავარი ციხის სახით იქნებოდა წარმოდგენილი“. აქვე ავტორი განმარტავს, რომ ძვ. წ. 65 წელს საქართველოში მოვიდნენ რომაელები, მათ მდ. კირისა (მტკვარი) და მდ. არაგის (არაგვი) შესართავთან აღმართულ მაღლობზე ნახეს ორი ქალაქი - არმოზიკე, მდ. კირთან, და სევსამორა, მდ. არაგთან. ეს ორი ქალაქი ერთმანეთზე დაშორებული ყოფილა 16 სტადიონით... საფიქრებელია, რომ ამ ცნობაში მოხსენიებულია ერთი და იმავე ქალაქის ორი ნაწილი, ვინაიდან ასე ახლო მანძილზე ორი დამოუკიდებელი ქალაქის არსებობა დამაჯერებელი არ არის. პტოლემაიოსი (ახ. წ. II ს) არმოზიკეს უწოდებს არმაკტიკას (არმაზციხე) გამოთქმა ბერძნული და ლათინური ენების შესაფერისად, ვინაიდან არც ძველ ბერძნულს და არც ძველ ლათინურს არა ჰქონია ბგერები ც და ხ. პტოლემაიოსისეული ჰარმოზიკა მტკვრის მარცხენა მხარესაა ნაგულისხმევი (ყოველი შემთხვევისთვის მოგვიანო რუკის შემქმნელებისგან). ყველაზე ვრცელი ცნობები ამ საკითხზე დიონ კასიოსის ,,რომის ისტორია“-შია მოცემული, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ იმავე ქალაქს ერქვა აკროპოლისი (აფაქიძე 1956, 13).

არაერთხელ განიხილა იბერიის ძველ დედაქალაქთან დაკავშირებული საკითხები პროფ. მელიქსეთ-ბეგმა (Меликсет-Беков 1938, 100). მის მიერ განხილული საკითხები მრავალ საინტერესო პრობლემას მოიცავს (სახელთა ეტიმოლოგიური ძიებანი, ქალაქების წარმოშობა, ისტორიულ-გეოგრაფიული შენიშვნები და მრავალი სხვ.) (ჭილაშვილი 1968, 15). მან რამოდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა მცხეთისა და მისი მიდამოების შესწავლასაც, მაგ: მოვსეს ხორენაცის ტექსტზე დაყრდნობით, მკვლევარი თვლიდა, რომ ძველი მცხეთა (древняя Мцхета) მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ე.წ. პომპეუსის ხიდთან მდებარე და კოდმანის სახელით ცნობილ შემაღლებაზე უნდა ყოფილიყო ლოკალიზებული, არმაზის ქანდაკების პირდაპირ, მდინარის მეორე ნაპირზე (ქავთარაძე 2010-2011, 1-14). მიუხედავად იმისა რომ სამეცნიერო

ლიტერატურაში ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებები ბოლომდე არაა გაზიარებული, ავტორის მოსაზრებები მცხეთისა და მისი რაიონის კვლევასთან მიმართებით უდავოდ გასათვალისწინებელია.

ქართლის სატახტო ქალაქის დახასიათებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს პროფ. ს. კაკაბაძე. ნაშრომში - ,,ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები", ავტორი დეტალურად განიხილავს მცხეთის სახელწოდებას და პ. იოსელიანის მსგავსად იზიარებს ამ სახელის მესხთა სატომო სახელთან კავშირს, ხოლო ,,საისტორიო კრებულის" მესამე წიგნში გამოქვეყნებულ ,,ქალ. არმაზი - ქალ. მცხეთა" უკვე პირდაპირ განხილვას იძლევა არმაზისა და მცხეთის საკითხებთან მიმართებაში. ავტორი მოკლედ განიხილავს საისტორიო წყაროების მონაცემებს და იძლევა პუნქტთა მისეულ ლოკალიზაციის მცდელობას. ავტორის მოსაზრებით ,,მცხეთა იწოდებოდა ,,დიდ ქალაქად", მას ჰქონდა რაბატი ანუ ცენტრალური სავაჭრო ადგილი და ქალაქში იყო ,,ფოლორცნი" ანუ მოედნები. საფიქრებელია, რომ ქალაქი, საერთოდ, დაყოფილი ყოფილიყო პატარა მოედნებად, რომლებიც თავის მხრივ ერთმანეთთან პატარა შუკებით იქნებოდნენ დაკავშირებული. მცხეთის ქალაქს ჰქონდა 3 კარი; ქალაქი მდებარეობდა მტკვრის პირას, ხოლო ციხე - არაგვის ნაპირას; ქალაქს ჰქონდა უბნები: ,,მცირწ ბაგინი", მეფის ბაღი; მეფის ,,პალატ-ბანაკიც" და ქალაქის ზღუდეც (აფაქიძე 1959, 16). რაც შეეხება არმაზის მდებარეობას, მას შემდეგნაირად განსაზღვრავს: ,,ცხადია, რომ ქალაქი არმაზიც, რომელიც კერპის ქვევით დაბლობზე იყო გაშენებული, მდებარეობდა მტკვრის ხეობაში მცხეთის ძველი ხიდის დასავლეთით, ვიდრე არმაზის ხევამდის. აქ ორ ადგილას, მცხეთის ხიდთან და მეორე მხრივ არმაზის ხევიდან 300-400 მეტრზე აღმოსავლეთით, არმაზის მთის კალთა ძლიერ უახლოვდება მტკვარს და მდინარეს ებჯინება. ასე რომ, ეს ადგილები ქმნიან მათ შორის მდებარე ველს ბუნებრივად ადვილად ჩასაკეტ არედ. ამ ველზე, ვიწროდ გაშლილ იმ ადგილას, სადაც ახლა არის მცხეთის რკინიგზის სადგური და ამ სადგურის დასავლეთით დაახლოებით 1 კმ-ის სიგრძეზე უნდა იყოს ის არე, სადაც მდებარეობდა ძველი ქალაქი არმაზი". ,,კერპი არმაზი დადგმული უნდა ყოფილიყო არმაზის მთის ,,ცხჯრსა ზედა" და აქვე უნდა ,,მოქნილი" ყოფილიყო ,,ზღუდე წყლით კერძო", სავარაუდოდ არმაზის ქალაქის

დასავლეთით (ქალაქის დასაცავად დასავლეთიდან). ამ ზღუდის აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ვიწრო ხაზზე მდებარეობდა ქალაქი და ციხე, რომელიც უნდა ყოფილიყო არტაგ მეფის მიერ აშენებული ,,შიდა ციხე“. ავტორის აზრით, ეს ქალაქი და შიდა ციხე IV საუკუნეში უკვე დაცარიელებულია, ხოლო რაც შეეხება არმაზის ,,წყლით კერძო მოქნილ“ ზღუდეს, თვით არმაზის კერპს და მის ზღუდეს (ციხეს) ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, ნიადაგის გეოლოგიური თვისების გამო ჩაქცეულა IV ს-ის პირველ ნახევარში“ (კაკაბაძე 1928, 7). ს. კაკაბაძეს ეს ცნობა ისე აქვს განმარტებული, თითქოს ქალაქის ცენტრალურ ნაწილად სტრაბონი ციხეს გულისხმობდეს (აფაქიძე 1958, 80).

პ. ინგოროყვას მტკიცებულებით: ,,არმაზი იყო იბერიის სამეფოს ნამდვილი დედაქალაქი, პირველი მეტროპოლია და რელიგიური ცენტრი ქვეყნისა, ხოლო შემდეგ, როდესაც I ს-ში სრულიად იბერიის მეფეთა რეზიდენცია გადატანილ იქნა მცხეთაში, ამის შემდეგაც არ დაუკარგავს მას თავისი პოლიტიკური და რელიგიური მნიშვნელობა. ექვთიმე თაყაიშვილი არ იზიარებს ამ დებულებას და საკმაოდ საფუძვლიანადაც, ვინაიდან პ. ინგოროყვას ვარაუდი სრულ წინააღმდეგობაში მოდის ,,ქართლის ცხოვრების“ ცნობებთან, რომელთა მიხედვითაც არმაზის შენობები და იქ აღმართული კერპები ეკუთვნიან ფარნავაზს და მის მომდევნო მეფეებს - საურმაგს, მირვანს, არსაკს და არიკს, ხოლო ახალი მცხეთის შენება დაიწყო ბრატმან მეფემ, განაგრძო მირვანმა და დაამთავრა როკმა (თაყაიშვილი 1948, 101).

მცხეთის ისტორიის კვლევას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა აკად. გ. წერეთელმა, აკად. ა. შანიძემ და პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა. მათი მეშვეობით, ხორციელდებოდა მცხეთაში აღმოჩენილი ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი წარწერების შესწავლა, რამაც ისტორიულ მონაცემებს უფრო მეტი დამაჯერობლობა შემატა. მათ მიერ ჩატარებულ კვლევით სამუშაოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა და პოლიტიკური საკითხების გამოსარკვევად. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილმა წარწერებმა დაადასტურა, რომ ახ. წ. I საუკუნეში ქართლის სახელმწიფო ორგანიზაცია ძლიერ განვითარებული ყოფილა. ეს

მოსაზრება ემყარება ქართლში ერისთავის (პიტიახშისა) და ეზოსმოძღვრის (ეპიტროპოსი, რაბ-თარბასის) ინსტიტუტების არსებობას. ასეთი განვითარებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სათავეში მდგარა მეფე რომელიც, როგორც წარწერებიდანვე ირკვევა ატარებდა იბერთა დიდი მეფის ტიტულს. საერთო სურათი შემდეგნაირად ისახება: ქართლის სახელმწიფოებრივ აპარატს, სათავეში უდგას ,,იბერთ მეფე, მეფე დიდი"; მეფეს ჰყავს პიტიახშები, ეზოსმოძღვარი. პიტიახში ატარებს ტიტულს - ,,უფალი" (რომელსაც გ. წერეთელი გარკვეული სოციალური და პოლიტიკური ინტიტუტის აღსანიშნავ ტექნიკურ ტერმინად მიიჩნევს) (აფაქიძე 1956, 49), დიდი და მცირე ერისთავები და სხვა მოხელეები. წარჩინებულებს და მათ ოჯახის წევრებს განსაკუთრებული პატივით კრძალავენ (გობეჯიშვილი 1952, 158).

1867 წ. მცხეთის მახლობლად აღმოჩენილი წარწერის (რომელიც ახ.წ. 75წ. თარიღდება) შესწავლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა წერილობითი წყაროების მონაცემები[12] იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ახ. წ. I-IIIსს. ქართლი კავკასიის ერთ-ერთი უძლიერესი სამეფო იყო. ამ წარწერის მიხედვით იმპერატორი ვესპასიანე თავის და რომის მეგობრად აცხადებს მითრიდატ ფარსმანის ძეს (ეს ,,მეგობრული" ურთიერთობა დამყარებული იყო ქართლის სიძლიერეზე და ნაკარნახევი იმ ინტერესით, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ამჟღავნებდა რომი აღმოსავლეთის მიმართ. აღნიშნულ პერიოდში ქართლს შეეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა რომისა და სპარსეთის ურთიერთობაში) (აფაქიძე 1956, 53).

I-IV საუკუნეებით დათარიღებული არმაზისხევის მასალა უშუალოდ მიმანიშნებელია იმისა, რომ ამ დროის აღმოსავლეთ საქართველოში ნამდვილად

[12] მაგ: ელი სპარტიანის (IIს.) გადმოცემით, იმპერატორმა ადრიანემ: ,,ბევრ მეფეს... მისცა უზარმაზარი საჩუქრები, მაგრამ არავისთვის (მიუცია) იმაზე მეტი, რაც ქართველთა მეფეს (მისცა), რომელსაც დიდებული საჩუქრების შემდეგ უძღვნა სპილო და ხუთასკაციანი რაზმი..."; ხოლო დიონ კასიოს კოკეიანეს (IIს.) ცნობით: ,,როცა ფარსმან ქართველი თავის მეუღლესთან ერთად მივიდა რომში, (ადრიანემ, რომის იმპერატორმა) გაადიდა მისი სამფლობელო, ნება მისცა მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში. მარსის ველზე დაადგმევინა მისი ცხენოსანი ქანდაკება და უყურებდა თვითონ (ფარსმანი), მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებული ქართველების სამხედრო ვარჯიშობას". იხ. ა.აფაქიძე, ,,საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე", საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1956. გვ. 52. ს. ჯანაშია, ,,მცხეთა-საქართველოს დედაქალაქი", მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის I სესიაზე, 1941წ. იხ. სტენოგრამა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქივი.

ეარსება საკმაოდ განვითარებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას მმართველობის რთული აპარატით, სამეფო ხელისუფლებითა და სხვადასხვა რანგის მოხელეებით (გობეჯიშვილი 1952, 132).

წყაროებზე დაყრდნობით, წინაფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების შესახებ, არანაკლებ საინტერესო კვლევა ჩაატარა პროფ. შ. მესხიამ. მკვლევარი, IV საუკუნის ბოლოსთვის, აღმოსავლეთ საქართველოში მოისაზრებს მრავალ ქალაქს, როგორიცაა: მცხეთა, ოძრხე, რუსთავი, სამშვილდე, სარკინე, ურბნისი, უფლისციხე, წუნდა, ხუნანი და სხვ. არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი ცნობების გათვალისწინებით ავტორმა მიიჩნია, რომ ,,ძვ. წ. IV ს. და მომდევნო პერიოდი არის იბერიის სამეფოს საქალაქო ცხოვრების აყვავების ხანა“, სადაც ციხე-ქალაქი არმაზი წარმოადგენდა სამეფოს უძველეს დედაქალაქს, ხოლო რაც შეეხება მცხეთას მის გაძლიერებასა და გაქალაქებას IV-III სს-ში ვარაუდობს (Месхия 1954, 3-5, 59, 60, 72-75).

დაწვრილებით ახასიათებს მცხეთას, როგორც ოთხი მხრიდან მომავალი გზების გზაჯვარედინზე აღმოცენებულ ქალაქს (*სურ. 1*), პროფ. გ. მელიქიშვილი ნაშრომში - ,,საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის“. აქ ავტორი მიუთითებს სავაჭრო-სატრანზიტო გზის მსოფლიო მნიშვნელობაზე და მცხეთას ახასიათებს, როგორც მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს. დაწვრილებით იხილავს ასევე იბერიის მოსახლეობის - მოვაჭრეთა და ხელოსანთა ფენას, რომელთა შორისაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ებრაული კოლონია[13].

მცხეთასა და არმაზს არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა პროფ. ა. ბოლტუნოვამ. კვლევის ძირითადი ნაწილი მცხეთაში აღმოჩენილ ბერძნულ წარწერებს შეეხება, თუმცა იქვე არა ერთი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ქალაქის შესახებაც. მკვლევარი იბერიის სტრაბონისეული აღწერილობის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას

[13] გ. მელიქიშვილის მიხედვით ეს კოლონიები ქართლის არაერთ ქალაქშია საძიებელი და სავარაუდებელი: მცხეთა, ურბნისი, უჯარმა და სხვ. იხ. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1955, გვ. 161-163.

უთმობს დედაქალაქ - არმაზის საკითხს. ავტორს ანტიკური ხანის ქართლის ქალაქები სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად მიაჩნია და თვლის, რომ სტრაბონის იბერია ელინისტური ტიპის ჩამოყალიბებული სამეფოა, რომელსაც გამაგრებული ქალაქები, განვითარებული ვაჭრობა, სამეფო ხელისუფლება და წოდებრივი დანაწილება ახასიათებს.

1939 წელს, ძველი სავაჭრო გზების განხილვისას შემდეგი მოსაზრება გამოთქვა ს. ერემიანმა არმაზის ადგილმდებარეობის შესახებ: ,,Армази находится в узкой равнине на правом берегу реки Куры в районе нынешней железнодорожной станций Мцхета“ (აფაქიძე 1958, 80). ავტორი იქვე უმატებს, მოსაზრებას არმაზის ნაქულბაქევამდე გავრცელების შესახებ (თუმცა ამის დასაბუთებას აღარ იძლევა).

გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც არმაზის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალში - ,,Вестник древней истории“, სტრაბონის XI, III იმ ადგილის განმარტებისას, სადაც კლდეზე გამაგრებული ქალაქი არმასტიკა არის ნახსენები, კომენტატორი შენიშნავს შემდეგს: ,,Гармазика локализуется по епиграфическим и топонимическим данным к северу от Тбилиси на месте средневековой столицы грузинских царей Мцхета“ (აფაქიძე 1958, 80). ეს მოსაზრება მეცნიერთა უმრავლესობის მიერ არ იქნა გაზიარებული საფუძვლიანი მიზეზების გამო. ა. აფაქიძის კრიტიკული შეფასებით, კომენტატორს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ: ა) შუასაუკუნეებში მცხეთა ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქი არ ყოფილა ბ) შუასაუკუნეების მცხეთა (უკვე არა დედაქალაქი) ახლანდელი დაბის ადგილზე იყო გაშლილი და მას უფრო ფართო ზეგნები ეჭირა. ე. ი. შუასაუკუნეების მცხეთა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო (კომენტატორის მიხედვით კი პირიქითაა გააზრებული). გ) არც ეპიგრაფიკული, არც არქეოლოგიური და ტოპონიმიკური მონაცემები არმაზციხის ასეთ ლოკალიზაციას მხარს არ უჭერენ. ქალაქისა და არმაზის ციხის მტკვრის მარჯვენა ნაპირას არსებობის აღიარება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ქართული ისტორიული მეცნიერების ახალ მიღწევად. პროფ. მელიქსეთ-ბეკისა და ს. კაკაბაძის ნაშრომთა გამოსვლამდე საკმაოდ დამაჯერებლად იყო

დასაბუთებული ,,ძველი მცხეთა“, სადაც არმაზი და არმაზის ციხე მტკვრის მარჯვენა მხარეს მოიაზრება (ამის აშკარა დადასტურებაა არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა, რომელიც სწორედ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დადასტურდა). 1868 წელს, როდესაც ა. ბართოლომეს წერილი გამოქვეყნდა 1867 წელს აღმოჩენილი ბერძნული წარწერის შესახებ, პ. იოსელიანმა ბართოლომეს წერილს შემდეგი სახის განმარტება დაურთო: ,,Древная Армастика Плиния и Страбона как город древний – оканчивалась в Накулбакеви и была раскинута по горной отлогости...“ (აფაქიძე 1958, 81; Бартоломей 1868, 5). დიდ ინტერესს იწვევს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც, სადაც არმაზია მოხსენებული: ,,ხოლო მცხეთა არს ორ მდინარეს შორის, და მუნ შეკრბებიან, აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თვისითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებდნენ დედაქალაქსა. მერმე მოზღუდა არდამ, ერისთავმან სპარსთმან; მანვე აღაშენა ხიდსა ზედა ციხე და ჩრდილოთ ციხე. კვალად არმაზიდამ წარმოზღუდა მტკვრამდე“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1941, 60). ამ ცნობაში ვახუშტი ბატონიშვილი მცხეთისა და არმაზის იმ დროისათვის საკმაოდ სწორ განსაზღვრებას იძლევა. ყოველ შემთხვევაში, არმაზი რომ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე უნდა ყოფილიყო ეს გეოგრაფს კარგად აქვს გარკვეული. ამ მხრივ არანაკლებ საყურადღებოა XVIIს-ის ბოლო წლებში მცხეთის ტაძარში, ,,სვეტიცხოველში“ შესრულებული ფრესკა მხატვარ გრიგოლ გულჯავარასშვილის მიერ. აკად. ვ. ბერიძის დაკვირვებით ,,ის ადგილი, რომელიც კომპოზიციაში მთას უჭირავს და ის ურთიერთობა, რომელსაც მხატვარი წმინდანსა (იგულისმხება წმ. ნინო) და პეიზაჟს შორის ამყარებს მოწმობს, რომ მთა აქ მარტო ფონი კი არ არის, არამედ ამ სცენის ,,მოქმედი პირიც“. ფრესკაზე მოცემულია ციცაბო, წვეტიანი კლდეები და მდინარე, რომლის მარჯვენა ნაპირზე წმ. ნინოა და არმაზის მთის აღმოსავლეთის ნაწილი - დასასრული ამ ქედისა (ბერიძე 1948, 153). სწორედ ამის საფუძველზე დაასკვნა ა. აფაქიძემ, რომ XVII საუკუნის ბოლოსაც არმაზის შესახებ გავრცელებული უნდა ყოფილიყო წარმოდგენა, როგორც ადგილისა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა, არმაზის ქედის აღმოსავლეთ ნაწილზე, რომელიც დღეს ბაგინეთის სახელითაა ცნობილი (აფაქიძე 1958, 82).

მცხეთისა და არმაზციხის საკითხების შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ანდრია აფაქიძის მიერ ჩატარებულ კვლევებს. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ქრონიკაში მოხსენიებულ ,,ძუელ მცხეთას" ა. აფაქიძე შატბერდისეულ ,,წმ. ნინოს ცხოვრებაში ნახსენებ ,,ძუელ ქალაქთან" აიგივებს და თვლის, რომ ეს ორი ტერმინი ერთი და იგივე პუნქტის გამომხატველია და ის ქართლის სამეფოს უძველეს დედაქალაქს - ქართლს უნდა გულისხმობდეს. ავტორს ამის საფუძველს აძლევდა ლეონტი მროველის მერ მოცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც: ,,მცხეთას, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათ, რომელსა აწ ჰქჯან არმაზი. და მანვე აღშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვჯისასა, და უწოდა სახელი თჯსი მცხეთა". ა. აფაქიძემ თავისი დაკვირვების საფუძველზე მტკვრის მარცხენა, ჩრდილოეთ მხარეც ქართლის - ქართველთა უძველესი დედაქალაქის - შემადგენელ ნაწილად მიიჩნია. შესაბამისად, იმის გამო რომ მას ქალაქი ქართლი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე წარმოედგინა, სადაც ქართლის (გვიანი ხანების არმაზის) ქედი მთავრდება და რომლის აღმოსავლეთ კალთებსა და ბაგინეთად წოდებულ სამკუთხა ზეგანზე დედაქალაქის შიდა ციხე ანუ აკროპოლისია აღმოცენებული (უფრო გვიან არმაზციხედ წოდებული), ქრონოლოგიურად სახელწოდება ,,ქართლი" - ,,მცხეთის" წინამორბედად ჩათვალა.

ა. აფაქიძე, არქეოლოგიური მასალებსა და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, გამოთქვამს საფუძვლიან მოსაზრებას, რომ ანტიკური ხანის ქართლის სამეფო განვითარებული საქალაქო ცხოვრებით ხასიათდებოდა, რომელთა შორისაც დიდი უპირატესობით გამოირჩეოდა ქალაქი მცხეთა. ამის აშკარა დადასტურებაა თუნდაც მცხეთასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირებული, ყველაზე მეტი ინფორმაციის შემცველი არქეოლოგიური მასალაც. მცხეთის მაგალითზე აშკარად გამოიკვეთა, რომ: 1. ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ქალაქები სავაჭრო-სახელოსნო, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და სამხედრო-სტრატეგიულ ცენტრებს წარმოადგენენ. გარკვეული ნაწილი ქალაქებისა (მაგ. მცხეთა) დედაქალაქობის გამო სამეფოს პოლიტიკური ცენტრიც ყოფილა. 2. ქალაქი სამი უმთვრესი ნაწილისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი: ა) საკუთრივ ქალაქი (შესაბამისი სახისა და დანიშნულების

ნაგებობებით დასახლებული ტერიტორია); ბ) ციხე-სიმაგრეთა სისტემა და გ) გარე-უბანი (ქალაქის სასოფლო რაიონი). 3. ყოველ ქალაქს მისთვის დამახასიათებელი განლაგება ემჩნევა. მაგ. მცხეთა ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა. ძველი დედაქალაქის ამ ორი ნაწილის გამყოფ ხაზად მდ. მტკვარია წარმოდგენილი. შესაბამისად, როგორც ქართული საისტორიო წყაროები მიუთითებენ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო ,,არმაზით კერძი ქალაქი", ხოლო მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე - ,,მუხნარით კერძი ქალაქი". 4. ანტიკური ქალაქები წარმოშობილია უძველეს მოსახლეობათა განვითარების საფუძველზე, ამიტომ ერთ ქალაქად გაერთიანების შემდეგაც კი გრძელდება ცხოვრება, მაგრამ საქალაქო ვითარებაში ისინი ქალაქის უბნებად ან კარებად[14] ყალიბდებიან. 5. ქალაქის უბანი სათანადო ზღუდით ან ციხით არის დაცული. უბნის ციხე-სიმაგრე ქალაქის გამაგრების სისტემის ნაწილია, ამიტომ მათ გამაგრებაზე ქალაქის ხელისუფლება ზრუნავს. მცხეთაში ასეთ მზრუნველობას, როგორც წყაროებიდან ჩანს, სამეფო ხელისუფლება ახორციელებს. 6. ყოველ უბანს დამახასიათებელი ,,ხუროთმოძღვრული სახე" და ნაგებობანი გააჩნია. ყოველი უბნის მეურნეობა, ხელოსნობა და სხვა სპეციფიური საქმიანობა განსაზღვრავს უბნის სახეს. ქალაქის უბნებს გააჩნია საერთო დამახასიათებელი ნიშნებიც: საცხოვრებელი ნაგებობები გაშენებულია ზეგნებზე; სამაროვნები მოწყობილია დაბლობზე; საკულტო ადგილები გამართულია მაღალ ბორცვებზე; მეურნეობები და სახელოსნოები - დაბლობზე; უბნები ერთიმეორესთან დაკავშირებულია ხიდებით; თითქმის ყველა უბანს აქვს თავისი წყალსადენი, აბანოები, ციხე-სიმაგრეები და ა.შ. უბნების მოსახლეობა შიგნითაც არის დიფერენცირებული.

მცხეთისა და არმაზციხის ლოკალიზების საკითხს ეხება ალ. ბოხოჩაძეც, თუმცა მკვლევარის მოსაზრება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ თითქოს კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ აღნიშნული ,,მესტლეტა" და ,,ჰარმაკტიკა" ერთი ქალაქის ორი

[14] ივ. ჯავახიშიშვილის შენიშვნით წინაფეოდალური ხანის ვითარების ამსახველ წყაროთა მიხედვით, ქალაქი უბნებად იყო დაყოფილი. უბნებს თავისი კარი ჰქონდათ. ქალაქის ზღუდეც კ ა რ ე ბ ა დ იყო დაყოფილი. მაგ: მცხეთას 3 კარი ჰქონდა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. თბ., 1946. გვ. 41.

უბანია და არა ცალ-ცალკე არსებული ქალაქები ნაკლებ გასაზიარებელია (ბოხოჩაძე 1978, 20-21).

მცხეთის წარმოშობასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს გ. ყიფიანის მოსაზრებაც. ავტორი ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, სტრაბონის, პლინიუს უფროსის და დიონ კასიოსის მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ არმაზციხისა და მცხეთის გეოგრაფიული განსაზღვრებები ადრეული პუნქტიდან ანუ არმაზიდანაა (არმაზციხიდან) მოცემული, რადგან მცხეთა ,,იმიერია“, არმაზციხე კი ,,ამიერი“ ქალაქი“, ხოლო ე.წ. ,,ორმეფობის“ დროს უპირატესი ქალაქი მცხეთაა ,,იმიერი ქალაქი, ვინაიდან უფროსი მეფე სწორედ იქ ზის: ,,... და მეფობდა იმიერ ფარსმან და ამიერ კაოზ“ და ა. შ.

ავტორის დაკვირვებით ,,იმიერი“ მტკვარმარცხნივ, მცხეთას უნდა გულისხმობდეს, ხოლო ,,ამიერი“ მტკვარმარჯვნივ არმაზს[15]. იმ მრავალ ფაქტორს შორის კი, რომელიც ურბანული სისტემის წარმოქმნას განაპირობებს, გ. ყიფიანი ორ ძირითად გეოგრაფიულ მსაზღვრელს გამოყოფს: ბუნებრივი დომინანტი - მაღლობი, საიდანაც კონტროლდება ტერიტორია და ამდენად იქმნება ამ ქალაქის ,,ქვეყანა“ და მას დაქვემდებარებული ,,ქვე“ მიწა (ბუნებრივი სანიტარული გარემო მდინარეთა ხერთვისში) მდინარის მიერ შექმნილ ,,უბეებში“ შეჭრილი ნახევარკუნძულის სახით, სადაც საქალაქო ფართობის ორი კიდე მაინც წყლით ,,ირეცხება“. ხერთვისში შეჭრილ ნახევარკუნძულზე განფენილ მცხეთას რომ უპირატესობას ანიჭებდნენ არმაზციხესთან შედარებით იქიდანაც ჩანს, რომ უფროსი მეფის სატახტო ადგილი სწორედ ის გახდა.

---

[15] თავის დროზე, ამავე დასკვნამდე მივიდა პ. ინგოროყვაც. სავარაუდებელია, რომ უკვე ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნიდან, როდესაც ხაზი ესმევა მცხეთაში ქალაქის შექმნას და მის ,,გაშორებას“, სამეფო რეზიდენციას უკვე მცხეთა წარმოადგენდა, ხოლო არმაზის აკროპოლი სპასპეტის რეზიდენციად დარჩა. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად პოლიტიკურ გათიშვას სრულიადაც არ გულისხმობდა. ასეთს ადგილი ჰქონდა, როგორც დავასკვენით, ,,ორმეფობის“ მხოლოდ გარკვეულ ეტაპებზე. ის გარემოება, რომ იბერიის ნამდვილ მეფეების უმეტესობა ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკას ,,იმერ მეფეთა“ კატეგორიაში ყავს მოქცეული, ხოლო ,,ქართლის ცხოვრება“ მათ არმაზელ მეფეებად განიხილავს, როგორც პ. ინგოროყვა ასკვნის, იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ქართულ მატიანეთა თავდაპირველი წყარო - არმაზული მატიანე, რომელიც შეიცავდა იბერიის მეფეთა სიას, გადამუშვაებული იქნა შემდეგში მცხეთაში, სადაც, ბუნებრივია, ძველი მატიანეს ,,იმიერი“ გაგებული იქნა როგორც არმაზი, ხოლო ,,ამიერი“ - როგორც მცხეთა. იხ. გ. მელიქიშვილი, ,,ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისთვის“, შრომები IV, ნაკვ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1958. გვ. 160.

გ. ყიფიანის სტატიიდან ასევე ვგებულობთ, რომ მდინარეების - მტკვრისა და არაგვის ხერთვისთან არსებულ გეოგრაფიულ გარემოს სტრატეგიული დანიშნულების მხრივ საკმაოდ ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნა. დასავლეთიდან მომდინარე მტკვარი ელიფსურად შემოსწერს მთა-ქართლის (არმაზციხის) კიდეებს და გზას აგრძელებს ჯერ სამხრეთისაკენ და შემდგომ - სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. იქ სადაც იგი ელიფსურ მოყვანილობას ქმნის, მას ჩრდილოეთიდან მომდინარე არაგვი უერთდება განტოტების ფართო ქსელით. მათი შეუღლების არეში ჩრდილო-დასავლეთიდან შემოჭრილია სამკუთხა ნახევარკუნძული - მცხეთის საქალაქო ტერიტორია, ხოლო დასავლეთიდან ,,მთა-ქართლი“ თავისი ,,ცხვირით“ ანუ არმაზციხით. ამდენად მცხეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაპირს მტკვარი აკონკრეტებს, ხოლო აღმოსავლეთისას - არაგვი (მდ. არაგვს, რომელიც თვის მხრივ საკმაო დროს მოანდომებდა თავისი კალაპოტის განმტკიცებას, მცხეთის საქალაქო ტერიტორია სავარაუდოდ ძვ.წ. I-ის მიწურულს უნდა შეექმნა) (ყიფიანი 2010, 103) (*სურ. 12; 13; 14*).

მკვლევარმა მცხეთისა და არმაზციხის ქრონოლოგიური საკითხი სრულიად განსხვავებული და საინტერესო კუთხით განიხილა სტატიაში ,,არდამის ქართლში ლაშქრობა და მოღვაწეობა“, სადაც არდამის ქართლში შემოსვლასა და მის სამშენებლო საქმიანობას ძვ.წ. IIს-ით განსაზღვრავს (ყიფიანი 2010, 134-155) (*სურ. 15*).

არმაზის ციხის ლოკალიზების დასაზუსტებლად მეტად მნიშვნელოვანია სპეციალისტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები მცხეთისა და არმაზციხის ურთიერთდამოკიდებულების შესახებაც. ეს საკითხი ორიგინალურად უკავშირდება ქართლის (იბერიის) სამეფოს სამხრეთ საზღვრის საკითხებს ჩვენთვის საინტერესო ხანაში - მცხეთის დედაქალაქობის ხანაში. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ თითქოს არმაზი და მცხეთა ორ სხვადასხვა, დამოუკიდებელ ქალაქს წარმოადგენდა. მცხეთას განიხილავდნენ მტკვრის მხოლოდ მარცხენა ნაპირზე და არმაზს და არმაზციხეს ამ მდინარის მარჯვენა მხარეს (აფაქიძე 1958, 83). ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა დაწვრილებით გაარჩია პტოლემაიოსის ცნობა,

რომელმაც მტკვარი სამეფოთა შორის საზღვრის დამდებად მიიჩნია, და გამოთქვა მოსაზრება, რომ პტოლემაიოსს მტკვარი როგორც განმსაზღვრელი ხაზი ალბანიასა და სომხეთს შორის უნდა ჰქონოდა ნაგულისხმევი“ (ჯავახიშვილი 1950, 21-22), სტრაბონის მიხედვით - მტკვარს სათავე სომხეთის მთებში აქვს, ხოლო პლუტარქოსის მიხედვით - მტკვრის სათავე იბერთა მთებშია საძიებელი. კლასიკურ მწერალთა ცხოვრების ახლებურად შესწავლამ ივ. ჯავახიშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ზოგიერთი მათგანი შემდეგი დროის გადამწერთა მიერაა დამახინჯებული და ამ ცნობების ნდობა არ შეიძლება.

ი. ჯავახიშვილი დაწვრილებით განიხილავს პტოლემაიოსის მონაცემების სომხურ შევსებულ თარგმანს (ე.წ. VII ს. უსახელო გეოგრაფიას) და აღნიშნავს, რომ ამ გეოგრაფიის მოკლე რედაქციაში მტკვარი იბერიისა და ალბანეთის შორის არის მოსაზღვრე ხაზად დასახელებული; ხოლო ამავე ძეგლის ვრცელ რედაქციაში კი უკვე სომხეთის საზღვრად მოისაზრება: ,,ამგვარად ის, რაც მოკლე და უძველეს რედაქციაში ალბანიასთან მოსაზღვრე ხაზად არის აღნიშნული, ვრცელსა და მერმინდელ რედაქციაში სომხეთის განმსაზღვრელად არის ქცეული და ამნაირად მტკვარი იბერიისა და სომხეთის მიწა-წყლის გამყოფელ ხაზად არის მიჩნეული“ (ჯავახიშვილი 1950, 2).

სიმონ ჯანაშამ ქართული და კლასიკური წყაროების ანალიზის გზით ცხადი გახადა იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრები. მასზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ძვ. წ. II საუკუნისათვის იბერიის სამეფოს მიწა-წყალი სამხრეთისაკენ უფრო ვრცელი იყო ვიდრე მომდევნო ხანაში, როდესაც ტიგრან მეორემ იბერიის ის ტერიტორია დაისაკუთრა, რომელიც არაქსის ჩრდილოეთით მდებარეობდა. ძვ. წ. I საუკუნისათვის იბერიის სამხრეთი საზღვარი, აკად. ს. ჯანაშიას მიხედვით, მტკვრისა და არაქსის აუზებს შორის მდებარე წყალგამყოფ ქედზე გადიოდა. ავტორმა იქვე გვიჩვენა იმ მოსაზრებათა უსაფუძვლობა, რომლის მიხედვითაც (იბერიის) სამხრეთ საზღვარი ქ. მცხეთასთან, მტკვარზე გადიოდა, ხოლო აღმოსავლეთისა - არაგვზე. მისი შენიშვნით: ,,... თუ იბერიის პოლიტიკური საზღვრების ამგვარ განმარტებას დავეთანხმებით - მივიღებთ ორიგინალურს - უთუოდ უნიკალურს მსოფლიო ისტორიაში - ვითარებას,

როცა ერთი სახელმწიფო (ამ შემთხვევაში იბერიის) დედაქალაქის (მცხეთის) უდიდესი ნაწილი ორი უცხო სახელმწიფოს ფარგლებში მდებარეობს: ერთი მესამედი, სამეფო რეზიდენციისა (არმაზი) შემცველი - არმენიაში, მეორე მესამედი კი არაგვის მარცხენა ნაპირზე (ალბანიაში)“ (ჯანაშია 1952, 249). განხილული მასალების გათვალისწინების შემდეგ გამოდის, რომ ქართული და უცხოური საისტორიო წყაროების კრიტიკული შესწავლის შემდეგ არ რჩება არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ იბერიის (ქართლის) და სომხეთის საზღვარი მცხეთასთან, მდ. მტკვარზე დაიდოს, არმაზი სამხრეთის სახელმწიფოს მიწაწყალზე ვიგულისხმოთ და მცხეთა ჩრდილოეთისაზე და, ამგვარად ერთი ქალაქის ეს ორი ნაწილი ერთმანეთს ასე მოვწყვიტოთ; პირიქით, წერილობითი (ქართული, ბერძნული და სომხური) წყაროები მტკიცე საფუძველს გვაძლევს იბერიის დედაქალაქი წარმოვიდგინოთ ვრცლად გაშლილი მდინარე მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ამ მდინარის ორივე ნაპირზე. მკვლევარის მიხედვით, სახელების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ცნობილია ამგვარად: ქართლი და მცხეთა. ამას გარდა, მცხეთის სახელის გაჩენამდე დედაქალაქის ის ნაწილი, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა არმაზის სახელითაც არის ცნობილი (აფაქიძე 1958, 89-90).

კვლევისას გასათვალისწინებელია ის სიგელ-გურჯებიც, რომელშიც არაერთი ცნობაა დაცული არმაზის შესახებ. უძველესი მათგანი მეთოთხმეტე საუკუნის ბოლო წლებს განეკუთვნება. ეს ცნობები საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მათში არმაზი აშკარადაა გადმოცემული როგორც მცხეთის უშუალო კუთვნილებაში მყოფი პუნქტი (აფაქიძე 1958, 82-83).

ისტორიული მონაცემები მნიშვნელოვნად შეავსო I-III საუკუნეებით დათარიღებულმა იმ არქეოლოგიურმა მასალამ, რომელთა მეცნიერული შესწავლა დაიწყო ჯერ კიდევ 1860-იანი წლებიდან - მცხეთის მიდამოებში, საქართველოს სამხედრო გზის გასაყვანად ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებით (ლომთათიძე 1955, 329).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აკად. ივანე ჯავახიშვილისა და აკად. სიმონ ჯანაშიას მიერ მცხეთაში წარმოებული სისტემური არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც 1937 წლიდან დაიწყო. მცხეთაში აღმოჩენილ, უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლებზე დაკვირვება უდავოდ იძლევა საშუალებას წარმოვიდგინოთ იბერიის ძველი დედაქალაქის ტერიტორია, მისი ძირითადი უბნები, საქალაქო ხუროთმოძღვრება, ფორთიფიკაცია, ხელოსნობა, ვაჭრობა, კულტურა და პოლიტიკური წყობილება. ქალაქ მცხეთას უმთავრეს ნაგებობათა დღემდე გათხრილი ნაწილი, განსაკუთრებით კარგად ასახავს აღმოსავლურ-ქართული სამეფოს ვითარებას ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან. ეს სწორედ ის დროა, როდესაც ჩნდება ზოგადად წერილობითი ცნობები მცხეთის შესახებ. ეს ცნობები კი დაახლოებით ისეთივე სახით წარმოაჩენენ იბერიის ქალაქებს, როგორადაც ადასტურებს მათ მცხეთის არქეოლოგიური მონაპოვრები. ამის დადასტურებაა თუნდაც სტრაბონის ცნობა: ,,ალბანელთა და იბერთა ხალხებს, რომელნიც შეადგენენ დასახლებული (კავკასიის) ყელის მთავარ მოსახლეობას, უჭირავთ... მდიდარი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია ძალიან ხშირი მოსახლეობა ჰყავდეს. და მართლაც, იბერია მშვენივრადაა დასახლებული მეტწილად ქალაქებითა და დაბებით, ისე, რომ აქ კაცს ხვდება კრამიტის[16] სახურავებიც და არქიტექტურული ხელოვნების წესების თანახმად მოწყობილი სახლებიც, ბაზრებიც და სხვა საზოგადოებრივი შენობებიც“ (აფაქიძე 1956, 34).

გათხრებმა დაადასტურა, რომ მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის ორივე ნაპირზე ფართოდ გაშლილ დედაქალაქს მრავალი, მეტნაკლებად დამოუკიდებელი უბანი ჰქონდა მათთვის დამახასიათებელი ნაგებობებით. ასე მაგ. არმაზციხის უბნის დამახასიათებელ ნაგებობებს ა. აფაქიძე წარმოიდგენს დედაქალაქის შიდაციხის - აკროპოლისის სახით. შიდაციხეს თავის მხრივ არა ერთი დამახასიათებელი ელემენტი

[16] კრამიტი, რომელიც საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ,,დიდი მცხეთის“ თითქმის ყველა უბანზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა ბაგინეთი, არმაზისხევი, წიწამური და სარკინე. მათი გამოვლენა ხდებოდა, როგოც სამარხებში, ასევე ნაგებობათა ნანგრევებსა და კულტურულ ფენებში. იხ.: ,,მცხეთა I“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1955, გვ. 19, 129-131; ა. აფაქიძე, ,,საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე“, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1956. გვ. 59; ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1963, გვ. 43-83. და სხვ.

აღმოაჩნდა, როგორიცაა მაგ.: ზღუდე, ციტადელი, სასახლის თუ ტაძრის ტიპის ნაგებობათა ნაშთები, წყალსადენები, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი (აფაქიძე 1959, 35).

დიდი მცხეთის ციხე-სიმაგრეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებისა და ქვეყნის ეკონომიური დაწინაურების საქმეში. ციხე-სიმაგრეთა სისტემა ძლიერი იარაღი იყო ქალაქის ეკონომიკური სიძლიერისათვის. იგი ხელს უწყობდა ქალაქისა და მისი სასოფლო რაიონის მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობას, რომლის გარეშეც ანტიკური ხანის ქართლის ქალაქები არსებობას ვერ შესძლებდნენ. ასეთ ვითარებაში აშკარად იკვეთება მათი განსაკუთრებული როლიც: ციხე თავისკენ ეწევა: გზას; ქალაქის სასოფლო რაიონს - დაბებს; ხელოსნებსა და ვაჭრებს; იცავს ქულბაქებსა და ა. შ. ამიტომ ანტიკური ხანის ქართლის ქალაქების ცხოვრების უმთავრესი მხარეები და ხასიათი ამ ქალაქების ციხე-სიმაგრეთა როლის გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა (აფაქიძე 1959, 37).

ანტიკური ქალაქების შესწავლისას, სოციალური სტრუქტურისა და ზოგადად პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტების განვითარების პარალელურად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების სულიერი კულტურის იმ მხარის წარმოდგენას, რომელიც სარწმუნოების, საიქიოს შესახებ წარმოდგენას და რელიგიურ კულტს განეკუთვნება. წერილობითი წყაროების მიხედვით ერთადერთი კულტი, რაც ქრისტიანობის შემოღებამდე დასტურდება, არმაზს უკავშირდება. საიდან გაჩნდა და რა გზით შემოვიდა სახელი არმაზი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გარკვეული. როგორც ცნობილია, ლეონტის მიხედვით არმაზი უკავშირდება ფარნავაზის მოღვაწეობას: „... და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა... ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. აღმართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და ამიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთჳს“ (ქართლის ცხოვრება 1955, 25). სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით არმაზის კულტი ძირითადად აჰურამაზდასა და მითრაისტულ კულტს უკავშირდებოდა (ლომთათიძე

1955, 360-361). მითრას კულტთან მჭიდროდ იქნა დაკავშირებული არმაზისხევისა და ბორის ვერცხლის პინაკზე ამოღარული საერთოდ ერთგვარი, მაგრამ სხვადასხვა ხელით და ეგებ სხვადასხვა დროსაც შესრულებული, სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენის გამოსახულებები. აკად. ს. ჯანაშიამ ადრევე გამოთქვა მოსაზრება მითრაისტულ რწმენებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენილი უნდა ყოფილიყო მზის კულტის სახით. ამავე კულტთან აიგივებს ს. მაკალათია ბორშივე აღმოჩენილ მშვილდსაკინძს, ხარის მცირე ქანდაკებას, რომელსაც რქებს შორის თითქოს მზის დისკო აქვს და აგრეთვე იმ ვერცხლის ჭურჭლის ყურებზე გამოსახულ სიუჟეტს, რომელიც მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილ სამარხში ყოფილა მინის ჭურჭელთან ერთად. საინტერესოა, რომ სამივე ,,მითრაისტული“ პინაკი გვიანანტიკური საქართველოს უმაღლესი, მმართველი არისტოკრატიის წარმომადგენელთა სამარხებშია აღმოჩენილი: ორი არმაზისხევში, ბერსუმა პიტიახშის სამარხში (3ს), ხოლო მესამე - ბორში, ბუზმირ პიტიახშის სამარხში (2 ს. ?). მითრასვე უკავშირდება ტახის გამოსახულებანი, რომლებიც არმაზისხევის ერისთავთა ინვენტარში პატარა ოქროს საკიდი ავგაროზითაა წარმოდგენილი (სხვათა შორის შემჩნეულია, რომ ესეც და სხვა ავგაროზებიც ჩვეულებრივ ქალთა სამარხებშია დადასტურებული) (ლომთათიძე 1955, 360-361).

საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული ამ საკითხზე ა. ი . ბოლტუნოვას. წერილში ,,არმაზის საკითხის შესახებ“ ავტორი აქვეყნებს ლურსმნული ტექსტებიდან ამოკრებილ მასალებს, რომელთა მიხედვითაც სახელი არმაზი - Armas დასტურდება ხეთურ ტექსტებში; სახელდობრ ბოღასქოიში აღოჩენილ წარწერებში, რომლებიც ხატუშილ მე-2-ის გამეფების ისტორიაზე მოგვითხრობს. ირკვევა, რომ ხეთები მთვარის ღვთაებას უწოდებდნენ Armaš ან Armas (ძირი - Arma). ა. გეტცეს მიხედვით ,,Arma“ - ფუძიდან ნაწარმოები ჩანს მრავალი სახელი ხეთურ წარწერებში, მაგ: Armaš, Armati, Armatallis, armatanšaš, Armakas და ა. შ. (Болтунова 1949, 228-240) აღნიშნული ცნობები სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგენს ლეონტი მროველის მონაცემებს ფარნავაზის მიერ არმაზის კერპის დადგმის შესახებ, ვინაიდან მკვლევარის მოსაზრება აშკარა მითითებაა იმისა, რომ ქართლის სამეფოს ოფიაცალური ღვთაების სახელი, მთვარის ღვთაებასთან

დაკავშირებული, ხეთურ-მცირეაზიული წარმოშობისაა და არა სპარსული. ამ მოსაზრებას მხარს უჭერდა აკად. გ. მელიქიშვილიც (Меликишвили 1952, 44).

მრავალწლიანი კვლევებით ნათლად გამოიკვეთა, რომ ანტიკური პერიოდის მწერალთა და გეოგრაფოსთა მონაცემები ,,Μεστλήτα“-სა და ,,‘Αρμάκτικα“-სთან მიმართებაში აბსოლუტური სიზუსტით იძლევა საშუალებას ამ პუნქტთა ლოკალიზება მოხდეს თანამედროვე მცხეთასთან და არმაზციხესთან. ამის საფუძველზე, კონკრეტული კვლევის წარმართვისას, სავსებით დასაშვებად მივიჩნიეთ, მეცნიერთა მიერ შემუშავებული მონაცემები გამოგვეყენებია კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ იბერიის საზღვრებში მოქცეულ პუნქტთა შორის ურთიერთმიმართების დასადგენად და მყარ წერტილებადაც სწორედ Μεστλήτα-სა (მცხეთა) და ‘Αρμάκτικα-ის (არმაზციხე) ნიშნულები აგვერჩია.

კლავდიოს პტოლემაიოსის მონაცემების შესწავლისას სავსებით გასაგებია სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ის უნდობლობა, რომელიც გეოგრაფოსის მიერ დაშვებულმა კოორდინატულმა უზუსტობამ გამოიწვია. თუმცა ისიც ცხადია, რომ ,,გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ მოცემული ,,კარტოგრაფიული ბადე“, აღნიშნული პუნქტებითა და მათთვის მინიჭებული გრადუსული სისტემით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირველწყაროა და მისი უგულებელყოფა გამართლებული ვერ იქნება.

პტოლემაიოსის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში განსაკუთრებული კრიტიკით განიხილავდნენ იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში მოცემულ ,,Μεστλήτα“-სა და ,,‘Αρμάκτικα“-ს პუნქტებს, რომლებიც დაკონკრეტებულია შემდეგი კოორდინატებით: Μεστλήτα - 75° 40′ – 45°; ‘Αρμάκτικα - 75° – 44° 50′. ამასთან დაკავშირებით, ნ. ლომოურმა სტატიაში - ,,ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის“, გამოთქვა უარყოფითი მოსაზრება და განაცხადა, რომ პტოლემაიოსის კოორდინატებზე დაყრდნობა სრულიად შეუძლებელია მათში არსებული, მნიშვნელოვანი შეცდომების გამო. ავტორის შეფასებით, პტოლემაიოსის კოორდინატებზე დაყრდნობით უნდა მივიღოთ, რომ თითქოს არმაზციხე მტკვრიდან 10′ ჩრდილოეთისკენ, ანუ 12კმ-ით,

ხოლო მცხეთა 20´, ე. ი. 24 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო მცხეთასა და არმაზციხის შორის მანძილი 12კმ-ს უნდა შეადგენდეს (ლომოური 1968, 113).

პტოლემაიოსის ,,გეოგრაფია“-ზე დაყრდნობით შექმნილი მოგვიანო პერიოდის ანტიკური რუკებიდანაც ისე იკვეთება, რომ გეოგრაფოსს თითქოს აღნიშნული პუნქტებიდან ორივე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ჰქონდა ნაგულისხმევი (რაც კიდევ დამატებით უნდობლობას ბადებდა მკვლევართა შორის).

სამწუხაროდ, ამ მონაცემების შესწავლისას არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ პტოლემაიოსის მიერ მოცემულ მცხეთისა და არმაზციხის კოორდინატებში არ არის დაზუსტებული მინუტები, რაც ნებისმიერ მკვლევარს, თუ კარტოგრაფს აძლევდა და აძლევს შესაძლებლობას მოცემული პუნქტები დასვას საკუთარი მოსაზრების შესაბამისად (ამის შედეგი უნდა იყოს არმაზციხის ლოკალიზებაც მტკვრის მარცხენა ნაპირზე).

თავი 4. დასახლებული პუნქტი ლუბიონი - ,,Λούβιον κώμη”

იბერიის ქალაქთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტოპონიმი - ,,Λούβιον κώμη”, იგივე ,,დასახლებული პუნქტი ლუბიონი”. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც გეოგრაფოსი კოლხეთისა და იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში ახსენებს ,,დასახლებულ პუნქტს” და არა კონკრეტულად ,,ქალაქს”. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კლავდიოს პტოლემაიოსი თავის სახელმძღვანელოში მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის პუნქტებს უთითებდა, გამოდის რომ ეს ,,დასახლებული პუნქტი” წარსულში არსებითი ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ,,Λούβιον κώμη” გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში დაკონკრეტებულია მისთვის მინიჭებული გრადუსებითა და მინუტებით (75°40´-46°50´) (*სურ. 7; 8; 9₂; 11*), რომლის მიხედვითაც იგი კავკასიონის ძირში ლოკალიზდება, იქ სადაც სოფ. კისტანის სამხრეთით, ორ ხეობას შორის წარმოქმნილი ტერიტორიაა (*სურ. 16₁, 16₂*).

სამეცნიერო ლიტერატურაში, მკვლევარები დასახლებულ პუნქტ ლუბიონს უკავშირებენ პლინიუსთან დასახელებულ ლუპენიების ტომს, რომელიც თითქოსდა ალაზნის ზემო წელზე (სათავესთან) მოსახლეობდა. ერემიანის მოსაზრებით ქვეყანა ,,ლპნიკი” (ლოინოზი) მოსაძებნია მარსპანის ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კავკასიის მთავარი ქედის ძირში, კონკრეტულად მდ. ალაზნის ზედა წელში, შილდას მიდამოებში (ლომოური 1955, 59; Еремян 1939, 85) (*სურ. 17*). მისივე ვარაუდით ლპინების სახელწოდება შერჩა თვით მდ. ალაზანსაც (აგუან-ალაზან-ლიბან), რაც ავტორმა ასახა კიდეც თავის ისტორიულ რუკაში.

ლოკალიზაციისათვის, კოორდინატთა ბადეზე, მყარ წერტილებად მესტლეტასა (მცხეთა) და ჰარმაკტიკას (არმაზციხე) მონაცემების გამოყენებით, გეოგრაფოსის ნიშნული კონკრეტულად თანხვდება შატილის გზაზე, პირიქითა ხევსურეთში არსებულ სოფელ ლებაისკარს (GPS კოორდინატები: N-42.55041˚; E-045.08042˚) (*სურ. 18₁; 18₂*). აღნიშნული პუნქტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით დიდ ინტერესს იწვევს. დათვისჯვრის უღელტეხილიდან (5 კმ-ში) პირიქითა ხევსურეთში ის პირველი

სოფელია (ჭინჭარაული 2008, 26) (*სურ. 16₁*). ისტორიულად, სწორედ მდინარე იორისა და ფშავ-ხევსურეთის არაგვების სათავეებიდან არღუნის ხეობის გავლით გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული მაგისტრალი, რომელიც კახეთს ჩრდილო კავკასიასთან აკავშირებდა. საყურადღებოა ისიც, რომ კისტან-ლეგაისკარით გზა წუბროვანის მთით გადის ხახაბოში, საიდანაც შესაძლებელი ხდება როგორც უკანა ფშავში, ისე კახეთში გადასვლა (ოჩიაური 1964, 26).

პირიქითა ხევსურეთი (სადაც სავარაუდოდ ლოკალიზდება საკვლევი პუნქტი) საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა თავისი მდებარეობით, ბუნებით, წარსულით, მატერიალური და სულიერი კულტურით, მეურნეობის ფორმებით და ყოფის ტრადიციული თავისებურებებით. აქედან გამომდინარე, ინტერესი ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა და მოგზაურთა მხრივ ყოველთვის დიდი იყო. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე. კავკასიონის ქედი ხევსურეთს ორ ნაწილად ჰყოფს - პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთად. პირიქითა ხევსურეთი შედგება სამი ხეობისაგან: მიღმახევი, შატილი და არხოტი. შეიცავს დაახლოებით 565 კვ/კმ-ს. პირაქეთა ხევსურეთი კი - არაგვის ხეობისაგან. ხევსურეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ჩეჩნეთი და ინგუშეთი, აღმოსავლეთით - თუშეთი, დასავლეთით - ხევი და გუდამაყარი, სამხრეთით - ფშავი. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ხევსურეთის მთელი ტერიტორია შედის მცხეთა-მთიანეთის მხარის, დუშეთის რაიონში და ოთხ თემადაა გაყოფილი: ბარისახოს, გუდანის, შატილისა და არხოტის. სახელწოდება ,,ხევსურეთი“ შერქმეული აქვს მხარის მთიანი, ხევებიანი ადგილმდებარეობის გამო. ამ სახელწოდებით წყაროებში XV საუკუნიდან იხსენიება. ხევსურეთის ადრინდელი სახელწოდებაა ფხოვი (ასე ეწოდებოდა მას ფშავთან ერთად), ხოლო ხევსურებისა და ფშავებისა - ფხოველები. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: ,,ძუელად ეწოდა ამ ორთა ხეობათა ფხოელნი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1941, 86). პირიქით და პირაქეთ ხევსურეთი ერთმანეთს უკავშირდებიან არხოტისა და დათვისჯვარის (იგივე ველკეთილი) უღელტეხილებით. XVIII საუკუნის აღწერილობაში ხევსურეთი, ფშავთან და თუშეთთან ერთად, კახეთის მთიანეთადაა

მიჩნეული. დიდოს ხეობის სოფლები ამ დროს ლოპოტის ხეობას ყოფილან მიწერილი. შატილის თემი კი იერთებდა ორ ხეობას: ლებაისკარ-გურო-შატილსა და მუცო-ხონე-არდოტ-ანდაქსა და ხახაბოს. ხევსურეთის სოფელი მჭიდროდ დასახლებულ ერთეულს წარმოადგენდა, როგორც ეს საერთოდ, მთიანი ზოლისათვის იყო დამახასიათებელი და ისინი ხეობის მიხედვით იყვნენ განლაგებულნი (ხევი აქ სასოფლო-ტერიტორიული ერთეულია). ფშავ-ხევსურეთთან მიმართებით, საყურადღებოა ე. თაყაიშვილის ,,შენიშვნები ბატონიშვილის ვახუშტის ისტორიის და გეოგრაფიის ხელთნაწერების შესახებ“ (თაყაიშვილი 1907, 72-73), სადაც მოცემულია დავით რეკტორის ტექსტი და ფშავ-ხევსურეთის სოფელთა სია. კონკრეტულად აქედან ვგებულობთ, რომ: ,,კეთილშობილი ალექსის ძე რეკტორი დავით მისს უგანათლებულობას, საქართველოს მეფის გიორგის ძეს, ბატონიშვილს დავითს ფშავსა და ჴევსურეთს ვახლდი წელსა ქჴსუოᲜ (=1800წ.), ამას რიცხუსაშინა, დიდ-შეუვალი და საჭირო გზა ყოფილა კაცთათვის სავალად. მომაგონდა იგი სიტყუა, რომელი ჰწერს კჴნტოს კურციოს ალექსანდრე დიდის ისტორიასა შინა ალექსანდრე მაკედონელისათვის, ვითარმედ ,,შევიდოდით ჩრდილოთ კერძო კლდეთა ფრიად იწროთა და მიუვალთა კაცთაგან და დავიფარვოდით ნაპრალთა და დანახეთქთა კლდისათა და მოგვეგებოდიან კაცნი ფრიად ველურ-ქმნილნი“. ამავე პერიოდის მოსახლეობასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობაა დაცული ს. კაკაბაძის ნაშრომში, რომლის მიხედვითაც ასევევ ვგებულობთ: ,,.... არის ხევსურეთი კერძო ქრისტიანენი, ჩვენის მოუცლელობით და ჟამთ ვითარებით სჯულზედ წამხდარნი, კომლი 1200“ (კაკაბაძე 1920, 28).

საუკუნეების განმავლობაში ხევსურეთი პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტატუსით სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტების პერიოდში არაგვის ერისთავები, რომელთაც მთიანეთის საერთო გამგებლობა ევალებოდათ ცდილობდნენ ხევსურეთზე საბოლოო გაბატონებას. გვიანშუასაუკუნეებში ამ მხარის მნიშვნელობა გაიზარდა. იგი ბარს იცავდა მოთარეშე რაზმების დარბევისაგან. არანაკლებ საინტერესო ცნობა აქვს მოცემული გიულდენშტედტსაც კავკასიის მთიან ნაწილზე (*სურ. 19*). მისი მიხედვით ვგებულობთ, რომ კავკასიის სამხრეთ მთისწინეთს დაახლოებით 40-45 ვერსამდე სიგანე აქვს და

შედგება სწორედ ისევე, როგორც ჩრდილოეთ მთისწინეთი, ქვიშაქვისაგან, რომელსაც თითქმის ყველგან მაღლობზე დაფენილი აქვს კირქვა. ამ მიზეზით ავტორი მას უწოდებს Promontarium austral cotaceo-calcareum-ს. მაღალ მთებში მდებარე თემებში, როგორიც არის თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი და სვანეთი, ის თითქმის მთლად დაკნინებულია და მოსახლეობა ცხოვრობს სრულიად ურელიგიოდ და სარწმუნოებრივი წესების შეუსრულებლად. მხოლოდ დიდი მარხვის შენახვა და კვირაობით მუშაობისაგან თავშეკავება არის აქ, ისევე როგორც ქისტეთში, ოსეთში და ბასიანში ერთადერთი გადმონაშთი ბერძნულ-ქრისტიანული რელიგიისა, რომელიც არასოდეს ღრმად ფესვებ გამდგარი არ ყოფილა (გამრეკელი 1964, 79-88).

სოფ. ლებაისკარში, 1873 წლის აღწერით 15 მოსახლე ცხოვრობდა (სურ. 20). 1925 წლის ს.ს.ს.რ. ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ,,ლებიის კარი“ შედიოდა დუშეთის მაზრაში (შატილის თემი), 10 კომლითა და 35 მცხოვრებლით (ს.ს.ს.რ. ადმინისტრაციული დაყოფა 1925, 45), 1926 წელს 12 მცხოვრებლით, ხოლო 1960 წლისათვის მხოლოდ 3. მოგვიანებით სრულიად გაუკაცურდა (ოჩიაური 1977, 48). 1939 წლისთვის ლებაისკარში მოსახლეობის არსებობას ადასტურებს ეთნოგრაფიული ექსპედიცია რ. ხარაძის ხელმძღვანელობით. მკვლევარის გადმოცემით, იმ დროს ლებაისკრელნი ძველ მამად მამისაურებად იწოდებოდნენ და თავის შიგნით კიდევ ახალ მამებად იყოფოდნენ: ა) ბოსელანი და ბ) გვიანაურნი (ხარაძე 1941, 80).

ამ დროისათვის სოფ. ლებაისკარში დგას მხოლოდ ერთი, შუა საუკუნეების ქართული ხუროთ-მოძღვრების ძეგლი, თუშეთ-ხევსურეთში გავრცელებული სტრატეგიული დანიშნულების, ხუთსართულიანი, სიპედიანი კოშკი (მაკალათია 1984, 121; ოჩიაური 1977, 23) (*სურ. 21₁₋₂, 21₃*), (ხევსურეთში ,,სიპედს” უწოდებენ ქვის თხელი ფილებით გამოყვანილ საფეხურებიან, პირამიდისებურ გადახურვას, რომელიც ამავდროულად აღნიშნავს ქვის სახურავსაც და ქოხსაც. სახელწოდება - ,,სიპედი” მიიღება ჩვეულებრივი სამშენებლო მასალის - სიპისაგან). ძეგლი დეტალურად აქვს შესწავლილი ანზორ ქალდანს (ქალდანი 1988, 13-16). მისი აღწერით კოშკი კვადრატული გეგმისაა (4,25/4,25მ.), სიმაღლით - 15,55 მ. (*სურ. 21₁₋₂*). პირველი

სართულის კედლები ყრუა (*სურ. 23*). კოშკის მეორე სართულის გადახურვა გუმბათოვანია, რომელიც ამოყვანილია კირის ხსნარით შეკავშირებული ქვის წყობით. ბოლო სართულის ჭერი წარზიდული გუმბათის ფორმისაა, რომლის ზედა ნაწილიც წაკვეთილია. დანარჩენი სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზეა მოწყობილი. სახურავი სიპედიანია, 14 საფეხურით (*სურ. 24*). სახურავში სიპის ფილები ცალი კიდით ისეა წყობაში ჩამაგრებული, რომ წყობის გარეთ დარჩენილი ნაწილები საფეხურებს ქმნის. სიპედზე კონუსისმაგვარი ქვაა დასმული (ამ ტიპის კოშკები ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაშიც, კერძოდ ინგუშეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში) (ქალდანი 2004, 18-226; Mango, 1991-1992, 65).

კოშკზე, შესასვლელი მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელშია გაკეთებული, მიწის დონიდან 2,2 მ-ის სიმაღლეზე. იგი ტრადიციულია, ნაოთხალებითა და წირთხლებში საურდულე ხვრელებით. დასრულებულია ნახევრწრიული თაღით.

მესამე-მეოთხე სართულების აღმოსავლეთის მხარეს თითო თაღოვანი სარკმელია. მეორე-მეოთხე სართულების ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში მოწყობილია სათოფურები, როგორც ჩვეულებრივი, ასევე დუბლირებული სამმაგი ხვრელით. საფასადე მხარეს ხვრელები სამკუთხა მოყვანილობისაა.

ბოლო სართულის ოთხივე მხარეს თითო სალოდეა მოწყობილი. სალოდეების კედლებში კი სხვადასხვა მხარეს მიმართული სათოფური ხვრელებია დატოვებული.

ლებაისკარის კოშკთან არაერთი საგმირო ამბავი და ფანტასტიკური დეტალებით გამდიდრებული გადმოცემაა შემონახული. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას სამშენებლოდ გამოყენებულ ქვებზე შესრულებული გამოსახულებები. კარის ზღურბლის ქვაზე გარედან ამოკვეთილია წრეში ჩასმული ტოლმკლავიანი ჯვარი, მკლავებს შორის ოთხი წერტილით. მის გვერდით მამაკაცის მარტივად გამოსახული ფიგურაა ცალ ხელში ხმლით (ა. ქალდანის აღწერით მამაკაცს მეორე ხელში ფარიც უჭირავს, ხოლო მისგან მარცხნივ, ოდნავ დაცილებით, ჯვრის გამოსახულებაა. ამჟამად ეს არ იკითხება) (*სურ. 25₁; 25₂*).

კოშკის ზედა ნაწილში, უშუალოდ სახურავის ქვეშ შელესილ ზოლზე, სამ მხარეს, მოწითალო ფერის საღებავით ფეხოსანი და ცხენოსანი ადამიანებისა[17] და ცხოველების სტილიზირებული ფიგურებია გამოსახული. ერთ შემთხვევაში ადამიანთა სტილიზირებული ფიგურები მიმართულია სიმაგრისაკენ (?), ხოლო მეორე შემთხვევაში ცხენოსანი და ფეხოსანი ადამიანები სტილიზირებულ ცხოველებთან (ირმები?) ერთად მიემართებიან ,,სიცოცხლის ხისკენ"[18] (*სურ. 26₁; 26₂*).

---

[17] ასურული ხელოვნებიდან დაწყებული, შემდეგ ანტიკურსა და მოგვიანებით შუა საუკუნეების ხელოვნებაში, ცხენოსანი ფიგურა ყოველთვის სოციალური ბატონობის იდეას განასახიერებდა (მეფეს, მხედართმთავარს, რაინდს). ძველი ირანული რელიგიური წარმოდგენით, მითრა ცის კამარაზე ეტლით მოგზაურობს, რომელშიც ოთხი თეთრი ცხენია შებმული. ცხენისა და ცხენოსანი მხედრის გამოსახულების ისტორიულ თანმიმდევრობის მიხედვით ცხენის გამოსახულებას უმხედროდ, განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, რელიგიურ-სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. გვიან ანტიკურ ხელოვნებაში კი ცხენი მაზდეანობის ზეგავლენით გაგებულია, როგორც მითრას ღვთაებრივი განსახიერება. ცხენოსანი მხედრის პოზა დაკავშირებულია განსაზღვრულ ტრადიციასთან, რომელიც ახასიათებს კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებს. ერთი ხელით მას აღვირი უჭირავს, მეორეთი - ეხება ცხენოსნის გავას. ცხენოსანი მხედრის ამგვარი გადმოცემა გვხვდება ჩრდ. კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში. შეინიშნება ცხენისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც: შედარებით მოკლე ტანი, გრძელი კისერი, დიდი მოგრძო თავი, გაშლილი ყურები, მოკლე კუდი და ქვევით დახრილი თავი. იხ. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია" ,,ხელოვნება", თბ., 1971, გვ. 63-64, 68, 70; გ. ყიფიანი, ცხოველთა გამოსახულებანი ქვათლილზე, ძეგლის მეგობარი, N4 (103), საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, თბ., 1998, გვ. 42; Д. Овчаров, Болгарски средневековни рисунки-графити, София, 1982.

[18] ,,სიცოცხლი ხე", სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით, ასოცირდება ე. წ. ,,ორანტის" პოზასთან, რომელიც გამოხატავს კავშირს ღმერთებსა და ადამიანებს შორის. ვიზუალურად სიმბოლო, თავისი ვერტიკალური ხაზითა და განივი ტოტებით, ზეცისკენ აღმართული ნიშანია. ეზოთერიული მნიშვნელობით, ის დუალისტური ფუნქციის მატარებელიცაა. ერთი მხრივ არის მაკროკოსმოსის ასახულობა, რის საფუძველზეც კონკრეტული სიმბოლო წარმოადგენს ღვთის მიერ შექმნილ სამყაროს, კოსმიურ ჰარმონიას ზეცასა და ხმელეთს შორის, ე.ი. მოდელს სამყაროს წესრიგისა, რომელიც შეიქმნა უხილავი ღვთის მიერ. მეორეს მხრივ კი მოისაზრება, როგორც მიკროკოსმოსი, სადაც ძირითადი სიმბოლო არის ღვთის მიერ შექმნილი ადამიანი. უმეტეს შემთხვევაში, ამ სიმბოლოთი გამოხატულია დინამიური, ჰარმონიული წონასწორობა (ბალანსი) ზეციურ და მიწიერ სამყაროებს შორის. გამოხატულია ადამიანის სურვილი, მფარველი ღვთაებისაგან ითხოვოს სიძლიერისა და მთლიანობის მოპოვება-შენარჩუნება. ადამიანთა მიერ, სამყაროს წვდომის პროცესში ეს ერთგვარი ,,იარაღი" უნდა შექმნილიყო სწორედ ზეციურ (კოსმიურ) ძალებთან ურთიერთობისათვის. აღნიშნულმა ნიშანმა განვითარება განიცადა სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა კულტურებში (ძვ. წ. IV ათასწ. მესოპოტომიაში (სადაც ,,სიცოცხლის ხე" უშუალოდ განასახიერებდა მეფეს, როგორც პირდაპირ მაკავშირებელს ღმერთსა და ადამიანებს შორის), ხოლო ძვ. წ. II ათასწ. დასტურდება თითქმის ყველა ძვ. აღმოსავლურ ,,ოიკუმენეში", ეგვიპტის, საპერძნეთისა და ინდის (ჰარაპის) ცივილიზაციების ჩათვლით). მისი სრულყოფილი კომპოზიცია მოგვიანებით ვლინდება ქრისტიანულ, მუსლიმურ და ბუდისტურ ხელოვნებაში როგორც ,,სიცოცხლის ხე". იხ. გ. ყიფიანი, ,,ანტითეზური გამოსახულებანი", ნარკვევები I, თბ., 1995. გვ. 18; Dictionary of the Ancient Near East, British Museum, Edited by P. Bienkowski and A. Millard, British Museum Press 2000, გვ. 301-302; S. Parpola, The Assyrian Tree of Life: Tracing the Origins of Jewish Monotheism and Greek Philosophy, Journal of Near Eastern Studies, vol. 52, N3. The University of Chicago Press,

ისტორიულ ფხოვში, თავდაცვითი ნაგებობების განსაკუთრებული როლი განპირობებული იყო მისი მონაპირე-სასაზღვრო მდებარეობით. ხევსურეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიან კუთხეში, ციხე-კოშკების რაოდენობა მათი პრაგმატული საჭიროებით განისაზღვრებოდა. ნაგებობის სტრატეგიული დატვირთვა სასაზღვრო ტერიტორიების დაცვასა და გამაგრებაში მდგომარეობდა. გამუდმებით მტრიანი და ბრძოლის ველზე გამოცდილი ხევსურები დიდი განსაცდელის დროს, სწორედ თავდაცვითი დანიშნულების სამხედრო თუ საცხოვრებელ ნაგებობებში პოულობდნენ საიმედო თავშესაფარს. ციხე-სიმაგრეების ასაშენებლად სტრატეგიული თვალსაზრისით გამართლებულ, ვარგის და ხელსაყრელ ადგილებს ირჩევდნენ, სადაც მტკიცე ბალავარი გარანტი იყო თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი ობიექტის ამტანობასა და გამძლეობაზე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ციხე-კოშკებს ადგილობრივ ოსტატებთან ერთად ჩრდილოკავკასიელი ქვითხუროებიც აგებდნენ. მათ, ჯალამბარის გამოყენებით ქვით მაღლა აზიდვისა და ტანსწორი კედლების აგების დიდი გამოცდილება გააჩნდათ და თავიანთ პრაქტიკულ ცოდნას მეზობელი ტომების ტერიტორიაზეც იყენებდნენ. ციხე-სიმაგრე სიმბოლური გააზრებით ცისა და მიწის დამაკავშირებელია. მითოსური გაგებით ის სამყაროს კოსმიური საყრდენია[19].

1923 წლისათვის ამ კოშკთან პატარა დასახლებაც არსებულა (*სურ. 27*). ამის შესახებ ინფორმაცია შემონახულია მწერლისა და ჟურნალისტის ზინაიდა რიხტერის წიგნში, რომელიც ავტორმა 1930 წელს გამოსცა („В солнечной Абхазии и Хевсуретии"). რიხტერს სწორედ ლებაისკარში გაუთევია ღამე და თავის ნაშრომშიც საკუთარი თვალით ნანახი და ადგილობრივთა ნაამბობი აუსახავს. მათი გადმოცემით, ლებაისკარში ერთ დროს იმყოფებოდა აღმასრულებელი ხელისფლების წარმომადგენელი, რომელიც კონკრეტულ პუნქტებს განაგებდა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მას შეუწყვეტია მოვალეობის შესრულება, აქაური მოსახლეობა კი გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩენილა. ისინი ჩაკეტილან მთაში, რის გამოც ვეღარ

Chicago. Illinois. U.S.A., გვ. 161,164,172-173,181; Энциклопедия символов, „СОВА", Москва-Санкт-Петербург 2005, გვ. 133, 167.

[19] ხევსურეთი, კავკასიის ბილიკები: ხევსურეთის სამხრეთ საქართველოს მოკლე მიმოხილვა. გვ. 79. http://issuu.com/pshavkhevsureti/docs/hq_geo_2

ახერხებდნენ ოჯახების მარილითა და ფქვილით მომარაგებასაც კი. ჩანაწერების მიხედვით მათ რიხტერისათვის უთხოვიათ დახმარება თბილისამდე მიეწვდინა ხმა, რომ ცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და ითოხვდნენ შველას - დაეცვათ ისინი ქისტებისაგან, ან მოემარაგებინათ იარაღით, რათა თვითონ მაინც უზრუნველეყოთ თავიანთი უსაფრთხოება ისედაც გაუსაძლის პირობებში. ამჟამად, აღნიშნული დასახლების მხოლოდ საძირკვლებია შემორჩენილი. ადრეულ საბჭოთა რუკებზე დასახლება აღნიშნული აქვთ უკვე მდინარის მეორე მხარეზეც (ახლა აქაც ნანგრევების ხილვაა შესაძლებელი, მხოლოდ ერთი სახლი დგას სრული სახით) (*სურ. 28*[1-2]). 1813 წელს, ასევე ლებაისკარი ყოფილა კავკასიის მთავარმართებელ რტიშევის მიერ გამოგზავნილი გენერალ სიმონოვიჩის სამხედრო ბანაკის ადგილი. გენერალს აქედანვე გაუგზავნია ალექსანდრე ბატონიშვილისათვის დამორჩილების მოთხოვნის წერილიც, თუმცა ელჩი ხევსურებს მოუკლავთ და სიმონოვიჩს თავის მოთხოვნაზე პასუხი ვეღარ მიუღია, მოგვიანებით კი შატილზე შეტევა განუხორციელებიათ (სიმონოვიჩის, სტალისა და ორბელიანის მეთაურობით) (ჭინჭარაული 2008, 38; მოთხრობა ახალი (შედგენილი ქართლის ცხოვრებისად) 1905, 117).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში, ეთნოლოგიურმა კვლევა-ძიებამ (ვ. ბარდაველიძე, რ. ხარაძე, ს. მაკალათია, გ. ჩიტაია, ალ. რობაქიძე, თ. ოჩიაური, ვ. ითონიშვილი, ი. ჭყონია, მ. კანდელაკი, რ. თოფჩიშვილი და სხვ.) ახალი თვალსაზრისები წარმოშვა. ხევსურეთი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც, რომ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, აქ შემონახულია ისეთი ისტორიული ფაქტები და თქმულება-ლეგენდები, რომელთა შესახებაც წერილობით წყაროებში ან ძალიან სქემატურადაა ცნობები ან საერთოდ არაფერია ნათქვამი. ამ მხრივ, დიდ ინტერესს იწვევს ვერა ბარდაველიძის მიერ ჩატარებული სამუშაოები, რომლის საფუძველზეც მკვლევარმა გადმოგვცა ხევსურეთის საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრების აღწერილობა (ფოტოასახულობითა და არქიტექტურული ანაზომებით) მათი სავარაუდო სოციალურ-იდეოლოგიური დანიშნულების მიხედვით. მკვლევარს, უშუალოდ ლებაისკარის ნასოფლარში

აღნიშნული აქვს შემდეგი ხატები: ბოსელათ ციხე, ადგილისდედა, ბურჯი, ღვთისმშობელი, მთავარანგელოზი და ნაჯარელა (ბარდაველიძე 1982, 123).

სოფელ ლებაისკარის ,,ადგილის დედა“ ციხის გასწვრივ, ფერდობზე მდებარეობდა. 70-80-იან წლებისათვის სამლოცველოს რამდენიმე ქვა იყო შემორჩენილი, სადაც სრულდებოდა სათანადო რიტუალი. როგორც ეთნოგრაფიული სამუშაოებით გამოვლინდა, ერთ დროს ეს სალოცავი ითვლებოდა მთის, კლდის, წყლის, ტყის, ხალხისა თუ საქონლის მფარველად, ხელის მომმართველად, ფათერაკის ამცდენად და ნაყოფიერების მიმნიჭებლად. მოგვიანებით კი, სხვა სათემო ღვთაებათა გვერდით, მისი კულტი დაჩრდილულა. იგი საქონლის ნაწველ-ნადღვების ბარაქიანობის განმგებლად დარჩენილა. სწამდათ და თაყვანს სცემდნენ მას, სალოცავად მიდიოდნენ მისი სახელობის ნიშებსა თუ ნიშის ნანგრევებთან. ერბო-კარაქით პოხავდნენ ნიშის ქვებს და ევედრებოდნენ: - ჯართა მამაო, ფურთა დედაო, დეკეულთა ნანაო! ხვავი და ბარაქა დაგვიტანე საქონელსა და მის ნაწველ-ნადღვებსო (ოჩიაური 1977, 132-133).

პირიქითა ხევსურეთის სოფლებს და ნასოფლარებს საერთო არქიტექტურული მახასიათებლები აქვს. საცხოვრებელი ნაგებობები ციხე-ქვიტკირების სახითაა წარმოდგენილი, რომელთა გადახურვა ბანური ან ორფერდიანი იყო. პირიქითა ხევსურეთში ისეთი ნასახლარებიცაა, სადაც კედლების ნაშთი აღარაა შემორჩენილი (ჭინჭარაული 2008, 27). ეს განსაკუთრებით ხშირია იმ ნასოფლარებში, რომელთა მახლობლად ჩნდებოდა ახალი დასახლებები. ქვა, როგორც საშენი მასალა, აქ ძნელად შესაგროვებელი იყო და ახალი სახლის მშენებლობისას ძველ ნამოსახლართა კედლებს არღვევდნენ. ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ძველი ნასოფლარ-ნაციხრები ჯვარ-ხატების, ან ავი სულებისაგან-დევებისაგან დაკავებულად მიაჩნდათ და ამ ადგილებზე არა თუ ძველი კედლების ნგრევას, არამედ იქ ღამე გავლასაც ერიდებოდნენ. ძველი ნასოფლარი ჩანს სოფელ ლებაისკარის ჩრდილოეთით დაახლოებით 400-500 მ-ის დაშორებითაც, მდინარის მარცხენა მხარეს არსებულ ფერდობზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე სოფელი ლებაისკარი (ასევე მიღმახევის სოფლები: ანდაქი და არჭილო) არ არის ნახსენები ფშავ-ხევსურეთის სადედოფლო სოფლების ჩამონათვალში (თაყაიშვილი 1907, 74), თუმცა ეს სრულებითაც არ უნდა მიანიშნებდეს იმაზე, რომ ეს ტერიტორიები მანამდე არ იყო დასახლებული. ამაზე მეტყველებს თუნდაც იქ არსებული სალოცავები და ასევე ის ძველი ნაფუძარები და ნასოფლარები, რომელთა შესახებ თვით მთხრობელთა ხსოვნაც აღარაა შემორჩენილი. გარდა ამისა, დიდ ყურადღებას იქცევს ის ხაზოვანი ფიგურები და რთულად ასახსნელი იდეოგრამები, რომლებიც სავარაუდოდ მეორადი გამოყენებით გვხვდება ნასახლარების, კოშკის სარკმლებისა და კარის ღიობთა თავზე. ფარულნიშნიანი ქვების სიმრავლე (რომელთა შესწავლაც 1980 წლიდან დაიწყო) უმეტესად დასტურდება პირიქითა ხევსურეთის სოფლების - ლებაისკარის, კისტანის, ჭეჭყეთის, შატილის, მუცოს, არდოტის, ხახაბოსა და უკანა ფშავის სოფელ ხოშარის ციხურა სახლებსა და კოშკების კედლებში, რომელთა წარმომავლობის დადგენაც უმეტეს შემთხვევაში ვერ ხერხდება. გ. გიგაურმა, რომელმაც შეისწავლა ლებაისკარის ნასახლართა ქვებზე დაფიქსირებული: ხელის[20], წრეების[21] (წრეში ჩახატული ჯვარი[22],

[20] ხელი ხევსურეთში ქაჯავეთიდან წამოყვანილ ქალთა (სამძიმარი, აშნქალი და სიმენქალი) ეპითეტია. იხ. ხევსურეთი, კავკასიის ბილიკები: ხევსურეთის სამხრეთ საქართველოს მოკლე მიმოხილვა. გვ. 106. http://issuu.com/pshavkhevsureti/docs/hq_geo_2.

[21] წრე, როგორც სიმბოლო, შეიცავს უძველეს მითოლოგიურ საფუძველს. ახდენს სულის სიმბოლიზირებას. შემოსწერს კოსმოსს და ყველაფერს, რასაც შეიცავს ზეცა. წრე, ისევე როგორც გეომეტრიული ფიგურა სფერო, რომელსაც არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული, წარმოადგენს მნიშვნელოვან და უნივერსალურ ფორმას მისტიკურ სწავლებებში. მას შეუძლია აღნიშნოს ისეთი არანაკლებ მნიშვნელოვანი სიმბოლოები, როგორიცაა: ბორბალი, დისკო, ბეჭედი, ციფერბლატი, მზე, მთვარე და ა.შ. მისი სიმბოლიზმი საკმაოდ რთული განსასაზღვრია. ის არის სამყაროს უნივერსალური და ამავე დროს არა მანიფესტური პროექცია, რომელიც თავის თავში შეიცავს დასაწყისს და უსასრულობას, საზღვარს და უსაზღვრობას. მრავალ შემთხვევაში, მითოლოგიური ტრადიცია წარმოადგენს კოსმოსს როგორც სფეროს (გრაფიკულ ასახულობაში წრეს) და გამოსახავს მას განსაზღვრული სიმბოლური ვარიანტებით, მაგ: კუ, დისკო და ა.შ. თავის მხრივ, მძინარე ღვთაებაც, წარმოადგენს სულიერი ცხოვრების სფეროს, სადაც სულები შუალედურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ნეოპლატონური ტრადიციით აღნიშნული სიმბოლო არის ღვთაებისა და განუსაზღვრელი სამყაროს ცენტრი. უადრეს პერიოდში ხილული სამყარო აღიქმებოდა როგორც წრე. მათი აზრით, ისინი ხედავდნენ ყველა პლანეტას წყლით შემოსაზღვრული დედამიწის დისკოს ჩათვლით, რაშიც რწმუნდებოდნენ პროცესების ციკლურობითა და ცვალებადი წელიწადის დროებით. მრავალ წარმართულ რელიგიაში წრე მოისაზრებოდა მდედრობითი სქესის ძალის (ქალური საწყისის) აღმნიშვნელად. გ. კოკოშაშვილი წრეში ჩახატულ წრეს, წერტილს, ჯვარს და ა. შ. მიიჩნევს ,,თვალის“ აღმნიშვნელად, ხოლო სილაბური ან ალფაბეტური დამწერლობის შემთხვევაში მის ფონურ მნიშვნელობას ,,თ“ ბგერას ან ამ ბგერით დაწყებულ მარცვალს უკავშირებს. იხ. J. C. Cooper, Lexicon Alter Simbole, veb. E. A. Seemann, Verlag, Leipzig 1986; Энциклопедия символов, ,,СОВА“,

წრეში ჩახატული წრე, ბორბალი?[23]), ტოლმკლავა ჯვრის[24] გამოსახულებები, კოშკის ზედა სტრუქტურაში გამოსახული საბრძოლო სცენა და სიმბოლოები (*სურ. 29₁; 29₂; 29₃*) გამოთქვა ვარაუდი, რომ ნიშნები საკრალური ხასიათის უნდა ყოფილიყო და განასახიერებდნენ ორი სამყაროს კავშირს, ორი კოსმიური განზომილების, შიდა და გარე სამყაროთა პირობით გამყოფ საზღვართა ერთობას (გიგაური 2010, 69-71).

გ. კოკოშაშვილი ფარულ ნიშნებს უშუალოდ უკავშირებს დამწერლობას. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გიორგი კოკოშაშვილი და გიორგი გიგაური თავიანთ პუბლიკაციებში ახსენებენ სოფ. ლებაისკარში ნაპოვნ მცირე ზომის წერაქვს. გადმოცემის მიხედვით იგი ხევსურეთში, სოფ. ლებაისკარში მიწის სამუშაოების დროს უპოვიათ სამოციან წლებში. იარაღის სიგრძე - 20სმ., თავის სიმაღლე კი - 12სმ. ყოფილა. თავის ზემოთა მხარეს ეტყობოდა დარტყმის კვალი. იმის გამო, რომ წერაქვს თავისა და ტარის შეერთების მონაკვეთი მრგვალი და არამყარი ჰქონდა თავიდანვე გამოურიცხავთ მისი

Москва-Санкт-Петербург 2005, გვ. 101; გ. კოკოშაშვილი სკრიპტოგრამული ნიშნები და ქართული ასომთავრული. Iberiana (https://iberiana.wordpress. com/alphabet/scripts/), 2011.

[22] სოლარული ჯვარი ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა. გვხვდება აზიის, ევროპისა და ინდურ ცივილიზაციებში. წრე იდეურად მზის ასახულობაა და თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს დროთა ციკლურ ბუნებას, ხოლო მასში თავისუფლად ჩასმული ჯვარი ასახავს მზის ამოსვლა-ჩასვლას ბუნიობის პერიოდში. წრე, რომელშიც ჩასმულია ჯვარი, მარტივი ფორმით, წარმოდგენას იძლევა მოპირდაპირე მხარეების ურთიერთობაზეც. იგივე სიმბოლოს მოიხსენიებენ, როგორც ,,ბორბალში ჩასმულ ჯვარს". არსობრივად მზისა და მთვარის, მისტიური ტრიადისა და გაერთიანების, ან ,,ოთხის" აღმნიშვნელია. ზოგადად, ჯვრის გამოყენება, როგორც რელიგიური სიმბოლო, საფუძველს იღებს ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ პერიოდში და გვხვდება იმ ცივილიზაციებშიც კი, რომელთაც შემდეგ ქრისტიანობა არც უღიარებიათ. მათთვის ის წარმოადგენდა უნივერსალურ ნიშანს, რომლის მეშვეობითაც განსხვავებული ფორმით გამოხატავდნენ ღვთებათა მიმართ პატივისცემას. იხ. T. Inman, Ancient Pagan and Modern Christian Symbolism, Leeds, Yorkshire, England 2004, გვ. 36; T. Macall, Cross and Crucification, Enciclopedia Britanica; J. C. Cooper, Lexicon Alter Simbole, veb. E. A. Seemann, Verlag, Leipzig 1986.

[23] ბორბალი გატოლებულია მზესთან. ის ასახავს მზეს, რომელიც სიმბოლურად სამყაროს ცენტრია. ასევე, წარმოადგენს დუალისტური იდეის მატარებელ ნიშანს: ბორბალი (მზე) და რკალის მარადიული მოძრაობა (ისევე როგორც ორბიტის გარშემო მოძრავი პლანეტები). იხ. T. Inman, Ancient Pagan and Modern Christian Symbolism, Leeds, Yorkshire, England 2004, გვ. 36; Dictionary of the Ancient Near East, British Museum, გვ. 70.

[24] ტოლმკლავა ჯვარი შედგება ორი ერთგვაროვანი სწორკუთხა ღერძისაგან, გადაკვეთილი სწორი კუთხით, თანაბარი ნაჭდევებით ყველა ბოლოზე. წარმოადგენს ბერძნული ჯვრის სახესხვაობას. არის ერთ-ერთი გამორჩეული ჰერალდიკური ფიგურა. მისი სახელწოდება ,,potent" წარმოდგება ფრანგული სიტყვა ,,potenee"-დან - ,,საყრდენი", რადგან მისი ფორმა წარმოადგენს ორ გადაჯვარედინებულ საყრდენს; გ. კოკოშაშვილი ტოლმკლავა ჯვარს აიგივებს ასომთავრულ ,,ქან"-თან. იხ. T. Inman, Ancient Pagan and Modern Christian Symbolism, Leeds, Yorkshire, England 2004, გვ. 53. Энциклопедия символов, ,,СОВА", Москва-Санкт-Петербург 2005, გვ. 122; გ. კოკოშაშვილი სკრიპტოგრამული ნიშნები და ქართული ასომთავრული. Iberiana (https://iberiana.wordpress. com/alphabet/scripts/), 2011.

გამოყენება მეკლდეურთა იარაღად. აღწერილობის მიხედვით, იარაღის თავი ნაწრთობი ლითონის ყოფილა, სპილენძის ტარს კი გვერდებზე შემოუყვებოდა სამი ხაზი. შუა ხაზი გვერდით ხაზებთან შედარებით მოგრძო ჰქონია, ხოლო ტარი ოდნავ მოხრილი და გაბრტყელებული. სპეციალისტების ვარაუდით იარაღი სავარაუდოთ იმ ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო, რაზეც უშუალოდ მისი სახელი მიგვანიშნებს - ,,წერა“, ,,ჭრა“, თუმცა კონკრეტულად რისთვის გამოიყენებოდა აღნიშნული იარაღი და ხდებოდა თუ არა მისი მეშვეობით ქვებზე ნიშნების ამოჭრა რთული დასადგენია. მით უფრო ახლა, როდესაც აღნიშნული იარაღი თბილისში ჩამოტანის შემდეგ არავინ იცის სად ინახება.

უცნობ გეომეტრიულ ნიშნებთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები მსოფლიო მასშტაბით ძირითადად XIX ს-დან იწყება. მკვლევართა გარკვეული ნაწილი, გეომეტრიული სიმბოლოების გეგმაზომიერებასა და სიმეტრიულობას ძველი დროის ქურუმთა ეკონომიურ საქმიანობასთან აკავშირებენ და თვლიან, რომ აღნიშნული სოციალური ფენა სამეურნეო-ყოფით საქმიანობასთან დაკავშირებული საგნების ფორმების სტილიზებას სწორედ ინფორმაციის გადმომცემ იდეოგრამებში ახდენდნენ (Forbes 1993, 145, 150).

ამ ეტაპზე, მეტად რთულია განისაზღვროს თუ რა კატეგორიას განეკუთვნება ლებაისკარში დაფიქსირებული მოტივები, თუმცა მათი უმეტესი ნაწილი შესაძლოა მართლაც კოსმოგონიური ხასიათისა და საკულტო მსახურების დაფარული ცოდნის მატარებელი იყოს.

ყურადღებას იქცევს სოფლის ტოპონიმის წარმომავლობის საკითხიც. რას შეიძლება აღნიშნავდეს ლუბიონი, ან მოგვიანებით წარმოქმნილი სახელი ლებაისკარი. სულხან-საბა ორბელიანი გვაძლევს შემდეგი სახის განმარტებას - ,,ლ ა ბ ა ნ” სპეტაკი, ბრწყინვალე. ,,ლ ო ბ ნ ი” სპეტაკობა (სულხან-საბა ორბელიანი 1993, 620). ტოპონიმიკა I-ში - ,,ლ ე ბ ი” ეს არის მოთეთრო ფერის კლდის მიწა, რომელსაც საღებავად იყენებენ (სალებიათჴევა და ა.შ.) (მაკალათია 1976, 143). ,,ლ ე ბ ვ ა“ - შესაღებავად გამზადებულ ნართის მჟავეში გავლება, ,,ლ უ ბ ი“ - გამხდარი (ჭყონია 1910, 30). ქართულ

ეთნოლოგიურ ლექსიკონში კი - ,,ლ ე ბ ი“ განმარტებულია როგორც: 1. ფერადი ქსოვილისა და ძაფის შესაღები ბუნებრივი საღებავი (ხევსურეთში). 2. შუა დარბაზის (ციხე-სახლის მეორე სართული) იატაკის კუთხეში გაჭრილი ვიწრო ხვრელი, საიდანაც ხის კიბით ადიოდნენ მეორე სართულზე (სვანეთში). 3. ჭაობიანი ნიადაგების ფენა მოლურჯო ფერისა (ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი 2009, 79). ვ. ლეჟავას ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ლ ე ბ ი, იგივე მ ი წ ა ლ ე ბ ი, განმარტებული აქვს, როგორც ჭარბტენიანობის დროს ნიადაგის პროფილში მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების შედეგად წარმოქმნილი ჰორიზონტი (მას ახასიათებს მომწვანო, მოცისფრო, მტრედისფერი ან ჟანგისფერი შეფერვა, უსტრუქტურობა და დაბალი ფორიანობა. დიდი რაოდენობით შეიცავს რკინის, მანგანუმის და სხვა ქვეჟანგებს) (ლეჟავა 1983, 153).

ნასოფლარის თანამედროვე სახელწოდებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დაბოლოება ,,კარი”, რაც თავის მხრივ წარმოშობს მრავალ კითხვას: რას შეიძლება გამოეწვია ტოპონიმში მისი ფუნქციური დატვირთვა? ასრულებდა თუ არა ეს ტერიტორია რაიმე ჩამკეტის ან დამაკავშირებლის როლს არეალის რაღაც მონაკვეთში? შესაძლოა თუ არა პტოლემაიოსსაც ამ ნიშნის მიხედვით აღენიშნა ეს პუნქტი თავის სახელმძღვანელოში და ა. შ.

ლებაისკართან მიმართებაში, ,,კ ა რ ი“ შესაძლოა წარმოადგენდეს დასახლებული პუნქტის სიმაგრის ერთ-ერთ შემადგენელ ტერიტორიულ ნაწილს იმ განსხვავებით, რომ დასახლებული პუნქტებისათვის კარის ეს მნიშვნელობა შეცვლილია და მისულია სოფლის გაგებამდე. ამ აზრის სასარგებლოდ მიანიშნებს ამ სახელწოდების მატარებელი სამეურნეო ნაკვეთების ტოპოგრაფიული მონაცემებიც, რაც მისასვლელებს ახასიათებს (განსაკუთრებით მთის პირობებში). ე. თაყაიშვილის მითითებით, სამხრეთ საქართველოში (კოლა, ტაო) ,,კარის“ გზის ტექნიკურ ტერმინად - ,,შესავალი“, ,,გასავალი“ - ჩვეულებრივია (მაკალათია 1976, 159).

ამ შემთხვევაში, ტოპონიმიისათვის არსებითია იმის გარკვევა თუ რამ განაპირობა სახელდების მოტივი. მათი ანალიზისას საინტერესოა მხოლოდ ის ფუძე, რომლისგანაც

ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელი. ხშირად ტოპონიმად გამოყენებული სახელის ტოპონიმის წარმოქმნამდე არსებული ფორმა ან შინაარსი იკარგება. მათი მნიშვნელობის და ფორმის დადგენა-გარკვევაში გასათვალისწინებელია ის ცვლილებები, რაც შეიძლება ტოპონიმს განეცადა. ტოპონიმი ხშრად იცვლის გეოგრაფიულ ობიექტს, რის გამოც ერთი და იგივე გეოგრაფიული სახელი შესაძლოა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ობიექტს აღნიშნავდეს (მაკალათია 1976, 128-129). სხვა მრავალი გარემოების გათვალისწინებაცაა საჭირო ტოპონიმთა ეტიმოლოგიზირებისას. ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ გარკვეული ცვლილებაა მოსალოდნელი, რადგან სახელთა ცვლილება ფორმისა და შინაარსის მხრივ ხდებოდა გარკვეულ დროსა და გარკვეულ პირობებში. ყოველივე ამის გათვალისწინებით და ისტორიული მონაცემების მეშვეობით შესაძლებელია ტოპონიმთა ფორმაცვალებადობისა თუ მათი სემანტიკის მეცნიერული კვლევა (მაკალათია 1976, 130-131).

გასათვალისწინებელია დიქრონული ვარიანტების შემთხვევაც, ვინაიდან სინონიმურ წყვილში შემავალ ტოპონიმთაგან ერთი ახალი სახელია გამოყენებული, მეორე კი - ძველი, ხმარებიდან გადავარდნილი (მაკალათია 1976, 147).

ზემოთ აღნიშნული ,,კარის“, როგორც ,,ჩამკეტის” ფუნქციაზე ვარაუდისას, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ცროლის მთაზე, რომელიც საზღვრავს მთლიანად პირიქითა ხევსურეთს და ქმნის ერთგვარ ბუნებრივ დამცავ ზღუდეს გარეშე შემომსვლელთა წინააღმდეგ. ამის შესახებ ინფორმაცია გვხვდება ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ”-ში, რომლიდანაც ვგებულობთ: ,,... და ჰყვანდა ალექსანდრე მეფესა აზოჲ, ძე არიან ქართლისაჲ და მას მიუბოძა მცხეთა საჯდომად და ზღვარი დაუდვა მას: ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხით და მთა ცროლისა და წარვიდა”. ასევე საინტერესოა თ. ოჩიაურისა და ნ. ხიზანიშვილის ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ფშავ-ხევსურეთი) ცროლის წვერის სანებასთან დაკავშირებით: ,,თეთრი სანება სოფ. უკანა ხადოში, სწორედ მეკობრეებისა და მონადირეების ხატია... სანებას სხვა რამეც ეკითხვის; ხევსურის აზრით, თვით მორიგემ თავისის ხელით მას სისხლიანი ხმალი შემოარტყა

კიდეც, ამიტომ ეს ხატი მტერს შეჰკრავს, თოფ-იარაღს გაულახავს. სანების ძალა: უძეოს ძალას აძლევსო, ღრუბელთა საქმეც აბარია და ორ დღეს წვიმას მოიყვანსო".

აღნიშნულ ხატს მოიხსენებდნენ ჴმელთ შუაში დაარსებულის სახელწოდებითაც. ამ მონაცემებმა, მკვლევართა შორის წარმოშვა გარკვეული სახის მოსაზრებები, კონკრეტულად: ხატის სახით ხომ არ გვაქვს საქმე ხელისუფალთა მიერ თავიანთი სახელმწიფოს საზღვარზე დაარსებულ სალოცავთან, ან ყოველ შემთხვევაში - ცროლის მთაზე აგებულ რელიგიურ ადმინისტრაციულ პუნქტთან, რომელსაც მიეწერებოდა მფარველობის ძალა. ან თუნდაც ღვთაების ეპითეტი - ,, ჴმელთ შუაში დაარსებული" ხომ არ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ იგი ორი ქვეყნის საზღვარზე იდგა და ჰყოფდა საქართველოს მიწა-წყალს მოსაზღვრე ჩრდილოელთა მიწისაგან. და ბოლოს, სისხლიანი ხმლის შემორტყმა მისთვის, ხომ არ არის მინიშნება საზღვრის დაცვის ფუნქციაზე (ანუ მტრის არშემოშვების ძალაზე) (ოჩიაური 1974, 112-113).

ლუბიონთან (ლებაისკარი?) და ასევე ,,შესავალ" - ,,გასავალთან" მიმართებით დიდ ყურადღებას იქცევს პლინიუს უფროსის მონაცემები და ამ მონაცემების მიხედვით შექმნილი რუკაც. კონკრეტულად, ,,ბუნების ისტორიიდან" (The Natural History, თავი 11 (10), 8) ვგებულობთ, რომ იბერიის მდინარესთან ახლოს, მთავარი ქალაქებია ,,ჰერმასტუსი" და ,,ნეორისი". მოცემულ სიტუაციაში აღსანიშნავი ფაქტი ისაა, რომ რუკაზე ,,ნეორისი" დატანილია სწორედ ,,ლუბიონის" ადგილას, რომლის სიახლოვესაც, ამავდროულად აღნიშნულია კავკასიონის ერთ-ერთი გადასასვლელიც (*სურ. 9*[1]). სავსებით დასაშვებია, რომ პლინიუსის მიერ ნახსენები ,,ნეორისი" პტოლემაიოსის მიერ მოცემული ,,დასახლებული პუნქტი ლუბიონი" იყოს, რომელმაც სავარაუდოდ ახ. წ. IIს-ში სახელცვლილება განიცადა.

ჩატარებული დაკვირვების საფუძველზე, სოფელ ლებაისკარის გაიგივება პტოლემაიოსისეულ დასახლებულ პუნქტ ლუბიონთან, როგორც ვარაუდი ვფიქრობ, რომ გამორიცხული არ უნდა იყოს.

თავი 5. არტანისა - ,, 'Αρτάουσσα”

სამეცნიერო ლიტერატურაში, პტოლემაიოსის მიერ იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში ნახსენებ ქალაქ არტანისას ლოკალიზების საკითხი ერთ-ერთ, ყველაზე საინტერესო და სადავო საგანს წარმოადგენს. იბერიის ქალაქებიდან, აღნიშნულ პუნქტს აქვს ყველაზე გრძელი დღე 15 საათისა და 35 წუთის ტოლი და დაცილებულია ალექსანდრიას აღმოსავლეთისაკენ ერთი საათით (Smith 1854, 886; ლომოური 1955, 50). პროფ. ს. კაკაბაძე და პ. იოსელიანი მას აიგივებენ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარე არტაანთან, რომელიც მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს, მისი თურქული სახელია ა რ დ ა ჰ ა ნ ი (ლომოური 1955, 59). ფარნავაზის დროს, ძვ. წ. III ს. ტერიტორია წუნდის საერისთავოში ერთიანდებოდა (ჯავახეთთან და კოლასთან ერთად). ვ. ტომაშეკის მოსაზრებით კი არტანისაში ქ. არტანუჯი იგულისხმება, რომელიც ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა სანაპიროზე. ამის საფუძველს ვ. ტომაშეკს თვით ამ სახელის ეტიმოლოგიური მსგავსება აძლევდა: თითქოს ბოლო ორი სიგმა (-σ σ) უნდა მიანიშნებდეს რაიმე აფრიკატის არსებობაზე, სადაც სავარაუდებელია ჯ-ანი. მეტი დამაჯერებლობისათვის, ტომაშეკს მოჰყავს პტოლემაიოსის ნაშრომის ერთ-ერთ ხელნაწერში შენახული ამ სახელის განსხვავებული ფორმაც - 'Αρτάυοισσα. მკვლევარის ვარაუდით, - οι - კომპლექსი მიღებული უნდა ყოფილიყო გრაფიკული შეცდომის შედეგად – ου (ანუ ,,უ”) კომპლექსიდან, ამ შემთხვევაში კი - 'Αρτάουσσα - ლოგიკურად უკვე დაუკავშირდება არტანუჯის სახელს (ლომოური 1955, 59).

სიმონ ყაუღჩიშვილის მოსაზრებით საკვლევი ტერიტორია ის არტანუჯია, რომელსაც X ს. მოღვაწე კონსტანტინე პორფიროგენეტი იხსენებდა, როგორც VIII-X სს-ის იბერიის სავაჭრო ცენტრს (ყაუხჩიშვილი 1964, 72-73).

მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. გრიგოლიასაც, სტატიაში ,,არტაანი იბერიაში” ის წერს, რომ ქვეყანა ანუ ხევი არტანისა, რომელიც ახლა თურქეთის

ტერიტორიაზეა და ცნობილია როგორც ,,არტაჰანი", იგივეა რაც პტოლემაიოსის მიერ მოხსენიებული - ,,იბერიის ქალაქი არტანისა". მისი აზრით, თითქმის ყოველთვის, არტაანი იბერიის ნაწილს წარმოადგენდა კოლასთან ერთად, რომელზეც გადიოდა ბიზანტიიდან (და ასევე პერსარმენიიდან, ანუ სპარსული არმენიიდან) შიდა ქართლი-თბილის-ბარდავისაკენ მიმავალი საერთაშორისო გზა, რომელიც არტაანიდან ჯავახეთში შედიოდა. ფაქტიურად, ის აკავშირებდა შავი ზღვის სანაპიროს პორტებს თბილისი-ბარდავთან არტანუჯის გზით, ხოლო სპარსეთ-ბიზანტიას კოლადან შემოსული გზით. იმავე ავტორის აღნიშვნით, მოგვიანებით ,,ქალაქი არტანისა" ნაქალაქარად ქცეულა და ჰურის (იგივე ქაჯთა ქალაქი) სახელი დაუმკვიდრებია (გრიგოლია 2010, 50; ჯანაშია 1952, 284-285). ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს კატეგორიულად არ იზიარებს ლ. ჭილაშვილი, რომლის მოსაზრებითაც ,,ქალაქი არტანისა" საძიებელია კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, მცხეთის ჩრდილოეთით, ივრის ხეობის ზედა წელში, კონკრეტულად კი იქ, სადაც თანამედროვე სოფელი არტანია (*სურ. 30₁; 30₂*). ამ მოსაზრებას მკვლევარს უმტკიცებდა 1954წ. და 1966წ. ჩატარებული საველე სამუშაოები, რომლის დროსაც ივრის შენაკად ქუშხეურას ზედა წელზე (მარცხენა მხარეს) გამოვლინდა შთამბეჭდავი ზომების, თლილი ქვებით ნაგები კედელ-ბურჯებიანი ციხე (ლ. ჭილაშვილი მას ანტიკურ პერიოდს განაკუთვნებს. ჭილაშვილი 1968, 57-58) (*სურ. 31₁; 31₂; 31₃; 31₄; 31₅; 31₆*). სოფელ ქუშხევში 1948, 1949, 1954 წლებში იმყოფებოდა ალგეთისა და ივრის ხეობის (უმთავრესად უჯარმის) შემსწავლელი ექსპედიციაც გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით. მათ ადგილზე დაადასტურეს ხატის დღეობისათვის განკუთვნილი სალუდე (თავისი ინვენტარით), კოპალას ხატი[25] და სოფლიდან ამომავალ საურმე გზის პირას მდებარე იახსარის ხატი. ექსპედიციის დღიურში აღნიშნულია ხატებთან არსებული, მასიური ქვით ამოყვანილი, შიდა სივრცის არმქონე ნაგებობებიც, რომლებიც თავის დროზე შესაძლოა ყოფილიყო ძველი ხატები ან კერპებთან დაკავშირებული პოსტამენტები (ლომთათიძე 1989, 147-148). 70-იან წლებში, ერწო-თიანეთში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის

[25] არტნის ადგილობრივთა გადმოცემით, კოპალას ხატი აქ ყველაზე მდიდარი ყოფილა და მის ხატობაზე სულ ოქრო-ვერცხლის სასმისებს იყენებდნენო. იხ. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში. ,,მეცნიერება" 1989. გვ. 147.

სადაზვერვო სამუშაოების საფუძველზე, ქუშხევის ზემოწელზე მდებარე ნამოსახლართან მიმართებაში, მსგავსი მოსაზრება გამოითქვა რ. რამიშვილისა და ბ. ჯორბენაძის მიერაც (რამიშვილი, ჯორბენაძე 1978, 159-160). არტანისა და ქუშხეურას ნამოსახლარს ეხება გ. ბედოშვილიც ნაშრომში - ,,ერწო-თიანეთის ტოპონიმია". მკვლევარი ინფორმაციის სიმცირის გამო, ბოლომდე ვერ იზიარებს ქუშხეურას ნამოსახლართან დაკავშირებით გამოთქმულ ვარაუდს პტოლემაიოსის ,,არტანისას"-თან მიმართებით და ვერც ივრისხეველი ფშაველებით დასახლებული სოფ. არტანის ტოპონიმის წარმომავლობას ხსნის (ბედოშვილი 1980, 71-72) (*სურ. 32*). ყველაზე სრული ინფორმაცია ქუშხეურას შესახებ მოცემული აქვს ვ. ბარდაველიძეს ანგარიშში ,,ივრის ფშავლებში". სოფლის სახელი უშუალოდ დაკავშრებულია ლეგენდასთან კოპალასა და დევების ნამოსახლარის შესახებ. გადმოცემების თანახმად სოფელს ადგილობრივები ,,დევთნასახლარის" სახელით მოიხსენიებდნენ (*სურ. 33*). ტყით დაფარული გორაკის დავაკებაზე, რომელზეც ,,დევთნასოფლარი" და ,,კოპალას" ხატია" მოთავსებული, სამი მხრიდან მაღალი მთები აკრავს: ჩრდილოეთით - ქვაჯამა[26], დასავლეთით - საყუჩია, საყუჩიასა და ქვაჯამას შუა - მთაწმინდა, რომლის თავზეც, დასავლეთით მოთავსებული ყოფილა წმ. გიორგის საზარე-ნიში ზარითურთ, გორაკის დავაკებასა და მთა საყუჩიას შორის პატარა ხევია, რომელსაც ჯვართხევი ეწოდება, ხოლო სამხრეთით ჩამოედინება მდინარე ქუშხეურა (ბარდაველიძე 1941, 99) (*სურ. 34₁; 34₂*). 1939 წლის ეთნოგრაფიული მონაცემებით დევთ ნასოფლარი ოდესღაც მჭიდროდ დასახლებულ სოფლის ნანგრევების კომპლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს. დაფიქსირებული იქნა დაახლოებით 21-23 ნაგებობის კედელთა ნაშთი და საძირკვლები. კედლები ნაგები ყოფილა ნატეხი ქვისაგან მშრალად, ისეთი ოსტატობით, რომ უზარმაზარი კედლის ქვების წყობა კვადრებისაგან შედგენილს მიაგავს. კედლებში ჩატანებული ქვის მოცულობის წარმოსადგენად გასათვალისწინებელია თუნდაც ერთ-ერთი ასეთი ზომის ქვა: სიგანე 93 სმ., სიგრძე 69სმ., სიმაღლე 91სმ. (ოჩიაური 1967, 24; ოჩიაური 1941, 61-62).

[26] ლეგენდის მიხედვით, დევების საძებნელად წასული კოპალა ლოდზე წაჩოქილა, მისი მუხლის სიმძიმისაგან ლოდი შუა ადგილზე ჩაზნექილა და ჯამის სახე მიუღია. ამ გამოსახულების გამო მთას ,,ქვაჯამა" დარქმევია. ადგილობრივი მცხოვრებილის დავით შუშანაშვილის გადმოცემით ქვაჯამას სალოცავს სამკურნალო ძალაც შესწევს და ხალხი მას მხედველობის გაუმჯობესებას შესთხოვს ხოლმე.

ამავე ექსპედიციის დროს დადასტურდა ,,კოპალას ხატის“ შენობები, მისი კუთვნილი ,,სალუდე“ და ,,საზარე ნიში“ (*სურ. 35*).

ვ. ბარდაველიძის ქუშხეველი მთხრობლების მიხედვით დევთა სოფლები, რომლებიც ვრცელდებოდა ივრის ხეობის სათავეებთან (ბაჩალი, ხაშარი, ქუშხევი, კორსავი, ბეღელთანა, იხინჭა), ფშავის არაგვის ხეობის ზედა ნაწილზე (მიგრიაულთა, კართანა, შუაფხო, უკანაფშავი, ახადი), პირაქეთ ხევსურეთში ლიქოკის, უკენახოსა და როშკის ხეობებში და ასევე გუდამაყარის საკერპოს მიდამოებზე, კოპალამ და იაღსარმა ააოხრეს, დევები ამოწყვიტეს და განდევნეს, მათ ნასადგომარს კი თვითონ დაეპატრონენ როგორც გამარჯვების სიმბოლო. აღნიშნული ლეგენდა, აშკარა მითითებაა იმისა, რომ ნასოფლარი ახლანდელ მკვიდრთა თუ მათ წინაპართა კუთვნილი ტერიტორია ნამდვილად არ ყოფილა. სავარაუდოდ, იგი შედარებით ადრეული პერიოდის, განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური წარმოდგენის მქონე ხალხის სამყოფელია (ვიდრე მასში ჩასახლებული იახსარ-კოპალას ჯვარ ხატები). საყურადღებოა, რომ დევ-კერპთა ცხოვრების შესახებ გადმოცემები არ გვხვდება კავკასიონის ქედს გადაღმა მდებარე პირიქითა ხევსურეთში (არხოტისა და შატილ-მიღმახევის ხეობები), რაც ადასტურებს ხალხში შემონახულ ცნობებს ხსენებულ მხარეში თავდაპირველად არაქართველი მოსახლეობის არსებობის შესახებ (ოჩიაური 1967, 131; იხ. ასევე ხევსურეთი, კავკასიის ბილიკები, 79).

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ლეონტი მროველთან დაცული ცნობა დევთ-სახლთა შესახებ არმაზელ და სომეხ მეფეთა ურთიერთობის აღწერისას. კონკრეტულად აქედან ვგებულობთ: ,,... დაივიწყა მან [მეფე იარვანდ] კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა, და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე. და დასხნა წუნდას შინა კაცი მჴეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგმნების დევთა-სახლად...“ (ქართლის ცხოვრება, 1955, 44).

დევთა ნასოფლარებად მიჩნეული ნაგებობის საკითხი სპეციალისტთა მიერ საგანგებო შესწავლას მოითხოვს. რთულია განისაზღვროს, თუ რომელი ეპოქისაა, ან ვის

ეკუთვნის თვითოეული მათგანი. გადმოცემებში დაცული მითითებებით ერთი რამ კი ცხადია, დევთა მკვიდრი მოსახლეობა, სადაც მისდევდნენ მეურნეობას და ფლობდნენ ხელოსნობის სხვადასხვა დარგებს, როგორიცაა: მონადირეობა, მეცხვარეობა, მიწათმოქმედება და მჭედლობა (ოჩიაური 1967, 25, 47-49), მოგვიანებით განდევნილი იქნა საკუთარი ტერიტორიებიდან.

ახლანდელი მონაცემებით და ვითარებით საკმაოდ რთულია განისაზღვროს ივრის შენაკად ქუშხეურასთან დაფიქსირებული ძეგლის ფუნქცია და მისი არქიტექტურული კონტექსტი. ნაგებობები ძლიერაა დაზიანებული და მცენარეული საფარით დაფარული (ტერიტორია მთლიანად გატყევებულია, რაც ართულებს არეალის აღქმას), (*სურ. 36*$_{1-2}$*; 36*$_{3}$*; 36*$_{4}$*; 36*$_{5}$*; 36*$_{6}$). შედარებით უკეთაა შემორჩენილი ოთხი კოშკურა ნაგებობა, რომელთა კედლებიც ამოყვანილია საგანგებოდ მოჭრილი და დამუშავებული მოზრდილი ქვათლილებით (თუმცა ისინიც ჩაქცეულია და მათი შიდა სივრცის აღქმა ვერ ხერხდება), (*სურ. 37*$_{1-2-3}$*; 37*$_{4}$*; 38*$_{1-2}$*; 39; 40*). ძეგლზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თვითონ ამ ნაგებობათა დამხრობა. ისინი აღმოსავლეთისკენაა მიმართული და თითქმის ყველა მათგანის აღმოსავლეთ კელდების კუთხეები მომრგვალებულია. არსებული სურათი ბადებს ეჭვს, რომ აქ არსებულმა ნაგებობებმა დროის გარკვეულ პერიოდში განიცადეს გადაკეთება. სავსებით დასაშვებია, ადრეულ პერიოდშიც, აქ არსებულიყო განსაკუთრებული მნიშვნელობის, რელიგიური კრძალვის მქონე არეალი (რომელიც თავის მხრივ შეიცავდა სასიმაგრო ნაგებობებსაც), რომლის ,,დაკავების“ შემდეგაც მოხდა ახალ რელიგიურ წარმოდგენათა და კულტთა ჩანაცვლება. ამის მიმანიშნებელია თითქოს ის ფაქტიც, რომ არსებულ ნაგებობათა ანსამბლში დასტურდება და დღემდეა შემორჩენილი ისეთი ხატები და სალოცავები, როგორიცაა: მოგვიანო პერიოდის ირმის რქებით შემკული ხატი (პირქუში) (*სურ. 38; 41*), ხვთისმშობლის სალოცავი (*სურ. 42*), კვირია, კოპალა, იაღსარი, ქვაჯამა და სხვ[27].

ცხადია, საინტერესოა და ლოგიკურიც აღნიშნული მოსაზრებები არტანისას ლოკალიზებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი განხილვისას გასათვალისწინებელია,

[27] ხატებთან და სალოცავებთან დაკავშირებული ინფორმაცია მოგვაწოდა სოფ. ქუშხეურას მცხოვრებმა დავით შუშანაშვილმა.

რომ თანამედროვე ტექნიკური აპარატურის ხელმიუწვდომელობის გამო კვლევის პროცესში მკვლევართა მიერ ვერ მოხერხდა ისტორიული საქართველოს რუკების (შუა საუკუნეების ევროპელი გეოგრაფოსებისა და კარტოგრაფების მიერ შედგენილი რუკები) დეტალური შესწავლა და მყარი წერტილის გამოყენებით საქალაქო სივრცეთა ვექტორის გამოთვლა, რაც უფრო მეტად შესძლებდა სადავო საკითხის დაკონკრეტებას, ვიდრე მხოლოდ ტოპონიმთა შედარებითი ანალიზია.

საკითხის შესწავლის მიზნით ჩატარებული სამუშაოებით, როგორიცაა: 1. ადრეული და თანამედროვე პერიოდის ისტორიული რუკების მოძიება და შესწავლა (*სურ. 7; 8; 9₁; 9₂; 43; 44; 45*). 2. კოორდინატთა ბადეზე მყარი წერტილის აღება და ტრიანგულაციის სისტემით ვექტორის განსაზღვრა (*სურ. 46₁; 46₂*) 3. შესაბამისი პარალელებისა და მერიდიანების გათვალისწინებით ტოპონიმების რუკაზე დატანა 4. ტოპონიმების იდენტიფიკაცია – ადრეული და თანამედროვე ტოპონიმების შედარება და მათ შორის თანხვდომის განსაზღვრა, და ბოლოს 5. ტოპონიმების თეოფორიული წარმომავლობის ალბათობის დადგენა - აშკარად გამოიკვეთა, რომ პტოლემაიოსისეული მონაცემების გათვალისწინებით არტანისა სავარაუდოდ თანხვდება იორის მარჯვენა სანაპიროზე ლოკალიზებულ, თიანეთის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ არტანს (*სურ. 30₁; 30₂*). დაკვირვებითაც კარგად ჩანს, რომ ბუნებრივად იქ სწორედ ისეთი სივრცეა, რომელიც მისაღები უნდა ყოფილიყო ურბანული განაშენიანებისთვის. სოფელი ორ ხევს შორისაა მოქცეული, მარცხენა მხრიდან ჩამოუყვება მდ. არტანულა, რომელიც შემდეგ იორს უერთდება. პუნქტის ლოკალიზება ბუნებრივ წინაღობებს შორის მოქცეულ არეალში, გარკვეულწილად პასუხობს მის დომინანტის როლზე გარემოში. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ კიდევაც, რომ მხოლოდ არტანისას შეეძლო იორს დაყოლილი გზის კონტროლი (*სურ. 47*), თანაც საკმაოდ დიდ მანძილზე. მის ირგვლივ სავსებით დასაშვებია გარკვეული სახის ქალაქური ტიპის დასახლებები ყოფილიყო. ამ მოსაზრებას ამყარებს თიანეთის რაიონის დაბა სიონში ჩატარებული ის საველე სამუშაოებიც, რომელიც 70-იანი წლებიდან დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ. ძირითადად ის მიზნად ისახავდა ერწო-თიანეთის მოსახლეობის

ყოფისა და კულტურის შესწავლას. აქ მოპოვებულმა ზედაპირულმა არქეოლოგიურმა მასალამ ნათლად მიუთითა, რომ აღნიშნული ტერიტორიები ენეოლითის ხანიდან - გვიანფეოდალურ ხანამდე ინტენსიურად ყოფილა დასახლებული (სონღულაშვილი 1974, 176).

თიანეთის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელი არტანი დღესდღეობით მოიხსენიება როგორც ზემო და ქვემო არტანი (ა რ ტ ა ნ ი მისი ძველი სახელწოდებაა) (*სურ. 48*). სამწუხაროდ სოფელში შემავალი ისტორიული მნიშვნელობის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები დეტალურად შესწავლილი და აღწერილი არაა. 1925 წ. ს.ს.ს.რ ადმინისტრაციული დაყოფით, არტანი ტფილისის მაზრაში შედიოდა 50 კომლითა და 288 მცხოვრებლით (ს.ს.ს.რ. ადმინისტრაციული დაყოფა 1925, 69). 2002 წლის აღწერით ქვემო არტანში 64 მცხოვრებია. მდებარეობს მცხეთა მთიანეთის მხარის თიანეთის მუნიციპალიტეტში, არტანის თემში. მდ. იორის მარჯვენა მხარეს, ზღ. დ. 1170 მ. თიანეთიდან დაშორებულია 12 კმ-ით. ამავე წლის აღწერით, ზემო არტანში ცხოვრობს 49 ადამიანი. მდებარეობს მცხეთა – მთიანეთის მხარის – თიანეთის მუნიციპალიტეტში, არტანის თემში. მდ. იორის მარჯვენა მხარეს, ზღ. დ. 1180მ. თიანეთიდან დაშორებულია 13 კმ-ით.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით (2004 წ.) ზემო არტანში დაფიქსირებული და აღწერილია სამი ხატი, ექვსი ეკლესია (აქედან ერთი კომპლექსია), რამოდენიმე კოშკის ნანგრევი და ბეღელი (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2004, 384).

არტანი და მისი მიდამოები მეტად საყურადღებო მხარეს წარმოადგენს ივრის ხეობაში. მთისა და ბარის ურთიერთობაში ე. წ. ,,არტნისხევს“ განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მთის ჭარბი მოსახლეობის ბარისკენ მოძრაობის პირველ საფეხურზე, ბართან ,,მიახლოვების“ ზონას ივრის ხეობაში სწორედ ,,არტნის ხეობა“ წარმოადგენდა[28].

[28] არტანში ჭიჩოელთ თემის მოსახლეობა ყოფილა დასახლებული: ბაინდურაშვილი, ფეტვიაშვილი, ხიზანაშვილი, ხუმარაშვილი, წვეროშვილი, კურეტიშვილი, მეფარიშვილი, ქისტაშვილი, ღვინიაშვილი (ძირად ხევსური), პატარაშვილი, ჯღუთაშვილი, ქეშიკაშვილი. სალოცავად არტნელები ძელ საცხოვრისში, ფშავის სოფელ ჭიჩოში დადიოდნენ ხატ ,,პირცეცხლში“. ხუმარაშვილების, ჯღუთაშვილების და

აქვე გადიოდა ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი გზებიც. ამიტომაა, რომ მთელ ამ მხარეში შემონახულია მრავალი ნასოფლარი, ნასახლარი და სხვა ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის ძეგლი (რამიშვილი, ჯორბენაძე 1978, 159-160).

ძველი ქართული საისტორიო წყაროებიც ზემო ივრის აუზის შესახებ მცირე, მაგრამ საყურადღებო ცნობებს შეიცავენ.

აღნიშნული რეგიონი ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში თავდაპირველად ქართლის სამეფოში ქრისტიოანობის გავრცელების თხრობასთან დაკავშირებით იხსენიება. მაგალითად, ჩვენს დრომდე მოღწეული უძველესი ქართული საისტორიო ძეგლის ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს თანახმად, ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების გამავრცელებელ ნინოს ივრის ხეობაშიც დაუწყია ამ ახალი რელიგიის დანერგვა. ქართლის მთიელების ქრისტიანობაზე მოსაქცევად წასული ნინო, წობენიდან ,,გარდავიდა ერწუდ, და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელსცა ერწუ-თიანელთა" (შესაძლოა ქუშხევში არსებული ნაგებობების გადაკეთება დაკავშირებული იყოს სწორედ ახალი რელიგიის გავრცელებასთან). ივრის ხეობაში ქრისტიანობის გავრცელების ამავე ცნობას იმეორებს XIს. ისტორიკოსი ლეონტი მროველი (ქართლის ცხოვრება 1955, 89).

,,ქართლის ცხოვრების" მეორე ავტორი, ასევე XI ს. ისტორიკოსი ჯუანშერი ამ მხარეს იხსენიებს ვახტანგ გორგასლის მიერ ოსეთზე ლაშქრობის მზადებასთნ დაკავშირებით: ,,წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთში. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი / ორმოცდაათი / ათასი / მჴედარი. და წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარი დარიალანისა" (ჯორბენაძე 1982, 21).

XIს. ქართველი ანონიმური ავტორის თხზულებაში ,,მატიანე ქართლისაჲ"-ში, რომელშიც VIII-XI საუკუნეების ისტორიაა მოთხრობილი, რამდენჯერმეა მოხსენიებული თიანეთი, ერწო და ჟალეთი. კერძოდ, მემატიანე თიანეთში იხსენიებს

თეთრაულების წინაპარი ხევსური ყოფილა, გვარად კუკუმაური, რომელიც ფშავის სოფ. ჭიჩოში გადმოსახლებულა, ჭიჩოდან კი ივრის ხეობის სოფ. არტანში. იხ. რ. თოფჩიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XXსს. ,,მეცნიერება", თბ., 1984. გვ. 17.

გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს ბაგრატ III-ეს, რომელიც დავითთან ბრძოლის დროს (1008-1010წწ) ,,... დადგა თიანეთს, და იწყო შემუსვრად კახეთისა".

ამ პუნქტს უთითებს მემატიანე აგრეთვე ბაგრატ IV-ისა და კახეთის მეფე კვირიკე შორის ბრძოლის დროსაც. ბაგრატი ,,გარდადგა თიანეთში და დაწუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კჳრიკე მეფისა აგებული". ბაგრატ IV-ის ბრძოლის ეპიზოდში განძის ამირა ფადლონთან მოხსენიებულია ერწო და ჟალეთი, სადაც მოხდა ფადლონის დატყვევება (ქართლის ცხოვრება 1955, 311-312).

ბასილი ეზოსმოძღვართან ,,ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი", ერწო-თიანეთის მცხოვრებლებს ვხვდებით სხვა მთიელებს შორის, რომლებიც მეფის მხარეზე იბრძოდნენ აჯანყებულ ფხოველების დასამორჩილებლად: ,,მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთ მთეულთ: დვალთ, ცხრაზმელთ, მოჴევეთა, ჴადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინნა მათ ზედა" (ქართლის ცხოვრება 2012, 142).

XIVს-ის ცნობილ ქართველ მემატიანეს, ჟამთააღმწერელს ყაზან ყაენთან აღმოსავლეთ საქართველოს მეფის დავით VIII-ის (1293-1311წწ.) ბრძოლების აღწერისას აღნიშნული აქვს, რომ მონღოლთა დამსჯელმა რაზმებმა საქართველოს სხვა პროვინციებთან ერთად მოაოხრეს ერწო და თიანეთი (ჯორბენაძე 1982, 22).

ხშირად იხსენიება ერწო, თიანეთი და ჟალეთი ბერი ეგნატაშვილის მიერ შედგენილ ,,ახალი ქართლის ცხოვრებაში", რომელშიც აღწერილია XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორია.

XVII-XVIIIსს-ების ქართველი ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის თხზულებაში ,,საქართველოს ისტორია (,,ცხოვრება მეფეთა") მოცემულია ქართლის ბაგრატიონების ცხოვრება 1658-დან 1739 წლის ჩათვლით. ამ შრომიდან ირკვევა, რომ ქართლის მეფე გიორგი XI ერეკლე I-თან ტახტისათვის ბრძოლის დროს XVII ს-ის 80-იან წლებში იმყოფებოდა თიანეთში.

ივრის ხეობის ზემო წელის შესახებ ასევე მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობებს შეიცავს XVIIIს-ის ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბატონიშვილის ფუნდამენტური შრომა ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა", რომელშიც მოცემულია ერწოს და თიანეთის ქვეყნების გეოგრაფიული აღწერილობაც (ბატონიშვილი ვახუშტი 1941, 269).

დავით ბატონიშვილი თავის ,,მოთხრობა ახალში", 1744-1812 წლებში საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა ამბებთან ერთად აღწერს და გადმოგვცემს თიანეთში მომხდარ 1812 წლის მღელვარებასაც (მოთხრობა ახალი (შედგენილი ქართლის ცხოვრებისად) 1905, 112).

დავით ბატონიშვილის ძმას, ბაგრატ ბატონიშვილს თავის საისტორიო შრომაში ,,ახალი მოთხრობა", აღნიშნული აქვს ხუნძახის (ავარიის) მფლობელ ნურსალ ბეგის მიერ 1755 წელს კახეთისა და თიანეთის აოხრება (ჯორბენაძე 1982, 22).

ივრის ხეობის შესახებ შემონახულია აგრეთვე ცნობები სხვადასხვა სახის დოკუმენტებში. ეკონომიკური ხასიათის საყურადღებო მასალებს შეიცავს ,,ერწო-თიანეთის სარგოს გარიგების წიგნი", რომელსაც X-XIII სს. ათარიღებენ. ნუსხა წარმოადგენს საეპისკოპოსო გამოსაღების წიგნს. მასში აღნიშნულია თუ რა მოვალეობა და გადასახადი აწვა ერწო-თიანეთში შემავალ სოფლებს (ჯორბენაძე 1982, 23).

X-XIXსს-ის ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში, საერო და საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლებში და სასამართლო განჩინებებში ხშირად გვხვდება ივრის ზემო წელის ,,ქვეყნების" და სოფლების სახელწოდებები სხვადასხვა ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ დოკუმენტებში მოხსენიებულია ერწოს და თიანეთის ,,ქვეყნები" და მათში შემავალი სოფლები: არტანი, ბოჭორმა, გორანა, ეჟენტი, სიონი და სხვ (ჯორბენაძე 1982, 23).

საყურადღებო მასალებს შეიცავს აგრეთვე სტატისტიკურ-დემოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები, რომლებშიც მოცემულია ცნობები მოსახლეობის რაოდენობის,

სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობის, გვარების წარმომავლობისა და მოსახლეობის გადაადგილების შესახებ (ჯავახიშვილი 1967, 8, 76-77).

იოანე ბაგრატიონის ნაშრომში ,,ქართლ-კახეთის აღწერა", რომელიც დაწერილია 1794-99 წწ., ერწო-თიანეთის სოფლების ნუსხას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი (ჯორბენაძე 1982, 23).

სომხურ საისტორიო წყაროებში ერწო-თიანეთის შესახებ დაცული ცნობები ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება. კერძოდ ,,სომხურ გეოგრგაფიაში" ანუ ,,აშხარაცუიცში" მოცემული ცნობები, როგორც ფიქრობენ ძირითადად უნდა მიეკუთვნებოდეს არა უგვიანეს V საუკუნის პირველ ნახევარს. ამ წყაროს ერთ-ერთ რედაქციაში, რომელიც პარიზშია გამოცემული, აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციების ანუ ,,ჯევების" ჩამოთვლისას მოხსენიებულია ჩელეთი, ერწო და თიანეთი. VIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ლევონდი ვარდაპეტის ცნობით, აბასიდების დინასტიის მეორე ხალიფას მანსუირის (754-775წწ.) დროს ხაზარებმა დალაშქრეს ალბანეთი და ქართლი. თბილისის გარდა (764) მათ ააოხრეს შვიდი პროვინცია, მათ შორის ჩელეთი და თიანეთი (ჯორბენაძე 1982, 24).

XVI-XVII სს. ცნობილი ირანელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ნაწარმოებიდან ვიგებთ, თუ როგორ სასტიკად დასაჯა შაჰ-აბასმა ერწოსა და თიანეთის მოსახლეობა 1614 წელს, იმის გამო, რომ მათ უცნობი გზებით გაიყვანეს კახეთის მეფე თეიმურაზ I (ჯორბენაძე 1982, 24).

1771-1772წწ. საქართველოში მუშაობდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია ი. გიულდენშტედტის ხელმძღვანელობით. მართალია გიულდენშტედტი ივრის ხეობაში გავლით იმყოფებოდა და ამ მხარეზე არ იძლევა დეტალურ აღწერილობას, თუმცა ზოგადი ინფორმაციისათვის ის მცირე გეოგრაფიული ხასიათის ცნობებიც მეტად მნიშვნელოვანია. 1772 წელს შედგენილ საქართველოს რუკაზე მას თიანეთი 4-ჯერ აქვს მოხსენებული სპეციალური ნიშნულით, რომლითაც მიგვანიშნებს ზოგადი ხასიათის სამხედრო თავდაცვით ნაგებობაზე (სადა გალავნიანი და რთული ნაგებობის ციხე-სიმაგრე) (*სურ. 49*). პირობითი ნიშნების საშუალებით

გიულდენშტედტმა გვაჩვენა თუ რომელ სამოსახლო ადგილს ჰქონდა ციხე-სიმაგრე და რომელი იყო ამას მოკლებული (გამრეკელი 1964, 46).

2013 წელს, ზემო არტანის მოხილვისას (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ღორღაშულას ხევში, ხეობის ირგვლივ, მთელს ტერიტორიაზე დაფიქსირდა დამუშავებული ქვები (*სურ. 50₁₋₂*), ხოლო ხეობის მარჯვენა სანაპიროზე, მიწის ზედაპირზე ქვათლილთა წყობა, რომელიც ბორცვის გარკვეულ მონაკვეთს აუყვება (*სურ. 51₁₋₂; 51₃*). ქვებზე ჩანს იარაღით დამუშავების კვალიც. აღნიშნული პუნქტის ჩრდილოეთით, საკმაოდ ვრცელ ფართობზე, დაფიქსირდა ნაგებობის ნაშთიც (ადგილობრივების გადმოცემით თაგვა თაღლაურას[29] ციხე) (*სურ. 52₁₋₂₋₃₋₄*). სამწუხაროდ, ნაგებობა მთლიანად განადგურებულია. მის ქვემოთ, მთის დავაკებაზე არსებულ ტყეს ,,იფნიანთ ჯვარის“ სახელით მოიხსენიებენ.

2014 წლის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის დროს, საინტერესო სურათი გამოიკვეთა ივრის შენაკად არტნულასთანაც (იქ სადაც ახალი ხიდია გადებული). მდინარის მარჯვენა მხარეს, დაახლოებით 170 მეტრის გაყოლებით დაფიქსირდა კედელი (ადგილობრივების გადმოცემის მიხედვით, ქვების წყობა ოდითგანვე იყო და მას გარკვეული პერიოდი გამმიჯნავ ზოლადაც იყენებდნენ) (*სურ. 53₁₋₂₋₃*). მისი სიგანე 1მ-ს უტოლდება. კედლის დაფიქსირებული სიგრძიდან გამომდინარე იგი უთუოდ წინ გაზიდულ კოშკებსაც შეიცავდა, რომლებიც სამომავლოდ ადგილობრივთა ეზოებში იქნება საძიებელი.

[29] თაგვა თაღლაურა არტანის სახალხო გმირია. მას თავი უსახელებია სამშობლოს მტერთან ბრძოლაში, რის გამოც კახეთის ბატონისაგან წყალობაც კი დაუმსახურებია. სოფ. არტნის მცხოვრებ დავით გიორგის ძე მინდოდაურის გადმოცემით: ,,ისე გადიდებულა თაგვა, რომ მთების აქეთ თუ რამე გადმოვიდოდა ცხვარი, საქონელი და ა. შ. იმას იჭერდა თავისთანა, თავისობდა თვითონა... ციხის თავში არტნის თავ უწველია და რძე აქ ჩამოდენილა“. ამის გამო, ფშვალები თაღლაურის სახლ-კარს დასცემიან და იქაურობა აუოხრებიათ, ახალ წელს კი თვით თაგვა თაღლაურაც მოუკლავთ. სიკვდილის წინ თაღლაურას ცოლისთვის ქვაზე დაწერილი ანდერძი დაუტოვებია :,,შენ დიდი ხანი არ მიგლოო, მალე გათხოვდი, ჩემი ოქრო-ვერცხლიმიწაში შეინახე და ზედ მუხის ბოჯოლა დარგეო“. ახლა ამ ადგილს ,,დიდმუხას“ ეძახიან. არტანშივე ჩაწერილი მასალის მიხედვით იმავე დროს მოუკლავთ ფშავლებს ჩარგლის სახალხო გმირები სულა და კურდღელა. იხ. ვ. ბარდაველიძე. ივრის ფშავლებში (დღიური). ენიმკი-ს მოამბე, N XI, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1941. გვ. 140; თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები..... თბ., 1967. გვ. 123.

აღნიშნულ არეალს ჩრდილოეთიდან აკრავს ,,სასვევიას გორა“[30], რომლის თავზეც ნაგებობის ნანგრევი და ძველი სასაფლაოა (*სურ. 54*). სასაფლაოზე ჩანს ქვაყუთის ტიპის სამარხებიც (*სურ. 55*). ნანგრევები დადასტურდა ,,სასვევიას გორასთან“ არსებულ ტყეშიც[31] (*სურ. 56$_{1-2}$; 56$_{3}$*).

ამჟამად, მხოლოდ ამ მონაცემბზე დაყრდნობით, რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთება ძალიან რთულია. თუმცა ცხადია, რომ ზოგიერთი პუნქტები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაშიც არაა მოხსენებული შესასწავლია. აუცილებლად უნდა დადგინდეს ამ ძეგლთა შორის ურთიერთკავშირიც (*სურ. 57*).

ზემო არტანში ყურადღებას იქცევს XVIII ს-ის მთავარანგელოზთა ეკლესია, რომელიც ძლიერაა დაზიანებულია და ამჟამად აღარ ფუნქციონირებს. აქ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ მშენებლობაში გამოყენებულია ადრეული პერიოდის კაპიტელები (*სურ. 58$_{1}$; 58$_{2-3-4}$*).

სოფლის ტერიტორიაზე ასევე დასტურდება გვიანშუასაუკუნეების მრავალსართულიანი კოშკი, რომლის მხოლოდ ორი სართულია შემორჩენილი (*სურ. 59$_{1-2}$*) და ნაეკლესიარი (*სურ. 60$_{1-2}$*).

1939 წლის ეთნოგრაფიულ ექსპედიციას ზემო არტნის თავში აღნიშნული აქვს ,,ჭიჩველ-ხატი“, უზარმაზარი იფნის ხეების სახით წარმოდგენილი სალოცავი, რომელზეც არავითარი ნიშის კვალი ან სხვა რაიმე სახის ნაგებობის ნიშანი არ შეინიშნებოდა. ,,ჭიჩველ-ხატის“ მახლობლადვე მდგარა ბაზილიკური ტიპის პატარა ეკლესია (ბარდაველიძე 1941, 89).

დიდ ინტერესს იწვევს თვითონ ტოპონიმის თეოფორიული კუთხით განხილვაც. დადგენილია, რომ ისტორიული საქართველოს არც ერთი მხარის პანთეონში არ შეინიშნებოდა ისე მძლავრად ძველი და ახალი რელიგიური წარმოდგენების

[30] ტოპონიმები ჩაგვაწერია და ადგილზე დიდი დახმარება გაგვიწია ზემო არტნის მცხოვრებმა გიორგი ხუმარაშვილმა.

[31] 1939 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს, ვ. ბარდაველიძე ამავე არეალზე, მთის კალთაზე, ახსენებს ,,ჭიჭიკურის ხატი“-ს სახელით ცნობილ სალოცავ ნიშს. იხ. ვ. ბარდაველიძე. ივრის ფშავლებში (დღიური). ენიმკი-ს მოამბე, N XI, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1941. გვ. 140.

დაახლოება, როგორც იბერიაში. გარდა ამისა, საქართველოში უძველესი დროიდან, აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გადაკვეთისთანავე, საქარავნო გზები გადიოდა, რაც ბუნებრივად უწყობდა ხელს კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას. ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების, რიტუალებისა და ღვთაებების (,,ადგილის დედების“) პარალელურად ბერძნულ-რომაული და აღმოსავლური პოლითეიზმი შემოდიოდა (კიკნაძე 2008, 24). ლოგიკურად შესაძლებელია ამას გარკვეული ნიშანი დაეტოვებია ქალაქთწარმოქმნისას მისთვის ტოპონიმის დამკვიდრებაშიც.

არტანისა, როგორც ტოპონიმი თეოფორიული ფუძის შემცველია. ,,Art", ,,Asha", ,,Ash" – ფუძით ნაწარმოები ღვთაებები, გვხვდება როგორც ბერძნულ, ისე სპარსულ რელიგიურ პანთეონში. ბერძნულ პანთეონში შემავალი "Αρτεμις (Artemis) – არტემის – ნადირობის, ტყის, უდაბნოს, ცხოველების, სასჯელისა და ნაყოფიერების ქალღმერთად მოისაზრება. მოგვიანებით ის გაიგივებულია მთვარესთან. იბერიასთან მიმართებაში, ქალღვთაება არტემიდასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთი ეპიზოდიც, რომელიც დაცულია ქართლის ცხოვრებაში ჩართულ დანამატში ,,ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოში" BP'b), თითქოს აწყვერში ,,... იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი არტემი და აპოლონ" (მეტრეველი 2008, 381, 403[14], 559[22]; ქართლის ცხოვრება 1955, 41; ბატონიშვილი ვახუშტი 1973, 16-25). თუ ამ ჩანართის მიხედვით ვიმსჯელებთ და დავუშვებთ, რომ ქართლის ანუ იბერიის სამეფოს დასავლეთ ნაწილში დამკვიდრებული იყო არტემიდას კულტი, მაშინ შესაძლოა ვივარაუდოთ ისიც, რომ მისი გარკვეული სახის ასახულობა მთაშიც მომხდარიყო (ბოჭოიძე 1993, 354).

ისტორიულად, ახ. წ. II - III სს. ის პერიოდია, როდესაც იბერია უფრო მეტად განიცდის ირანის პოლიტიკურ ზეგავლენას. სავსებით დასაშვებია, ამ დროიდან ადგილობრივთა წარმართულ რელიგიურ შეხედულებებთან მომხდარიყო მათი რელიგიური კულტების სინკრეტიზაციაც. ირანულ მითოლოგიაში Asha Vakchista, იგივე Arta Vakchista, შედის უმაღლეს ღვთაებათა ტრიადაში, როგორც სამყაროში იდეალური

წესრიგისა და სამართლიანობის დამცველი, ცეცხლის სული (ქავთარაძე 2009, 81; Windegren 1965, 13-14; Мелетински 1997, 341, 349).

ჩვენს შემთხვევაში, თუ საქმე მართლაც უძველეს სიტყვათა დასესხებულობასთან გვაქვს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ირანულიდან შეთვისებული სიტყვები ქართულში სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათისაა, რომლებიც მომდინარეობენ სხვადასხვა დიალექტური წრიდან. აქ შეიძლება შევხვდეთ სესხების ყველა სახეს, იქნება ეს ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგად შეთვისებული სიტყვები თუ ხელოვნური, წიგნური გზით შემოსული სიტყვები, ირანული გზით მომდინარე ე.წ. ინტერნაციონალური სიტყვები თუ ირანული წარმოშობის სიტყვები, შემოსული სხვა ენათა მეშვეობით (სომხურის, ბერძნულის, თურქულისა და სხვა) (ანდრონიკაშვილი 1966, 5-6). ძვ. სპარსული arta საერთო ინდოევროპული ფუძეა, შდრ. არიული arta, rta, ძვ. ინდ. rta ,,სიმართლე, სიწმინდე" (antra ,,სიცრუე", ,,უსამართლობა"). ძვ. სპარსულში ეს სიტყვა წარმოდგენილია ღვთაების სახელად Arta (Arta brazman - ქსერქსეს ე.წ. ანტიდევურ წარწერაში). იგი შედის აგრეთვე მრავალი საკუთარი სახელის შემადგენლობაში. შდრ. არტავარდია, არტაფარნა, არტახშათრა, არტაბან, არტავაზად და სხვა. ავესტაში aša (<* arta-დან) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკულტო ტერმინია, განსახიერება ,,ზეციური სინათლისა", მადლისა, სიმართლისა და სხვ. ოსურში ეს სიტყვა წარმოდგენილია ard-ის სახით, ძირითადი მნიშვნელობით ,,ფიცი". სიტყვის საკულტო წარმოშობა კარგად ჩანს ალანურში αρδ ,,ღმერთი" (ფეოდოსიის სახელი Ἀρδαβδα ,,შვიდღმერთა'), სოღდ. art, ,,rt"w (ძვ. ირ. artavan ,,მართალი"). ეს სიტყვა ნასესხებია სომხურშიც, შდრ. արդար. ard-ar ,,მართალი". შდრ. ასევე erdumn ,,ფიცი" (ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან 1966, 27).

პტოლემაიოსის მიერ აღნიშნულ ,,არტანისას" ლოკალიზების დადგენისას, ყურადღება მიიქცია თელავის მუნიციპალიტეტში, სანიორეს თემში შემავალმა სოფ. ართანამ. ამ დაინტერესებას კონკრეტული მიზეზი გააჩნდა, კერძოდ სამეცნიერო ლიტერატურაში, ერემიანის მიერ გამოთქმული მოსაზრება ,,ლუბიონის" ლოკალიზებასთან დაკავშირებით (ლომოური 1955, 59). მკვლევარი აღნიშნულ პუნქტს

მოისაზრებს მარსპანის ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კავკასიის მთავარი ქედის ძირში, კონკრეტულად მდინარე ალაზნის ზედა წელში, მდინარე ლოპოტის შენაკადთან (*სურ. 17*). საქმე ისაა, რომ თუ ავტორის მონაცემებს გავიზიარებთ და დავეყრდნობით, მაშინ პუნქტი ,,არტანისსა"-ც დაახლოებით ამავე რეგიონში უნდა ვეძებოთ. ამ მხრივ, ყურადღება სწორედ სოფელ ართანაზე იქნა გამახვილებული, რომელიც ასევე ლოპოტის შენაკადთან ლოკალიზდება (*სურ. 61*). პუნქტი კონკრეტულად მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტიდან (სანიორეს თემის საკრებულო) 21 კმ-ში. მდინარე დიდხევის (ლოპოტის შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, 1975, 563) (*სურ. 62₁; 62₂*), ზღვის დონიდან - 460მ. GPS კოორდინატები: N- 42˚04´23´´; E- 45˚30´6´´. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 1201 ადამიანი (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი 2006, [MFN: 136149]. 1925 წლის ს.ს.ს.რ. ადმინისტრაციული დაყოფით, სოფ. ართანა შედიოდა თელავის მაზრაში, ნაფარეულის თემში, 189 კომლითა და 769 მცხოვრებლით (ს.ს.ს.რ. ადმინისტრაციული დაყოფა 1925, 69).

სოფლის ტერიტორიაზე არსებობს 24-მდე ისტორიული ძეგლი, რომელთა უმრავლესობა ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. სალოცავების უმეტესობა შუა საუკუნეებს განეკუთვნება. მათგან ერთ-ერთი, სოფლის სასაფლაოზე აშენებული ,,სამება", VI-VII სს-ით თარიღდება.

საველე გასვლის დროს დიდი დახმარება გაგვიწია ართანის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელმა ბესიკ გაიპარაშვილმა. საშუალება მოგვეცა გვენახა და დაგვეფიქსირებია სკოლაში დაცული კერამიკული მასალაც (რომლებიც სამწუხაროდ შესწავლილი და აღრიცხული არაა) (*სურ. 63*).

ჩატარებული სამუშაოებით, არტანისას ლოკალიზება სოფ. ართანასთან რამდენადმე ეჭვს იწვევს. ანტიკურ რუკებზე დაკვირვებით, პტოლემაიოსის მიერ მოცემული ,,ლუბიონი"-სა და ,,არტანისსა"-ს ნიშნულები აღნიშნულია მესტლეტასა და ჰარმოზიკეს უკიდურეს ჩრდილოეთით, დაახლოებით ერთ ხაზზე და თანაც ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებით (*სურ. 7; 8; 9₁; 9₂; 43; 44*). თუ მათ ლოკალიზებას

მოვახდენთ თელავის მუნიციპალიტეტში (კერძოდ მდ. ლოპოტის სიახლოვეს), მაშინ ეს ორი პუნქტი განთავსდება მესტლეტასა და ჰარმაკტიკას ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთმანეთის გვერდიგვერდ.

ამ ეტაპზე ჩატარებული კვლევითი სამუშაოები, ნამდვილად არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კატეგორიულად უარვყოთ ალბათობა ,,ლუბიონი“-სა და ,,არტანისსა“-ს სანიორეს თემში, მდ. ლოპოტას სიახლოვეს ლოკალიზებასთან, თუმცა აღნიშნული პუნქტები უფრო ლოგიკურად თანხვდება სოფ. ლებაისკარისა და არტნის ტერიტორიებს (*სურ. 64₁; 64₂*).

თავი 6. სურა - ,,Σούα“

სამეცნიერო ლიტერატურაში ,,Σούα“ (სურა) გაიგივებულია დღევანდელ დაბა სურამთან (ლომოური 1955, 59). მართალია, სიტყვათა მსგავსების გამო ამ გაიგივებას საკმარისი საფუძველი აქვს, თუმცა აქ გასათვალისწინებელია პტოლემაიოსის მიერ მოცემული კოორდინატები, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პუნქტი უფრო აღმოსავლეთითაა საძიებელი. თვითონ სურამის მდებარეობა, ურბანული სივრცის თვალსაზრისით, არც თუ ისე ხელსაყრელია. იგი მდინარე სურამულას ვიწრო ხეობაში სიგრძივად განფენილი დასახლებაა და მას მდინარის ორივე მხრიდან ბორცვები დაჰყურებს. არავითარი ბუნებრივი თავდაცვითი ზღუდე მას არ გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისად აქ არც ხელოვნური თავდაცვითი სისტემაც არაა მოსალოდნელი (ვინაიდან ეს უკანასკნელი, მხოლოდ ბუნებრივ ზღუდეებს აკონკრეტებს). იგი დომინანტურ ერთეულს ვერ ქმნის გარემოში (თუ არ ჩავთვლით სურამის ციხეს, რომლის მხედველობის არეც ამავე ხეობას არ სცილდება და ძირითადად მდინარეს გაყოლილი გზის ჩამკეტის ფუნქციას ასრულებდა) (ყიფიანი 2014, 24).

კლავდიოს პტოლემაიოსმა იბერიის ქალაქი ,,Σορύα“ განსაზღვრა ჩრდილოეთის მიმარ-თულებით 45˚30΄, ხოლო დასავლეთ-აღმოსავლეთით 75˚-ით (*სურ. 7; 8; 9₁; 9₂; 11*). 75˚ - ზოგადი განსაზღვრებით ექცევა შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით დღევანდელი არადეთის ტერიტორიასთან (*სურ. 66*). 1925 წლის ს.ს.ს.რ. ადმინისტრაციული დაყოფით, არადეთი შედიოდა გორის მაზრაში, დირბის თემში, 53 კომლით და 256 მცხოვრებლით (ს.ს.ს.რ. ადმინისტრაციული დაყოფა 1925, 26). თანამედროვე მონაცემებით პუნქტი მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, ქარელიდან ჩრდილოეთით, 7 კმ-ის დაშორებით, მდ. აღმოსავლეთ ფრონეს მარჯვენა ნაპირზე (*სურ. 67*). სოფ. არადეთი, შემადგენელია იმ ,,სამკუთხედისა“, რომელსაც

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონეები ქმნიან მტკვართან. ხერთვისში, სამკუთხედის ორი ქედი მაღალი ფლატეებით ისაზღვრება და ეს სამკუთხედი სწორედ ის მინდორია, რომელიც ,,დედოფლის მინდვრისა“ და ,,დედოფლის გორის“ (ორგორის) გათხრებითაა ცნობილი (სურ. 68). ჩრდილოეთიდან სამკუთხედს მდ. ფცას ერთ-ერთი განტოტებაც საზღვრავს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მდ. ფრონესა და მის შენაკადებთან არსებულ თითქმის ყველა სოფელს შემონახული აქვს ადრინდელი (ძველი) სახელწოდება. თვითონ არადეთს დვანის ფრონის სოფლებს შორის მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილიც. ამ სოფლის სახელწოდებას გადმოცემის მიხედვით უკავშირებენ არაბთა ბატონობას. აქ მდგარა არაბთა ლაშქარი და თითქოს ამის გამო შერქმევია ამ ტერიტორიას არადეთი (არაბეთი?) (მაკალათია 1963, 22-23).

არადეთი ისტორიული სოფელია. იგი იხსენიება XI ს-ში, როდესაც ბაგრატ IV ებრძოდა განძის სულთან ფადლონს თბილისის დაუფლებისათვის. ფადლონის მოკავშირე იყო კახეთის მეფე აღსართანი, რომელმაც ფადლონი შეიხიზნა და შემდეგ ბაგრატს გადასცა. ამისთვის მეფეს აღსართანისათვის უბოძებია არადეთი (ქართლის ცხოვრება 1955, 312). მე-17 საუკუნემდე ტერიტორია ამილახვართა სამფლობელოში შედიოდა, შემდეგ თეიმურაზ I-ს მოღალატე ანდუყაფარ ამილახვრისათვის ჩამოურთმევია და სახასოდ (სამეფოდ) უქცევია. როგორც ჩანს, არადეთი თავისი სტრატეგიული მდებარეობით, ფართო და მოსავლიანი მინდვრებით, რომელსაც დღესაც ,,დედოფლის მინდორს“ უწოდებენ, მნიშნელოვანი ადგილი ყოფილა, რომლის დასაკუთრებასაც მეფეებიც კი ცდილობდნენ. 1794 წლის 3 ივლისის თარიღით გაცემული სიგელით ერეკლე მეორეს მისი და სოლომონ მეორის ერთგული სამსახურისათვის არადეთი უბოძებია იმერთა შორის უპირველეს თავად წერეთლისათვის, 1822 წელს კი, ტერიტორია თავის ძმისშვილებისაგან შეუსყიდია ზურაბ წერეთელს ორი ათას მანეთად.

არადეთში, სოფლის მაღლობზე, ფრონის ნაპირას, რიყის ქვით ნაგები ციხე-გალავანიც დასტურდება, რომელიც დაახლოებით მე-18 საუკუნის პირველი ნახევრით

თარიღდება (აღნიშნული ძეგლი ვახუშტი ბატონიშვილის აღწერაში არ გვხვდება) (ქართლის ცხოვრება 1955, 312).

არადეთის სოფლის თავზე ძველი ეკლესიის ნანგრევია, რომელსაც უწოდებენ ,,სარკის წმ. გიორგის ხატს“. იგი ნაგებია ქვიტკირით, გეგმით დარბაზულია და მიშენებული აქვს ეკვდერი. ხალხური გადმოცემით სარკის წმ. გიორგის ხატი მტრის შიშით გადამალული ყოფილა დედოფლის მინდორში. მიწის დამუშავების დროს, გუთნის სახნისი ამ ხატს მოხვედრია და მეხრეც ხატის შიშით ჩამოვარდნილა. ხატი ამოუთხრიათ, დაუკრავთ ღერჩოტაზე (გუთნის თავი) და ხარები გაფრენილან. იმ ადგილას, სადაც ხარებს დაუსვენიათ, აუგიათ ხატის საჯვარე. ბოლოს ხატი გაფრენილა საციციანოში (ლელეთის მახლობლად) და აქ აუშენებიათ სარკის წმ. გიორგის ეკლესია[32]. არადეთს, კერძოდ კი დედოფლის მინდორს, სხვა ლეგენდაც უკავშირდება. დიდი ხნის წინათ, ორშაბათ დღეს გუთნისდედა ხნავდა დედოფლის მინდორს. უცებ გაპობილა მიწა, წინა ხარები ნაპრალში ჩაცვენილან და გადაუთრევია მთელი გუთნეული: ხარები, მეხრეები, გუთანი და გუთნისდედა. მიწას პირი შეუკრავს და ისინიც მეტად აღარავის უნახავს. ამის შემდეგ ორშაბათი უქმოდ დაიდო და ამ დღეს გუთანს აღარავინ აბამდა (გაგოშიძე 1974, 70).

სოფ. არადეთის მიმდებარე ტერიტორია - ,,დედოფლის მინდორი“, რომელიც მდებარეობს აღმ. და დას. ფრონეებს შორის, გამორჩეულია არქეოლოგიური ძეგლებით (*სურ. 69; 70*). ჩრდილოეთიდან მინდორს საზღვრავს სერი-კვერნაქი, რომელსაც სისხლის ჯვარი ჰქვია, ვახუშტი ბატონიშვილთან კი მოხსენებულია, როგორც ცეცხლის ჯვარი (სწორედ მის ძირას აღმოჩნდა წარმართული ტაძარი)[33]. 1926წ. დედოფლის მინდვრის სამხრეთით, სოფ. დოღლაურთან აღმართულ არადეთის ორგორის მახლობლად აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ბატილუმი - საკულტო-სარიტუალო დანიშნულების

[32] სარკის წმ. გიორგის ხატი ითვლებოდა ყველაზე ძლიერ ხატად. მისი დღეობა იმართებოდა 22 აპრილსა და 10 ნოემბერს. ს. მაკალათია, ფრონის ხეობა, ,,საბჭოთა საქართველო”, თბ., 1963, გვ. 24-25.

[33] ერთი ამჟამად სახელდაკარგული, სოფ. არადეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, მეორე ნიში - ატოცის სახელობისაა, სოფ. ღოღეთისაკენ მიმამავლ გზაზე, მესამე და მთავარი სალოცავი სარკის წმ. გიორგის ნიშია დედოფლის მინდვრის ცენტრში, ორი წყაროს -დედოფლისა და ე.წ. დამპალას წყაროებს შორის. ი. გაგოშიძე, ძეგლის მეგობარი N35, გარდა ცეცხლის (სისხლის) ჯვრისა, დედოფლის მინდორზე კიდევ სამი ნიშია. თბ., 1974, გვ. 70.

ნივთები[34] და ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული ქალღმერთის გამოსახულება. 1953-1963წწ. დედოფლის მინდორზე და არადეთის ორგორაზე დაზვერვები ჩაატარა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურბნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ნ. ბერძენიშვილი, გ. ლომთათიძე, პ. ზაქარაია, ხოლო 1975წ. დაზვერა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ო. ღამბაშიძემ, რომელმაც აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოაჩინა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნივთები. დედოფლის მინდორზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ხოლო 1973წ. ქართული ხელოვნების ინსტიტუტის ექსპედიციებმა (ხელმძღ. ი. გაგოშიძე). მათ შეისწავლეს ანტიკური ხანის სატაძრო კომპლექსი. 1979წ. არადეთის ორგორაზე გათხრებს აწარმოებდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ი. გაგოშიძე). სოფ. არადეთის დასავლეთით 3 კმ-ის დაშორებით, დედოფლის მინდორზე, გაითხარა სატაძრო კომპლექსი, რომელშიც შედის: მთავარი ტაძარი, მცირე ტაძარი, ორი კარიბჭე, მცირე ტაძრის მსახურ-ქურუმთა 6 საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ნასოფლარები და სამაროვნები (გამყრელიძე 2013, 39-40).

დედოფლის მინდვრის საკულტო კომპლექსი, თავისი გრანდიოზული მასშტაბებით, შედგენილობით, ორგანიზაციითა და მრავალი სხვა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნით, უნიკალური ძეგლია. ის, მთლიანად წარმოადგენს ერთიან გეგმარებით სქემას დაქვემდებარებულ რთულ სისტემა-ორგანიზმს, რომელიც ასახავს რელიგიურ-ცერემონიალურ სისტემას. გარდა ამისა დამორჩილებულია მკაცრი სიმეტრიის გეგმარებით სქემას, სხვადასხვა ტიპის ნაგებობებისაგან შედგენილ კომპლექსს, რომლის ხასიათიც სწორედ რელიგიური წარმოდეგენებით უნდა

[34] Batillum (Batillus) - Vatillum - რომაელი ავტორები ამ სახელით მოიხსენიებენ ხელსაწყოს, რომელშიც შეიძლებოდა ნახშირის ჩაწყობა და საჭიროების შემთვევაში სურნელოვანი ნივთების გახურება. პლინიუსის ცნობის მიხედვით კი რკინის ბატილუმებზე ხდებოდა სამონეტო ლითონის სინჯის შემოწმება, ამას თითქოს ადასტურებს ერთ-ერთი რომაული ბარელიეფი, რომელზეც აქანდაზისებური ნივთი გამოხატულია მონეტებით სავსე პარკის გვერდით. ყველა ავტორი, რომელმაც კი ბატილუმი გამოაქვეყნა იგი საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთად განიხილა. საქართველოში ნაპოვნი ბატილუმები ახ. წ. I-IIსს-ით განისაზღვრა. იხ. ი. გაგოშიძე, ბატილუმები არადეთიდან, ძეგლის მეგობარი N33, სერია: ,,მატერიალური კულტურის ძეგლები“, ,,საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973, გვ. 78-79.

ყოფილიყო განპირობებული. იგი თითქმის ზუსტად ემთხვევა S-N ღერძს (ყიფიანი 2000, 40-41) (*სურ. 71*).

არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა, რომ მთელი კომპლექსის მაორგანიზებელი და გამაერთიანებელი ბირთვი გახლდათ ცენტრალური კვადრატული ეზო. მისი გვერდების ცენტრალური არეებიდან (ოთხივე მხრიდან) კვადრატულ ფართობში თანაბარ მანძილებზე შეჭრილია ტაძარ-პროპილეუმები და სამლოცველოები. სამხრეთიდან ედგმის მთავარი ტაძარ-პროპილეუმი, რომელიც პუბლიკაციებში მთავარ ტაძრადაა დასახელებული (*სურ. 72₁; 72₂; 72₃*). სამხრეთიდან, ოღონდ შიდა მხრიდან, ცენტრალური კვადრატული ეზოს კედელზე მიშენებულია მთავარ ტაძარ-პროპილეუმისაგან იზოლირებული ნაგებობა, მცირე სამლოცველო. ცენტრალური კვადრატული ეზოს დასავლეთითა და აღმოსავლეთით დადასტურდა ერთმანეთის იდენტური ტაძარ-პროპილეუმებიც. ჩრდილოეთი მხრიდან, აღნიშნულ ეზოს ფართობში შემოჭრილი ყოფილა მცირე ტაძარი, ორივე მხარეს სამ-სამი სარიტუალო ეზოთი, ხოლო მათგან ასევე ჩრდილოეთით და მათ პარალელურად - სექციურად დაგეგმარებული სამლოცველოები. ყოველი მათგანი წინა, კვადრატული ეზოთია აღჭურვილი. მთავარი ტაძარ-პროპილეუმის დასავლეთითა და აღმოსავლეთით კვადრატული ეზოები იკითხება, ხოლო კომპლექსის SW და SO მხარეებზე ერთგვაროვანი, მცირე კვადრატული ნაგებობანი დასავლეთითა და აღმოსავლეთით მიმართული საერთო წინა ეზოებით ფორმირდება. მთავარი ტაძარ-პროპილეუმის წინ გამოიყოფა ერთგვარი წინა ეზოც. კომპლექსის უკიდურეს ჩრდილოეთით დადასტურდა შიდა მხრიდან ტიხრებით აღჭურვილი კედელი-ზღუდარი, რომელიც სექციურ სახლებს საზღვრავს. გ. ყიფიანის მოსაზრებით ცენტრალურ არეში სავარაუდოდ კოპლექსის კიდევ ერთი კარიც იყო გამართული, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენდა სექციურ სახლთა შორისი ცენტრალური დერეფნისმაგვარი ფართობი (ყიფიანი 2000, 41). მცირე ტაძრის უკანა, ანუ ჩრდილოეთი მხარე ღიაა და ისახება მცირე ფართობებად დატიხრულ ეზოდ.

კომპლექსი მთლიანად ალიზის აგურითაა ნაგები (50X50X12 სმ. ან 50X25X12 სმ.). ცოკოლს საშუალოდ 20 სმ. სიმაღლის რიყის ქვის ფენილი წარმოადგენს. კედლების სისქეთათვის ძირითადად ორი ზომაა აღებული - 1,6მ. და 1,1მ. 0, 30მ. კომპლექსის ყველა ნაგებობა, გარდა მთავარი ტაძარ-პროპილეუმის პორტიკოსისა და ცენტრალური სივრცისა, კრამიტით ყოფილა გადახურული. დადასტურებულია როგორც კერამიდები, ასევე კალიპტერები და კეხის კრამიტებიც. ისინი ი. გაგოშიძის მოსაზრებით, მცხეთური კრამიტების მსგავსია და მათგან, შედარებით დიდი ზომითა (სიგრძე 57სმ.) და ცალკეულ ელემენტთა ფორმით განირჩევა (მაგ. შვერილთა მოყვანილობით) (ყიფიანი 2000, 41).

მთავარი ტაძარ-პროპილეუმი ი. გაგოშიძემ თავიდანვე ცეცხლის ტაძრად მიიჩნია აქ თავმოყრილი, ცეცხლის ტაძრებისათვის დამახასიათებელი პრინციპული ელემენტების გამო, როგორიცაა, მაგ.: პორტიკოსი, ოთხსვეტიანი კვადრატული ცელა საკურთხევლითურთ, სვეტებს დაყრდნობილი გვირგვინი, რომელიც უეჭველად ერდოსაც შეიცავდა და გვიანდელი ,,გარსშემოსავლელის“ ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც ზოგიერთ ცეცხლის ტაძარში იცვლის თავის თავდაპირველ ფუნქციას (ცელას ირგვლივ ცერემონიალური სვლებისთვის განკუთვნილი სივრცე) და გრძივ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რამდენიმე სათავსად იქცევა. გ. ყიფიანი ძეგლის შესწავლისას, განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ცელას ცენტრს საგანგებოდ აცილებულ ღიობზე, რომელიც ადრეული ცეცხლის ტაძრებისათვის ძირეულ მოთხოვნას წარმოადგენდა. ამ მოთხოვნის არსი ის გახლდათ, რომ გარეთმყოფთა თვალთახედვის არეში არ მოხვედრილიყო წმინდა ცეცხლი (ყიფიანი 2000, 43). მკვლევარი აქცენტს აკეთებს მთავარი ტაძარ-პროპილეუმის კიდევ ერთ თავისებურებაზეც, ესაა გარსშემოსავლელი, რომელიც სამ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დერეფნადაა ქცეული. კორიდორთა მსგავსი სისტემა, სადაც გვერდით, ვიწრო ოთახებთან ერთად П-ს მაგვარი დერეფანი გამოიყოფა, აღმოსავლური ტაძრებისათვის სრულიად უცნობია და

კონკრეტულ შემთხვევაში განპირობებული უნდა ყოფილიყო ტაძრისა და პროპილეუმის ფუნქციათა ურთიერთშეთავსებით[35] (ყიფიანი 2000, 43).

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული საკულტო კომპლექსის დომინანტსა და ამავე დროს, იმ მთავარ საკულტო-ხუროთმოძღვრულ თემაზე, როგორიცაა - ცენტრალური კვადრატული ეზო. სავარუდოდ, სწორედ ეს არე წარმოადგენდა ძირითადი საკულტო რიტუალისათვის შესასრულებელ ადგილს. გ. ყიფიანი, ძველ არიულ წარმოდგენების საფუძველზე, კვადრატს განიხილავს ზოგადად წესრიგის არქეტიპად და მოდელად, რომელიც აძლიერებს კოსმოგონიური წარმოდგენის შთაბეჭდილებას, რაც თავის მხრივ, უთუოდ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო რომელიმე ღვთაებასთან (ყიფიანი 2000, 47).

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ კომპლექსის ჩრდილოეთით განლაგებული სექციური სახლებიც კვადრატულ სქემასაა დაქვემდებარებული. არქეოლოგიურმა სამუშაოებმა დაადასტურა კვადრატული ოთახის ცენტრში აღმართული სვეტის ნიშნები და ორსვეტიანი პორტიკოსი. ყველა ეს ნაგებობა გადახურული ყოფილა კრამიტით (ივარაუდება ორქანობიანი სახურავი). ყველა სახლს წინ ღია კვადრატული ეზო გააჩნდა[36]. მკვლევართა დაკვირვებით, კვადრატი, როგორც გეგმარებითი კომპოზიციის საფუძველი, ყველგან მკვეთრად გამოიყოფა. კვადრატები, რომლებიც მთელი გეგმარების ძირითად ბირთვს წარმოადგენს, ან თავისუფალი სახით მონაწილეობს ორნამენტში, ან მარტივი დანაწევრების შედეგად ქმნის მსგავსსა და თანდათან შემცირებულ ანალოგიურ გეომეტრიულ სახეებს. ამის საფუძველზე კი იქმნება მთელი კომპლექსის მკაცრი სტანდარტიზაციისა და სიმეტრიულობის სურათი[37].

---

[35] გ. ყიფიანი, დედოფლის მინდვრის ტაძარ-პროპილეუმს ადარებს ისეთი ტიპის ადრეულ ძეგლებს, როგორიცაა სუზის ,,აიადანა“, აქემენიდური ცეცხლის ტაძარი და პერსეპოლისის ,,ტრიპილონი“ - საზოგადოებრივი ნაგებობა, შუალედური კარიბჭე, საიდანაც ადვილად შეიძლება მოხვედრა ნებისმიერ ტერასაზე.

[36] გ. ყიფიანს სექციური სახლების ანალოგად მოჰყავს პერსეპოლისისა და სუზას აპარტამენტები. გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები... თბ., 2000, გვ. 47.

[37] მთავარი ტაძარ-პროპილეუმიც ჩაწრილია 46 მ-იან კვადრატში. კვადრატის კუთხეებიდან მისი გვერდის ტოლი რკალების შემოხაზვით დიაგონალი იკვეთება წერტილებში, რომლებიც ძირითადი კვადრატის ცენტრში ცელას შემოწერს. ამავე მეთოდით კონკრეტდება ცელას შუაგულში სვეტშორისი კვადრატი, რომლის თითქმის სამჯერ შემცირებული კვადრატია საკურთხევლის პლატფორმა და რომლის კვადრატი

ი. გაგოშიძეს თავის ნაშრომებში გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ მთავარი ტაძარი შესაძლოა ზოროასტრული ტრიადის ერთ-ერთ წევრს, არდვი-სურა ანაჰიტას ეძღვნებოდა (Гагошидзе 1981, 102-115; Гагошидзе 1983, 1-12). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა ნაწილი ირანული ცეცხლის ტაძრების უმრავლესობას, თვით სუზის ,,აიადანასაც" კი, სწორედ ანაჰიტას კულტს უკავშირებენ. ი. გაგოშიძის მოსაზრებას იზიარებს გ. ყიფიანიც. ტოპონიმის მნიშვნელობის განსაზღვრისას, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ,,სურ" ფუძის ავესტურ წარმოშობაზე, რომელიც - ,,მტკიცე, შეურყეველი, ნოტიო, უბიწო"-ს აღნიშნავს და ამავდროულად შედის ქალღვთაება ანახიტას ორმაგი ტიტულის შემადგენლობაში - ,,არდვი-სურა ანახიტა". მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია, რომ ქალაქს ანაჰიტას ორმაგი ტიტული მინიჭებოდა, მაგრამ მოხსენიებული ყოფილიყო ერთ-ერთით. ,,სურა" აისახა ,,გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში, ხოლო ,,არედვი" - არადეთის ფორმით ტოპონიმად ჩამოყალიბდა და დაფიქსირდა (ყიფიანი 2014, 23-24).

დედოფლის მინდორზე არსებული ნიშები და მასთან დაკავშირებული ლეგენდები უდავო მინიშნებაა იმისა, რომ ქრისტიანობამდე ამ ტერიტორიაზე მართლაც უნდა ეარსება სპეციალურ საკულტო ნაგებობებს განვითარებული სატაძრო მეურნეობით (გაგოშიძე 1974, 78). ლეგენდასთან მიმართებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წარმართული კალენდრის მიხედვით ორშაბათი მთვარის დღედ იყო აღიარებული, წმინდა გიორგი კი სამეცნიერო ლიტერატურაში, ძველი ქართული წარმართული პანთეონის, მთვარის ღვთაების მემკვიდრედაა მიჩნეული[38]. მიწათმოქმედების მფარველობა მთვარის ღვთაების, შემდეგ კი წმინდა გიორგის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია იყო. საყურადღებოა ისიც, რომ დედოფლის მინდვრის ლეგენდები ამ უცნობი წარმართული ღვთაების ქალურ ბუნებაზეც მიგვანიშნებს (ღვთისმშობლის ხატი). ერთი

სამჯერ აღემატება ალიზის აგურს - ყველა ნიშნით ამოსავალ კვადრატსა (0,5X0,5მ) და მასების რეგლამენტირების საფუძველს. გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები... თბ., 2000, გვ. 49.

[38] საქართველოში, თეორიას მთვარის კულტის წმ. გიორგის კულტით ჩანაცვლების შესახებ, არ იზიარებდნენ თეოლოგი და ფილოლოგი გ. ფერაძე და თანამედროვე მონაცემებით ზ. კიკნაძე. იხ. რელიგიები საქართველოში, საქართველო სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბ., 2008, გვ. 23.

მხრივ ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან საქართველოს ეთნოგრაფიაში, სხვადასხვა ხალხთა წარმოდგენებში შემორჩენილია რწმენა მთვარის, როგორც ორბუნებოვანი ღვთაების არსებობის შესახებ (გაგოშიძე 1974, 71). არქეოლოგიური მასალითა და სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით, კავკასიის ხალხთა რელიგიურ ცნობიერებასა და პრაქტიკაში მნათობთა თაყვანისცემას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. არსებობდა ტაძრები და სამსხვერპლოები მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სახელზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალური ბუნების მთვარის ღვთაებას, რომელსაც მსხვერპლად ადამიანებსაც სწირავდნენ. ამის თაობაზე ბერძენი მოგზაური და გეოგრაფოსი სტრაბონი წერს: ,,[ალბანელები] ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით - მთვარეს. მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად. ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ. ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდია და კარგად დასახლებული, და [ეს პირი განაგებს] მიწასაც და ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი, შთაგონებულნი, წინასწარმეტყველებენ ხოლმე. მას, რომელიც უფრო მეტად იქნება შთაგონებული და მარტო დაეხეტება ტყეში, დაიჭერს ქურუმი, შეკრავს წმინდა ჯაჭვით და ერთი წლის განმავლობაში საგანგებოდ კვებავს. შემდეგ მიიყვანენ მას ქალღმერთის სამსხვერპლოსთან და ნელსაცხებლით დაზელილს, სხვა სამსხვერპლო ცხოველებთან ერთად, მსხვერპლად შესწირავენ“ (კიკნაძე 2008, 22).

კლავდიოს პტოლემაიოსის კოორდინატებისა და ტოპონიმის, ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობის გათვალისწინებით, იბერიის ქალაქი ,,Σορύα“ შეიძლება გავაიგივოთ ქარელის მუნიციპალიტეტში, ბრეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფ. არადეთს. სოფელი არადეთი, ისევე როგორც სხვა მრავალი და მსგავსი პუნქტის დასახელება, თავისი არსით თეოფორიულია (ისევე, როგორც ამ ფუძის მიერ ფორმირებული საქართველოს სხვა ტოპონიმები: ერეთა, ერედა, ერედვი და მრ. სხვ.), რომლებშიც სავარაუდოდ ნაგულისხმევია ანახიტას მეორე ზედტიტული - ,,სურა“.

შედეგები

კვლევით გათვალისწინებული სამუშაოებით ვფიქრობ, რომ საკმაო ალბათობით მოვახდინეთ და შევეცადეთ განგვესაზღვრა:

ა) კორელაცია და ვექტორთა დადგენა კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ განსაზღვრულ მანძილის მონაკვეთებსა და თანამედროვე გეოგრაფიულ მონაცემებთან მიმართებით

ბ) საკვლევი პუნქტების როლი და ფუნქცია გარემომცველ სამყაროსთან მიმართებაში

გ) მოცემულ პუნქტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი

დ) საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხი და მათი თავისებურებები

ე) კოორდინატთა ბადეზე პუნქტების დატანა, როგორც პტოლემაიოსის მონაცემების მიხედვით, ასევე თანამედროვე ასახულობით (რაც თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს უკეთ აღვიქვათ და გავიაზროთ აღნიშნული პუნქტების ურთიერთმიმართება)

ვ) კვლევის პროცესში დადასტურებულ ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა ნუსხა

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საველე სამუშაოების პროცესში ბუნებრივად მოხდა ადგილობრივთა ჩართულობაც (რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათში ინტერესისა და პატივისცემის გრძნობის გაზრდას თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ) და სამუშაოების წარმართვის პარალელურად საკვლევ თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობა საზოგადოების ფართო წრისათვის (ადგილობრივ თუ საერთშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიებისა და მონოგრაფიის გამოცემის საფუძველზე).

შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია

კვლევით გათავალისწინებული საველე სამუშაოების, მოპოვებული მონაცემებისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რომელიც სადისერტაციო ნაშრომშია წრმოდგენილი, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იბერიის საზღვრებში კლავდიოს პტოლემაიოსის მიერ მოქცეული პუნქტები საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში განაგრძობდნენ არსებობას თანამედროვე მოცემულობით მცხეთისა და არმაზციხის უკიდურეს ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ (და არა სამხრეთით, როგორც მას ,,არტანისსას“ ლოკალიზების შემთხვევაში მოისაზრებდნენ) არეალში.

საკვალიფიკაციო ნაშრომის განხილვისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ნაშრომის სპეციფიკა, რომელიც გულისხმობს მის თეორიულ ხასიათს. მონაცემების დამუშავებისა და საველე სამუშაოების წარმოების დროს არ იყო გათვალისწინებული უშუალოდ არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას მოგვცემდა დაგვედგინა: ჩვენთვის საინტერესო პუნქტების (ნაქალაქარების) გავრცელების არეალი; აღნიშნული ტერიტორიების ხანგრძლივი არსებობის მიზეზები და მათი სოციალური ბუნება; ურთიერთდამოკიდებულება დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროებთან და მათ რელიგიურ წარმოდგენებთან; არქიტექტურული გეგმარების წარმომავლობა და შემდეგ მათი განადგურების გამომწვევი მიზეზები.

აღნიშნული არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება რთულ და ხანგრძლივ პროცესებთანაა დაკავშირებული, თუმცა მისი წარმატებული განხორციელებით შესაძლებლობა გვეძლევა იბერიის საქალაქო ცხოვრებაზე სრულყოფილი სურათი აღვადგინოთ.

დასკვნა

კლავდიოს პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, რომლის მიხედვითაც თითქმის XVIII საუკუნის ბოლომდე აქტიურად აწარმოებდნენ რუკათა რეკონსტრუქციას, შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვროთ ათვისებული სამყაროს შესახებ არსებული ადრეული პერიოდის წარმოდგენები (*სურ. 73₁; 73₂; 73₃*) რეალურად რამდენად შეესაბამება თანამედროვე მოცემულობას (მაგ. მოხდა თუ არა ტოპონიმთა გარკვეული სახეცვლილება, ახალ ტოპონიმთა გაჩენა ან სულაც მათი გაქრობა და სხვ.).

კონკრეტულად იბერიის ქალაქთა ლოკალიზებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ რუკებზე რომლებიც ახალი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ იქმნებოდა, პტოლემაიოსის მიერ იბერიის საზღვრებში მოქცეული გარკვეული პუნქტები კვლავ განაგრძობენ არსებობას (მაგ. არტანისა) (*სურ. 6; 8; 8; 9₁; 9₂; 10; 43; 44*). გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ისტორიული მონაცემებითა და არქეოლოგიური მონაპოვრებით განმტკიცებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თანამედროვე მცხეთა და არმაზციხე გაიგივებული იქნა ბერძენ და რომაელ ავტორთა მიერ ნახსენებ ჰარმაკტიკასა და მესტლეტასთან, დამატებით არგუმენტს გვაძლევს ლოგიკურად კვლევით გათვალისწინებული პუნქტები სწორედ იქ ვეძებოთ, სადაც გეოგრაფოსი მოისაზრებდა, კერძოდ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული ორი მყარი წერტილის უკიდურეს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით.

ცხადია, გამოთქმული მოსაზრებები კვლევის მხოლოდ გარკვეული ეტაპია და მეტი კონკრეტიზებისათვის საჭიროებს დამატებითი სამუშაოების ჩატარებას. განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო პუნქტებში მოხდეს არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება, რაც თავის მხრივ დაადასტურებს ან უარყოფს ანტიკურ ქალაქთა ამ პუნქტებში არსებობას.

რეკომენდაციები

წინამდებარე ნაშრომი ეხება იბერიის (კავკასიის) ქალაქთა ლოკალიზების მცდელობას კლავდიოს პტოლემაიოსის კოორდინატთა სისტემაზე დაყრდნობით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (საგრანტო პროექტი - ,,2013-2014წწ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები“, ხელშეკრულება N40/20) ხელშეწყობითა და დაფინანსებით 2013-2014წწ. გამოვიკვლიეთ ოთხი ქართული პუნქტი (1. სოფ. არტანა და ქუშხევი - თიანეთის მუნიციპალიტეტი, არტნის თემი (ორი საველე გასვლა); 2. სოფ. ართანა - თელავის მუნიციპალიტეტი, სანიორეს თემი; 3. ბრეთის ადმინისტრაციული ერთეული - ქარელის მუნიციპალიტეტი). აღნიშნული მივლინებებისა და კვლევების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე ნაშრომი და ამავდროულად, რუსთაველის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა მონოგრაფია - ,,კავკასიის იბერიის ქალაქები კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიაში“ (,,არტანუჯი“, თბ. 2015).

ჩატარებული კვლევების მიზანს წარმოადგენდა მოგვეხდინა ზემოთ აღნიშნული პუნქტების ურბანული თვალსაზრისით შეფასება, GPS კოორდინატების აღება, ფოტოფიქსაცია, არსებული ჰიდრონიმებისა და ტოპონიმების აღრიცხვა, ტოპონიმთა შედარებითი ანალიზი და ადგილობრივებისაგან ინფორმაციის მოპოვება. კვლევის ეს ეტაპი არ ითვალისწინებდა არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებას, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას მოგვცემდა დაგვეკონკრეტებინა ჩვენთვის საინტერესო პუნქტებში იბერიის ქალაქთა ლოკალიზების ალბათობა.

სამომავლოდ დაგეგმილი კვლევის წარმართვა აღნიშნულ საკითხზე მართალია რადიკალურ სირთულეებთან არის არის დაკავშირებული, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ პტოლემაიოსის მიერ მოცემულ პუნქტებს შორის ვექტორის განსაზღვრა (რომელიც იმდროინდელ სამყაროს მონაცემებს შეესაბამება) და შემდეგ მათი თანამედროვე სიტუაციაში გადმოტანა გარკვეულ პრობლემებს მაინც წარმოქმნის.

საკითხის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, სამომავლოდ სასურველი იქნება ჩვენთვის საინტერესო პუნქტებში კვლევა გაგრძელდეს არქეოლოგიური სამუშაოების საფუძველზე, რაც თავის მხრივ დაადასტურებს ან უარყოფს ანტიკურ ქალაქთა ამ პუნქტებში არსებობას. არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება თავის მხრივ გულისხმობს კვლევისას გამოვლენილი ძეგლების განლაგების სქემისა და ანაზომის შექმნას, შესასწავლი ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმის დაზუსტებას, საკვლევ ტერიტორიაზე მოპოვებული მასალის შესწავლას (მათთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებასა და სამუზეუმო სივრცეში დაცული მასალის შედარებითი ანალიზის მოხდენას), გამოვლენილი ობიექტების ფიქსაციას და მათ ვიზუალურ აღწერას. ასევე, აუცილებელი იქნება ძეგლის ტოპოგრაფიული აგეგმვა და თანამედროვე ტექნოლოგიებით (GIS) კავკასიის ისტორიულ-გეოგრაფიული რუკის შემუშავება, მასზე საკვლევი პუნქტების კოორდინატების დასმა და სხვ. აღნიშნული სამუშაოები დაგვეხმარება იმაშიც, თუ რა დონით უნდა მოვახდინოთ კონკრეტულად იბერიაში თანამედროვე რუკის კორელაცია პტოლემაიოსის მონაცემებთან მიმართებით.

ბიბლიოგრაფია

ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. ,,ხელოვნება“, თბილისი, 1971.

ანდრონიკაშვილი მ. ირანული სატომო და ადგილის სახელები ძველ ქართულ საისტორიო სახელებში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1954.

ანდრონიკაშვილი მ. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1966.

ანტიკური კავკასია. პროექტის ხელმძღვანელი რ. გორდეზიანი. ენციკლოპედიის ანოტირებული სიტყვანი. ,,ლოგოსი“, თბილისი, 2008.

ანდღულაძე ნ., გვასალია ჯ., დვალი თ., სიდამონიძე უ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქცია, თბილისი, 2004.

აპიანე. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959.

აფაქიძე ა. საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, თბილისი, 1956.

აფაქიძე ა. მცხეთა. ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1959.

აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1965.

აფრიდონიძე შ., მაკალათია ფ. ქართული ოიკონიმები. ტოპონიმიკა II. თბილისი, 1980. [5-293].

აფხაზავა ი., გიგინეიშვილი ი., კობახიძე ა., უკლება დ., ჭაბაშვილი მ. საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი, 1987.

ბაგრატიონი ი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტოპონიმიკა II. თბილისი, 1980, [345-382].

ბარდაველიძე ვ. ივრის ფშავლებში (დღიური). ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების 1939 წლის სამეცნიერო მივლინებათა და ექსპედიციების ანგარიშები. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, N XI, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1941.

ბარდაველიძე ვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II1. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1982.

ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. სტალინის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

ბედოშვილი გ. ერწო-თიანეთის ტოპონიმია. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1980.

ბერიძე ვ. მცხეთის კათედრალის ,,სვეტი ცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში. ,,საქ. მუზეუმის მოამბე“, ტ. XV B. თბილისი, 1948.

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1964.

ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 1985.

ბოჭოიძე გ. თუშეთი. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1993.

ბოხოჩაძე ალ. ,,ძველი მცხეთის“ ლოკალიზაციის საკითხები 1. ნაქალაქარები და ნამოსახლარები. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები III. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1978.

გაგოშიძე ი. ბატილუმები არადეთიდან. ძეგლის მეგობარი N33. სერია: ,,მატერიალური კულტურის ძეგლები“, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.

გაგოშიძე ი. წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე. ძეგლის მეგობარი N35. სერია: ,,მატერიალური კულტურის ძეგლები“, ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.

გამრეკელი ვ. საქართველოს 1772 წლის რუკა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1964.

გამყრელიძე ალ. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ. წიგნი XXXI. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1973.

გამყრელიძე გ., მინდორაშვილი დ., ბრაგვაძე ზ., კვაჭაძე მ. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისი, 2013.

გეხტმანი გ. ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1955.

გიგაური გ. განსაკუთრებული ნიშანი წერაქვულ დამწერლობაში (კრიპტოგრამები). სამეცნიერო-საისტორიო ჟურნალი ,,სვეტიცხოველი N11“. თბილისი, 2010.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1962.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ.1964.

გობეჯიშვილი ნ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1952.

გოზალიშვილი გ. კასპიის კარი. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე V-VI. თბილისი, 1940, [469-477].

გორგაძე ს. წერილები საქართველოს ისტორიიდან. ნაწილი მეორე. თავი II: ადერკიდან მირიანამდე. ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II. თბილისი, 1911-1913, [1-42].

გრიგოლია გ. არტაანი იბერიაში. სამეცნიერო ჟურნალი ,,სვეტიცხოველი 2“. თბილისი, 2010.

თაყაიშვილი ე. როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი ,,მნათობი“, N8. ,,სახელგამი“, თბილისი, 1948.

თაყაიშვილი ე. შენიშვნები ბატონიშვილის ვახუშტის ისტორიის და გეოგრაფიის ხელთნაწერების შესახებ, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი პირველი. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთ ამხანაგობისა, ტფილისი, 1907.

თოფჩიშვილი რ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XXსს. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1984.

ითონიშვილი ვ. ტოპონიმიურ-ონომასტიკური და ზოგიერთი ისტორიული დოკუმენტის მონაცემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2006.

იოსელიანი პ. აღწერა თფილისის სიძველეთა. ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითრების ფონდი, ,,არეტე“, თბილისი, 2009.

კაკაბაძე ს. მოსახლეობის რიცხვი საქართველოში მე-XV-XVIIIსს. სიგრძეზედ. კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიული კავშირი N30. ,,ეკონომია“. ტფილისი, 1920.

კაკაბაძე ს. ქართულ სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები (ამონაბეჭდი საისტორიო მოამბე-დან წ. I. ს; მ. უ. ს.) ტფილისი, 1924.

კაკაბაძე ს. ქალ. არმაზი - ქალ. მცხეთა. საისტორიო კრებული III. თბილისი, 1928.

კეკელიძე კორ. ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები. მიმომხილველი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ტფილისი, 1962.

კიკნაძე ზ. რელიგიები საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2008.

ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და დაყოფა I-XIII საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). ,,მეცნიერება“, თბილისი, 1977.

ლომთათიძე გ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1989.

ლომოური ნ. კლავდიოს პტოლემაიოსი ,,გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32. თბილისი, 1955.

ლომოური ნ. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. შრომები IV. ნაკვ. I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1958.

ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), (სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობანი ძვ. წ. IIს-დან ახ. წ. III-IVსს.), ,,მეცნიერება“, თბილისი, 1968.

ლორთქიფანიძე ოთ. ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში (ახალი კომენტარები). თბილისი, 2010.

ლორთქიფანიძე გ. კოლხეთის ქალაქები პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ (ლოკალიზაციის პრობლემები), ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში II. თბილისი-ბათუმი 2000.

ლორთქიფანიძე გ., ყიფიანი გ. ქალაქ ,,Σαράη“-ს ლოკალიზაციისათვის. ,,არტანუჯი“, თბილისი, 2009.

მაკალათია ს. ფრონის ხეობა. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963.

მაკალათია ს. ხევსურეთი. ,,ნაკადული“, თბილისი, 1984.

მაკალათია ფ. არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიკა. ტოპონიმიკა I. თბილისი, 1976, [22-225].

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. წიგნი I. გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ,,მეცნიერება”, თბილისი, 1964.

მელიქიშვილი გ. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელწმიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1955.

მელიქიშვილი გ. ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის. შრომები IV. ნაკვ. I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1958, [141-170].

მეტრეველი რ. ქართლის ცხოვრება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ,,მერიდიანი“, ,,არტანუჯი“, თბილისი, 2008.

მოთხრობა ახალი (შედგენილი ქართლის ცხოვრებისად). მასალები საქართველოს ისტორიისათვის. შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა 1744-1840წწ. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა, ტფილისი, 1905.

მშვილდაძე მ. ადრეული ქრისტიანობა საქართველოში. ,,უნივერსალი“, თბილისი, 2008.

მშვილდაძე მ. ქრისტიანული ცივილიზაციის დამკვიდრება - ანტიკური ცივილიზაციის ლოგიკური დასასრული. კულტურულ-საისტორიო ძიებანი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.

ოჩიაური თ. ხევსურეთი. ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა VII საერთაშორისო კონგრესისათვის. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964.

ოჩიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1967.

ოჩიაური თ. გადმოცემები სალოცავთა დაარსების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 2. თბილისი, 1974.

ოჩიაური თ. ხევსურეთი და ხევსურები. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977.

რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ. ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1978.

საქართველოს პეტროგლიფების დიდი კატალოგი. პროექტის ავტორი დ. გოგუაძე. ,,თამარიონი“, თბილისი, 2000.

სონღულაშვილი ჯ. ერწო-თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1973 წელს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 2, თბილისი, 1974.

ს.ს.ს.რ. ადმინისტრაციული დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა, ტფილისი, 1925.

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული II. ,,მერანი“, თბილისი, 1993.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: [3 ტომად], 1 გამოცემა. ,,ფანტაზია“, თბილისი, 2006, [MFN: 136149].

ქავთარაძე გ. წარმართული იბერიის ღვთაებათა არსისათვის. კავკასიურ-აღმოსავლური კრებული - XIII. თბილისი, 2009.

ქავთარაძე გ. მცხეთის უძველესი ადგილმდებარეობისა და სახელწოდების საკითხისათვის. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები - X-XI. ISSN 1987-6564. თბილისი, 2010-2011.

ქალდანი ა. ხევსურეთის კოშკები. ძეგლის მეგობარი. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988.

ქალდანი ა. კისტანი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქცია, თბილისი, 2004.

ქართლის ცხოვრება, ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ,,სახელგამი“, თბილისი, 1955.

ქართლის ცხოვრება, ტ. II. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი. ბ. სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973.

ინგოროყვა პ. ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა. ,,ენიმკი“-ს მოამბე X. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2009.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. თბილისი, 1975.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. თბილისი, 1977.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3. თბილისი, 1978.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. თბილისი, 1979.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5. თბილისი, 1980.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 6. თბილისი, 1983.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 7. თბილისი, 1984.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 8. თბილისი, 1984.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9. თბილისი, 1985.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 10. თბილისი, 1986.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11. თბილისი, 1987.

ღლონტი ალ. მცხეთის ტოპონიმია 2. ტოპონიმიური ძიებანი. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975.

ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957.

ყაუხჩიშვილი ს. რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964.

ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ 1. თბილისი, 1967.

ყიფიანი გ. ანტითეზური გამოსახულებანი. ნარკვევები I. საქართველოს აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სარედაქციო ჯგუფი, თბილისი, 1995.

ყიფიანი გ. ცხოველთა გამოსახულებანი ქვათლილზე. ძეგლის მეგობარი N4 (103). საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, თბილისი, 1998.

ყიფიანი გ. კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, 2000.

ყიფიანი გ. არდამის ქართლში ლაშქრობა და მოღვაწეობა. კულტურულ-საისტორიო ძიებანი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.

ყიფიანი გ. მცხეთის წარმოშობის საკითხისათვის (საქალაქო სივრცე, დრო და გეოგრაფია). ,,კადმოსი“ ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი 2, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010.

ყიფიანი გ. ქალაქი Σούριον. ,,არტანუჯი“, თბილისი, 2014.

ჩიტაია გ. თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების 1939 წლის სამეცნიერო მივლინებათა და ექსპედიციების ანგარიშები. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, N XI, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1941.

ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961.

ცხადაია პ. ლე-ე და სა-//სა-ო აფექსების შემცველი ანთროპოტონიმები მთიან სამეგრელოში. ტოპონიმიკა I. თბილისი, 1976, [352-389].

ძიძიგური შ. ბასკები და ქართველები. ,,საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982.

ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში 1. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1968.

ჭილაშვილი ლ. კახეთის ქალაქები (XIV-XVIIსს.). ,,მეცნიერება”, თბილისი, 1980.

ჭინჭარაული მ. შატილი. ,,არტანუჯი“, თბილისი, 2008.

ჭკადუა ა. შიშგილ-ისა და ფოშდელ-ის შემცველი ტოპონიმების ისტორია-ეტიმოლოგიისათვის. ტოპონიმიკა I. თბილისი, 1976.

ჭყონია ი. სიტყვის-კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. Матеріалы по яфетическому языкознанію, С-Петербургъ. вас. остр. 9-я линія, N12. 1910.

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I. თბილისი, 1928.

ჯავახიშვილი ივ. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. თბილისი, 1946.

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია შესავალი, წ. I. თბილისი, 1950.

ჯავახიშვილი ივ. აღმოსავლეთ საქართველოს XVIIIს. ხალხის აღწერის დავთრები. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I დემოგრაფიული ძეგლები. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1967.

ჯანაშია ს. მცხეთა - საქართველოს დედაქალაქი. მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის I სესიაზე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქივი, 1941.

ჯანაშია ს. იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში; აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის. შრომები II. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1952.

ჯორბენაძე ბ. დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიაში (ზოგადი მიმოხილვა). ტოპონიმიკა I. თბილისი, 1976, [226-261].

ჯორბენაძე ბ. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. ,,მეცნიერება“, თბილისი, 1982.

ჯოჯუა ვ. ქართული ტოპონიმები ბერძნულ წყაროებში. ტოპონიმიკა I. თბილისი, 1976, [432-448].

ხარაძე რ. პირიქით ხევსურეთში მივლინების წინასწარი ანგარიში. ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების 1939 წლის სამეცნიერო მივლინებათა და ექსპედიციების ანგარიშები. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, NXI, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი,1941.

ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქართლი. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1993.

ხორნაული გ. ქართული ონომასტიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

Arkway R. B. Catalog 55. Antique Maps. New York. (pdf) 7 sep. 2012.

Berggren J. L., Jone's A. Ptolemy's GEOGRAPHY, An annotation of the Theoritical Chapters, Princeton University Press, 2000.

Berggren J. L., Jone's A. Translation of Ptolemy's Geography, Princeton University Press, (press. Princeton.edu/sample_chapter/Ptolemy/), 2000.

Brychtová A., Tsorlini A. Differences of Ptolemy Based cartography of Central Europe with respect to Czech Republic representations. e-Perimetron, Vol.6, No. 2, 2011, [96-113] (www.e-perimetron.org/ISSN 1790-3769).

Cooper J. C. Lexicon Alter Simbole, veb. E. A. Seemann, Verlag, Leipzig, 1986.

Dictionary of the Ancient Near East, British Museum, Edited by P. Bienkowski and A. Millard, British Museum Press, 2000.

Diller A. Lists of Provinces in Ptolemy's Geography, classical philology, vol. 34, No 3, The University of Chicago Press, Jul. 1993, [228-238].

Edney M. H. Reflection Essey: Progress and the Nature of ,,Cartography". Classics in Cartography: Reflections of Influential Articles from Cartographica. WILEY. BLACKELL. Published online: 18 March, 2011.

Feke J. Ptolemy in Philosophical Context: A Study of the Relationships Betweem Phisics, Mathematics and Theology, Institute for the History and Philosophy of Science and Technology, University of Toronto, 2009.

Forbes B.Y. Science and the Crafts in the Ancient Near East, Duch Classics, 1993.

Gautier Dalché P. The Reception Of Ptolemy's Geography (End of the Fourteenth to Beginning of the Sixteenth Century), The history of renaissance cartography interpretive essays, 1987.

Harley J. B. ,,The Map and The Development of the History of Cartography, vol. 1, chap. 1. University of Chicago Press, 1987.

Harley J. B. Deconstructing The Map, Cartographica: The International Journal for Geographic Information and Geovizualition, volume 26, no. 2, University of Toronto Press, 1989.

Harper T. Fortunate Survivors: Maps and Map Fragments in the Bagfort Collection. eBLJ 2010, Article 1. [1-25].

Herzog Z. Archaeology of the city. Urban Planning In Ancient Israel And It's Social Implications. Emary and Claire Yass Archaeology Press. Tel Aviv 1997.

Inman T. Ancient Pagan and Modern Christian Symbolism, Leeds, Yorkshire, England 2004.

Isaksen L. Lines, Damned lines and statistics unearthing structure in Ptolemy's Geographia, e-Perimetron, vol. 6, No 4, 2011 [254-260]. (www.e-perimetron.org/ISSN 1790-3769).

James P. E., Martin G. J. The Beginning of Classical Geography. All Possible Worlds. A History of Geographical Ideas, Chap. 2, New York 1981.

Koetzli W. R. Ptolemy and Purāna: Gods born as Men. J Indian Philos (2010) 38:583-623. DOI 10-1007/s10781-010-9104-x, Springer Science+Business Media B. V. 2010.

Widengren G. Die Religionen Irans. RM. B. 14. Verlag, Stuttgard, 1965.

Lechthaler M. The World Image in Maps from the Old Ages to Mercator. Institute of Geoinformation and Cartography Vienna University of Technology, Austria. 2009. 157-158 (http://publik.tuwien.ac.at/files/PubDat_174738.pdf).

Mango C. Georgian Architecture, University of technology, Aachen, in cooperation with the Institute of Georgian Art History, Academy of Science of Georgia (Tbilisi), IDC publisher, 1991-1992, Brill.

Manners I. European Cartographers and the Ottoman World 1500-1750, Maps from the collection of O. J. Sopranos. THE ,,REDISCOVERY" OF PTOLEMY. Oriental Institute Museum, 2008.

Murrey C. Mapping Terra Incognita, Institute of Antarctic and Southern Ocean Studies. University of Tasmania, Privat Bag 77, Hobart, Tasmania 7001. Australia 2004.

Nagarjuna G. An Invitation to History of Science, Homi Bhabha Centre for Science Education, Tata Institute of Fundamental Research, Mumbai-400 088.

Park K., Daston L. The Cambridge History of Science, Volume 3, Early Modern Science. Cambridge University Press, 2008.

Parpola S. The Assyrian Tree of Life: Tracing the Origins of Jewish Monotheism and Greek Philosophy, Journal of Near Eastern Studies, vol. 52, N3. The University of Chicago Press, Chicago. Illinois. U.S.A.

Rylands T. G. The Geography of Ptolemy, 1893.

Smith W., LL.D. Dictionary of Greek and Roman Geography. Vol. I. London, 1853.

Trautmann T. R. Languages and Nations. The Dravidian proof in Colonial Madras, 2006.

Tsorlini A. Higher order systematic effect in Ptolemy's Geographia coordinate description of Iberia. e-Perimetron, Vol.4, No. 2, 2009, [117-130] (www.e-perimetron.org/ISSN 1790-3769).

Tsorlini A. Spatial distribution of Ptolemy's Geographia coordinate differences in north Meditterranean eliminating systematic effects. e-Perimetron, Vol.4, No. 4, 2009, [247-266] (www.e-perimetron.org/ISSN 1790-3769).

Windegren G. Die Religionen Irans. Stuttgart, 1965.

Арутюнян Б. А. К вопросу о локализации страны Лпинк. К освещению проблем истории и культуры Кавказской Албании и восточных провинций Армении. Издательство Ереванского гос. университета, 1991.

Бартоломей А. И. Две классические надписи найденные в Закавказском крае, Тбилиси, 1868.

Болтунова А. И. К вопросу об Армази. ,,ВДИ" 1949, 2 (28).

Брагинский И. С. Мифологический словарь. Москва, 1990.

Гагошидзе Ю. М. Из истории грузино-иранских взаимоотношений (храм II-Iвв. до н. е. Дедоплис Мидори. В кн: Кавказ и Средная Азия в древности и средневековъе. Москва, 1981.

Гагошидзе Ю. М. Дохристианские храмы Грузии. IV-Международныи симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1983.

Гумбольдт А. Ф. Космос. перев. с нем. Н. Флорова, Москва, 1851.

Дитмар А. Б. От Птолемея до Колумба. Москва-Мысл, 1989.

Дрезден М. Мифология древнего Ирана. Мифология древнего Мира. ,,НАУКА“, Москва, 1997, [337-366].

Латышев В. В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. ВДИ 1948, Москва, №2.

Энциклопедия символов. ,,СОВА“, Москва-Санкт-Петербург, 2005.

Еремян С. Т. Торговые пути Закавказья в епоху Сасанидов. ВДИ. N1. Москва, 1939.

Меликсет-Беков А. М. Армазни. Историко-Археологический очерк. Материалы по истории Грузии и Кавказа, Тбилиси, 1938.

Меликишвили Г. А. Происхождение грузинского народа. Тбилиси, 1952.

Месхия Ш. Города и городской строй феодальой Грузии. Тбилиси, 1954.

Муравиев С. Н. Птолемеева карта кавказской Албании и уровень Каспия. ВДИ 1983, №1.

Овчаров Д. Болгарски средневековни рисунки-графити. София, 1982.

Тахо-Годи А. А. Греческая мифолоия. Мифологический словарь. ,,Исскуство” Москва, 1989.

დამხმარე ინტერნეტ რესურსები:

გ. კოკოშაშვილი. სკრიპტოგრამული ნიშნები და ქართული ასომთავრული. Iberiana (https://iberiana.wordpress.com/alphabet/scripts/). 2011.

ხევსურეთი. კავკასიის ბილიკები: ხევსურეთის სამხრეთ საქართველოს მოკლე მიმოხილვა.

http://issuu.com/pshavkhevsureti/docs/hq_geo_1.

ხევსურეთი. კავკასიის ბილიკები: ხევსურეთის სამხრეთ საქართველოს მოკლე მიმოხილვა. http://issuu.com/pshavkhevsureti/docs/hq_geo_2.

,,ASIA PROPRIA" IN FIFTINTH AND SIXTEENTH-CENTURY PTOLEMAIC ATLASES. The oriental institute museum of the university of Chicago. oi.uchicago.edu

S. Atchison, A Mathematical History of Cartography. Math 646.700. 2011.

(http://www.math.tamu.edu/~mpilant/math646/MidtermProjects/Atchison_midterm.pdf). General Geography. Ray Technology University, (www.raitechuniversity.in).

M. Lan. Early and Rare World Maps, Atlases and Rare Bok, Important World Maps, Atlases and Geographic Book. Catalogue 45. New York (New York 10022), 2013.

T. Macall. Cross and Crucification, Enciclopedia Britanica.

M. E. Smith. Centenary Paper V. Gordon Childe and the Urban Revolution: a historical perspective on a revolution in urban studies.

A. Tihon. Numeracy and Science. Sciences of the Quadrivium, Chap. III.17.4.

The Natural History. Pliny the Elder, Chap. 11 (10) - Albania, Iberia and the Adjoining Nation. გვ. 8. https://www.scribd.com/doc/252254190/Pliny-Naturalis-Historie-Book-VI

The world according to Ptolemy, A.D. 200 – Claudius Ptolemy. (http://www.henry-davis.com/MAPS/Ancient%20Web%20Pages/119mono.html).

D. Sullivan, Mapmaking and its History, Rutgers University 2002, web. 24 Mar., 2011 (http://www.math.rutgers.edu/cherlin/History/Papers2000/sullivan.html).

D. Woodward. Cartography and The Renaissance: Continuity and Change. Setting The Stage. vol. 3, part 1, chap. 1. (Web.press. uchicago.edu), 2007.

https://www.flickr.com/photos/national_archives_of_georgia/16508076331/in/set-72157650361291667/

დანართი 1

ტოპონიმთა განმარტება:

ა

აგინა - ქალაქი იბერიაში. მოხსენიებული აქვს კლავდიოს პტოლემაიოსს ,,გეოგრაფია“-ში (ვ. ჯოჯუა, ტოპონიმიკა 1. 1976, 432-448; ნ. ლომოური, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 32. 1955, 46).

ალბანია - კავკასიის ქვეყანა ანტიკურ პერიოდში. მოიცავდა ახლანდელ აზერბაიჯანის და დაღესტნის სამხრეთ ნაწილს (მცირე კაცკასიონის მთიანეთიდან და მდ. არაქსისა და მტკვრის ქვემოწელიდან დაწყებული კავკასიონის ქედის ჩრდ.-აღმ. მონაკვეთამდე და კასპიის ზღვიდან იორ-ალაზნის ქვემოწელამდე, ანუ იბერიის სამეფოს საზღვრამდე). კლავდიოს პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიის“ მიხედვით მასზე გადიოდა იბერიის აღმოსავლეთ საზღვარი (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. 1975, 276; ნ. ლომოური, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1955, 46).

არადეთი - სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში. ბრეთის თემში. მდ. აღმოსავლეთ ფრონის მარჯვენა ნაპირზე (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. 1975, 534).

არდაჰანი/არტაჰანი/არტაანი - ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე და ციხე-ქალაქი სამხ. საქართველოში. მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს (დ. ბერძენიშვილი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. 1975, 586-587).

ართანა - სოფ. თელავის მუნიციპალიტეტში (სანიორეს თემის საკრებულო). მდ. დიდხევის მარჯვენა ნაპირზე (მდ. ლოპოტის შენაკადი). თელავიდან 21 კმ. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. 1975, 563).

არმაზი - ციხე-ქალაქი. მდებარეობს მცხეთის მოპირდაპირე მხარეს, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას. იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ლეონტი მროველის ,,მეფეთა ცხოვრება“ (ქც: 8,19; 9,12; 10,6; 13,12;19,5; 43,22; 44,10; 45,1; 50,3,6,17), ლეონტი მროველის ,,ნინოს მიერ ქართლის მოქცევა (ქც: 89,5), ჯუანშერის ,,ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც: 339, 14-19). ,,არმაზციხე“ ბერძნულ-რომაულ წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება. სტრაბონი მას უწოდებდა ჰარმოზიკეს; პტოლემაიოსი - ჰარმაკტიკას; დიონ-კასიოსი - ჰერმასტუს. XVIII-XIXსს-ის ქართულ წყაროებში არმაზციხე მოიხსენიება ,,ბაგინეთის სახელით (გ. გამყრელიძე. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი. 2013, 47).

არმენია - კავკასიის ქვეყანა ანტიკურ პერიოდში. კლავდიოს პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიის“ მიხედვით მასზე გადიოდა იბერიის სამხრეთ საზღვარი (ანტიკური კავკასია. 2008, 17).

არტანი - სოფელი მდ. ივრის ზემო აუზში, თიანეთის რაიონის საფლების ზემო და ქვემო არტნის ძველი სახელწოდება. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. 1975, 587) დასახლებულია ივრისხეველი ფშავლებით. ტოპონიმის წარმოშობა გაურკვეველია. შესაძლოა წარმოადგენდეს კლავდიოს პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიაში“ აღნიშნულ პუნქტ ,,არტანისსა“-ს.

არტანისსა - ქალაქი იბერიაში. აღნიშნულია კლავდიოს პტოლემაიოსის ,,გეოგრაფიაში“. სამეცნიერო ლიტერატურაში მას აიგივებდნენ არტაანთან და არტანუჯთან (ვ. ჯოჯუა, ტოპონიმიკა 1. 1976, 432-448; ნ. ლომოური, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1955, 46).

არტანუჯი - ციხე-ქალაქი ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე. კლარჯეთის დედაქალაქი და მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი (დ. ბერძენიშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. 1975, 587).

არხოტი - უღელტეხილი აღმ. კავკასიონზე, კიდეგანის ქედზე. სიმაღლე 3235. აკავშირებს სნოს ხეობას არხოტის ხეობასთან. დღესდღეობით იქ შემორჩენილია ორი სოფელი:

ახიელი, ამღა და ერთი ნასოფლარი - ჭიმღა (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1. 1975, 619).

ახადი - სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში. მდ. ფშავის არაგვის მარცხენა მხარეზე. დუშეთიდან 71კმ. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. 1977, 79).

ბ

ბაგინეთი - იხ. არმაზი.

ბაჩალი - ნასოფლარი მდ. ივრის სათავეებში (არტნის სას. საბჭო). ამ პერიოდისათვის ნასოფლარია. ბაჩალის ტოპონიმის ეტიმოლოგია უცნობია (გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 78-79).

ბეღელთანა - სოფელი ივრის ხეობის სათავესთან (გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 80).

ბოჭორმა - სოფელი ქვემო ერწოში, მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე, მდ. ორვილ-იორის ხერთვისთან. თიანეთიდან 49 კმ. (გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 82,83; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. 1977, 496).

გ

გორანა - სოფელი ერწოში (სიმონიანთხევის სას. საბჭო). მდ. აძეძის ზემო აუზში. თიანეთიდან 28 კმ. ქართულ ეკონომიკურ საბუთებში XIV საუკუნიდანაა ცნობილი გორო-ვნა-ს სახით. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით ტოპონიმი მომდინარეობს სიტყვა გორა-დან. (გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 88-89; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3. 1978, 221).

გორი - შიდა ქართლის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს მდ. მტკვრისა და ლიახვის შესართავთან. თბილისიდან 76კმ. (რკინიგზით) (ვ. კაკაბაძე, ჯ. გვასალია, ი. გაგოშიძე, ლ. მენაბდე, პ. ზაქარაია, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3. 1978, 226).

გუდამაყარი - აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეგოგრაფიული მხარე. მდებარეობს მდ. გუდამაყრის არაგვის ხეობაში. დასავლეთით ესაზღვრება - მთიულეთი, ჩრდილოეთით - ხევი, აღმოსავლეთით ხევსურეთი და ფშავი, სამხრეთით ხანდო და ჭართალი. გუდამაყარი ფშავ-ხევსურეთისაგან გამოყოფილია გუდამაყრის ქედით, რომელზეც გადიოდა გვიანდელი ხანის ქართლისა და კახეთის საზღვარი. გუდამაყარს იხსენიებს ლეონტი მროველი (XI) ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით (ჯ. გვასალია, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3. 1978, 290).

დ

დათვისჯვარი/ველკეთილი - უღელტეხილი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე დუშეთის რაიონში. ზღ. დ. 2 767მ. სამანქანო გზით აკავშირებს ხევსურეთის არაგვის ხეობას (პირაქეთ ხევსურეთი) არღუნის ხეობასთან (პირიქითა ხევსურეთი) (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3. 1978, 344).

დევთნასოფლარი - (დევთნასახლარები) ადგილი არტნის ხეობაში, სოფ. ქუშხევში. დევთ სახლებს ახსენებს ლეონტი მროველიც ქ. წუნდასა და არტანში: ,,და დასხნა წუნდას შინა კაცი მჴეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგმნების დევთა-სახლად.....“ (ქართლის ცხოვრება. 1955, 44).

,,დედოფლის მინდორი“ - სოფ. არადეთის მიმდებარე ტერიტორია. მდებარეობს აღმ. და დას. ფრონეებს შორის. დასტურდება სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები - სატაძრო კომპლექსი, ნამოსახლარები, სამაროვნები (ი.გაგოშიძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3. 1978, 433).

დვალეთი - ისტორიული მხარე შუა საუკუნეების საქართველოში. მოიცავდა ტერიტორიას კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის (ჯ. გვასალია, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3. 1978, 490-491).

დირბი - სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. აღმოსავლეთ ფრონის მარჯვენა ნაპირზე. ქარელიდან 16 კმ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIIIს-ში. შემორჩენილია შუა საუკუნეების მონასტერი და ციხე. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 3. 1978, 561).

ე

ევჟენტი - სოფელი თიანეთის სადაბო საბჭოში. ქართლის ქედის აღმ. კალთაზე. თიანეთიდან 15 კმ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIს-ში. დასახლებულია ხევსურებით. ეტიმოლოგია უცნობია (გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 97; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. 1979, 35).

ერწო - მხარე აღმ. საქართველოში, თიანეთის რაიონში. მდ. აძეძის ხეობა. მდებარეობს ზღ. დ. დაახლ. 1020 მ. ადრეულ პერიოდში მოიცავდა დღევანდელი მცხეთის რაიონის სოფლებსაც (ბოკოწინი, ბიწმენდი, ზაქარო...). ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ერწო თეოფორიული წარმოშობისაა და სავარაუდოდ უნდა აღნიშნავდეს ,,ჰერების სალოცავს". (გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 99; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. 1979, 210-211).

ვ

ველკეთილი - იხ. დათვისჯვრის უღელტეხილი.

თ

თაგვათაღლაურა - ნაციხარი მდ. ივრის ზემო წელზე (ზ. არტანი). ტოპონიმი მომდინარეობს ფშაურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებული გმირის თაგვა თაღლაურას სახელისაგან. (გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 105).

თელავი - ქალაქი აღმ. საქართველოში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე და მდ. ალაზნის ვაკეზე. კახეთის ადმინისტრაციული ცენტრი. პირველად თელავი ნახსენებია კლავდიოს პტოლემაიოსთან ,,Teleda"-ს ფორმით. XIს-დან ის უკვე

კახეთ-ჰერეთის სამთავროს ცენტრია (ვ. ჯაოშვილი, ც. ჩიკოიძე, ლ. მენაბდე, შ. საღარაძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. 1979, 644-645).

თიანეთი - დაბა (1970წ-დან) აღმ. საქართველოში, რაიონული ცენტრი მდ. ივრის ხეობაში. თბილისიდან 75კმ. ტოპონიმი ამ სახით უძველესი ხანის ქართულ საისტორიო წყაროებშია მოხსენიებული ერწოს და ჟალეთის, იორისა და ნოტკორის, ჩელეთისა და ბოდოჯის, საძმორისა თუ ბოჭორმის გვერდით. (გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 108; გ. ზარდალიშვილი, შ. საღარაძე, რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4. 1979, 678-679).

ი

იბერია - კავკასიის იბერია. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს სახელწოდება ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში. **ქართლი** - ბერძენ და რომაელ ავტორთა თხზულებებში. სახელწოდების წარმომავლობა დადგენილი არ არის (გ. მელიქიშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5. 1980, 67-68).

იხინჭა - ნასოფლარი, ძველი ციხე-ეკლესიების კომპლექსი სოფ. გოჯიაანების თავზე, სოფ. ჟებოტის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. (გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 116).

,,იფნიან(თ)ჯვარი“ - თაგვათაღლაურას მთის დავაკებაზე არსებული ტყე. აქვეა ამავე სახელწოდების ნიში, სანთლის დასანთები ადგილი (ზ. არტანი). (ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში. 1941, 123; გ.ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია. 1980, 116).

კ

კავკასიონი - მთაგრეხილი, ერთი მხრივ აზოვისა და შავ ზღვას შორის , მეორე მხრივ - კასპიის ზღვის შუა და სამხრეთ ნაწილებს შორის. სიგრძე - 1500კმ, სიგანე - 180კმ. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული ,,Kaukasos“, რომელსაც თავის მხრივ, სავარაუდოდ ძველირანული (,,kapkah“ - დიდი მთა) ან ხეთური (,,kazkaz” - ტომის

სახელი) წარმოშობა აქვს. ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს, როგორც ,,კავკასს“. კავკასიონი ეწოდა XXს-ში (ლ. მარუაშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5. 1980, 309-311; W. Smith. Dictionary of Greek and Roman Geography. Vol.1. 1853, 571-572).

კართანა - სოფელი ფშავის არაგვის ხეობის ზედა ნაწილზე (თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. 1967, 131).

კარი დარიალანისა - ხეობის სახელწოდება ცნობილი იყო ჯერ კიდევ ანტიკური ხანის გეოგრაფოსებისათვის: პლინიუსი მას იხსენიებს, როგორც Porta Caucasicae (კავკასიის კარი) და Porta Hiberiae (იბერთა კარი), პტოლემაიოსი Sarmatikai Pulai (სარმატების კარი), არაბები და სპარსელები dar-i-alan (ალანთა კარი). ძველ ქართულ წყაროებში იგი იხსენიება, როგორც დარიალნი, დარიელა, არაგვის კარი, იბერიის კარი, კავკასიის კარი, სარმატიის კარი, ოვსთა კარი და სხვა. პლინიუსის გადმოცემით დარიალის გამოსასვლელი გადაკეტილი ყოფილა რკინით შეჭედილი ძელებით. კარის მეორე მხარეს კი მდგარა ციხე-სიმაგრე კუმანია, რომელიც აგებული ყოფილა ტომთა გადასვლის დასაბრკოლებლად. მისივე შენიშვნით: ამ ადგილას, სწორედ იბერიის ქალაქ ჰერმატუსის გასწვრივ, კარით არის გაყოფილი სამყაროს ნაწილებიო“ (ალ. გამყრელიძე, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ. 1973, 37; W. Smith. Dictionary of Greek and Roman Geography. Vol.1. 1853, 571; გ. გოზალიშვილი. კასპიის კარი. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე V-VI. თბ. 1940, [469-477]).

კახეთი - ისტორიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში. მოიცავს მდინარე ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდინარე ალაზნის აუზს. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კახეთი მოიცავს ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას და ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიულ კუთხეს - თუშეთს (დ. მუსხელიშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5. 1980, 446).

კოლა - მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, თანამედროვე თურქეთის ტერი-ტორიაზე. მოიცავს მტკვრის სათავეების ქვაბულს. იბერიის სამეფოს წარმოქმნისთანავე

კოლა მისი შემადგენელი ნაწილი გახდა, წარმოადგენდა სამხ.-ადმ. ერთეულს და შედიოდა წუნდის საერისთავოში. უძველესი დროიდან მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც საქართველოს წინა აზიასთან აკავშირებდა (დ. მუსხელიშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5. 1980, 576).

კოპალა/ე - წინაქრისტიანული სათემო ღვთაება აღმ. საქართველოს მთში. მისი ძირითადი სამლოცველო იყო ფშავსა და ხევსურეთში. სამლოცველოები ასევე დასტურდება თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარსა და ქართლ-კახეთის ჩრდ. ზოლში (კოპალეს სალოცავი ადგილია არტნის ხეობაში (ქუშხევი), ჟებოტაში და სხვ.). (თ. ოჩიაური, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5. 1980, 659).

კორსავ-ი - ნასოფლარი მდ. ივრის სათავეებში (ზ. არტანი).

ლ

